

1 ივნისი - ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე



**საქართველოს
იკლიოთეკა**

ISSN 1512-0880
№2 (51)-2013

საქართველოს ბიბლიოთეკა



ბავშვი – წიგნი – ბიბლიოთეკა

რედაქციის მისამართი:

თბილისი ვაკედიის ქ.
№18, ბ. 16

ტელ 223-02-98
297-16-83



ქურნალის რედაქცია:

ადექსანდრე დორია

- მთავარი რედაქტორი

გურამ თაყნიაშვილი

- მთავარი რედაქტორის

მოადგილე, პასუხისმგებელი მდივანი

გუდნარა სჭურუა

- სამეცნიერო-მეთოდური და
კორექსპონდენტებთან მუშაობის
რედაქტორ-კორდინატორი



ინსანუარმო „ალი“

დამფუძნებლები: საქართველოს

პარლამენტის იდია ქავჭავაძის

სახელობის ეროვნული

ბიბლიოთეკა; საქართველოს

საბიბლიოთეკო ასოციაცია.



ქურნალი ბამოლის წელიწადში ოთხჯერ

საქართველოს ბიბლიოთეკა № 2 (51) – 2013

შინაარსი

საქართველოს სახელმწიფო საბიბლიოთეკო პოლიტიკა: რეალობა, სრულყოფის გზები 5

საბიბლიოთეკო ტექნოლოგიები

ლალი კახიძე – ციფრული კოლექციები 8

ჩვენს ბიბლიოთეკებში

მანანა დეკანოსიძე – ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები – ჩვენი საცავების საუნჯე 10

მანანა გაბაშვილი – აკად. გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის

ინსტიტუტის ბიბლიოთეკა 13

ფილოლოგიური კიეხანი

დათო კოტორაშვილი – ხე-ყვავილნარის წალკოტი წიგნის სამყაროს ნაკრძალში 16

მარინა სამადაშვილი – მარილი ქუეყნისა და ემბლემა ფილოლოგიისა 23

იური სტოლიაროვი – ნიშნები და სიმბოლოები ძველ ქართულ ფოლკლორში (რეფერატი) 28

თეა ჩაკვეტაძე – გაზეთი „დროშა“ – პირველი ქართული ემიგრანტული პერიოდული გამოცემა .. 33

სკოლის ბიბლიოთეკა

იური სიხარულიძე – 120 წლის სკოლა 35

ღირსეული წინაპრები

თეა იოსავა – იროდიონ ევდოშვილი – 140 37

კორმესკონდენციები

მზია იარაჯული – ღონისძიება თიანეთის მთავარ ბიბლიოთეკაში 40

სალომე ღაჭავაძე – ხელოვნება ბიბლიოთეკაში 41

ლია გოდელაშვილი – სულიერებით აღსავსე სადამო 42

მზია ტოგონიძე – მორიგ დღესასწაულზე მთავარ ბიბლიოთეკაში 43

მანანა საგანელიძე – „იპოვე შენი თავი ბიბლიოთეკაში“ 45

ნანა ხომერიკი – ჩვენი ქალაქის მთავარი ბიბლიოთეკის

საინფორმაციო- ბიბლიოგრაფიული განყოფილება 46

კვირეული – 2013

ახალი ფორმების ძიებაში: მასალების მიმოხილვა 48

ღვაწლმოსილ ბიბლიოთეკართა სახეები

გურამ თაყნიაშვილი – მეგრძოლი ქალის მოქალაქეობრივი მრწამსი 53

ინფორმაცია

ახალი პოეტური კრებული	54
ძველი მსოფლიოდან მოტანილი ამბები	55
დიდი თაყვანისცემის გამოსატყუება	56

რევიუ

დავით გიგინეიშვილი – ჰენდელის „რადამიტო“-ს საკონცერტო შესრულება	56
---	----

ქრონიკა

საქართველოს საბიბლიოთეკო ცხოვრება	59
---	----

БИБЛИОТЕКА ГРУЗИИ № 2 (51) – 2013

СОДЕРЖАНИЕ

Государственная библиотечная политика Грузии: реальность, пути совершенствования	5
--	---

Библиотечные технологии

Лали Кахидзе – Цифровые коллекции	8
---	---

В наших библиотеках

Манана Деканосидзе – Древние памятники грузинской литературы – сокровища наших хранилищ	10
Манана Габашвили – Библиотека института Востоковедения имени акад. Г. Церетели	13

Филологические изыскания

Дато Которашвили – Роскошный сад деревьев и цветников в заповеднике книжного мира	16
Марина Самадашвили – Соль отечества и эмблема филолога	23
Юрий Столяров – Знаки и символы в древнем грузинском фольклоре (реферат)	28
Теа Чакветадзе – Газета «Дроша» – первое грузинское эмигрантское периодическое издание	33

Школьная библиотека

Юрий Сихарулидзе – Школе 120 лет	35
--	----

Достойные предшественники

Теа Иосава – Иродион Эвдошвили – 140	37
--	----

Корреспонденция

Мзия Иараджули – Мероприятие в главной библиотеке Тианети	40
---	----

Саломе Гачава – Искусство в библиотеке	41
Лия Годелашвили – Вечер, преисполненный духовностью	42
Мзия Тогонидзе – На очередном празднике в главной библиотеке	43
Манана Саганелидзе – «Найди себя в библиотеке»	45
Нана Хомерики – Информационно–библиографический отдел главной библиотеки нашего города	46

Неделя библиотеки – 2013

В поисках новых форм: обзор материалов	48
--	----

Лица заслуженных библиотекарей

Гурам Такниашвили – Гражданское убеждение женщины–бойца	53
---	----

Информация

Новый поэтический сборник	54
Вести, приведённые из древнего мира	55
Выражение глубокого поклонения	56

Ревю

Давид Гигинеишвили – Концертное исполнение «Радамисто» Генделя	56
--	----

Хроника

Библиотечная жизнь Грузии	59
---------------------------------	----

THE GEORGIAN LIBRARY N2 (51) – 2013

Contents

State library politics of Georgia: reality, improvement methods	5
---	---

Library Technologies

Lali Kakhidze – Digital collections	8
---	---

In Our Libraries

Manana Dekanosidze - Old georgian literature monuments - our depositories' treasure	10
Manana gabashvili - Acad. G. Tsereteli Oriental Studies Institute library	13

Philological Investigations

Dato kotorashvili - Tree-flowers' garden in the preserve of book world	16
Marina Samadashvili - The salt of country and the emblem of philologist	23

Iuri Stoliarov - Signs and symbols in the old georgian folk (essay)	28
Tea chakvetadze - Newspaper „The Drosha“ - the first georgian emigrant periodical issue	33

School library

Iuri Sikharulidze – 120 anniversary of school	35
---	----

Worthy Anectors

Tea losava – Irodion Evdoshvili – 140	37
---	----

Correspondences

Mzia Iarajuli – The arrangement in Tianeti main library	40
Salome gachava – Art in the library	41
Lia Godelashvili – The evening full of with spirituality	42
Mzia Togonidze – On the next high day in the main librar	43
Manana Saganelidze – Find yourself in the library	45
Nana Khomeriki - Our city’s main library’s informative- bibliographic department	46

Weekly - 2013

In searching of new forms : review of materials	48
---	----

Honoured Librarians’ Faces

Guram Takniashvili - Fighter woman’s civilian belief	53
--	----

Informations

The new poetic collection	54
The news, brought from the old world	55
The expression of great idolization	56

Review

David Gigineishvili – Hendel’s „Radamito“ s concert fulfilment	56
--	----

Chronicle

The chronicle of Georgian library life	59
--	----

საქართველოს სახელმწიფო საბიბლიოთეკო პოლიტიკა: რეალობა, სრულყოფის გზები

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოში საბიბლიოთეკო საქმის მართვა, საბიბლიოთეკო ქსელი ს გონივრული რეორგანიზაცია, აღმასრულებელი და საკანონმდებლო ორგანოებისგან მოითხოვდა, უპირველეს ყოვლისა, კულტურის ამ დარგისათვის იურიდიული საფუძვლების შემუშავებას. საბიბლიოთეკო საქმის ხელმძღვანელი ორგანოებისათვის თავდაპირველად აუცილებლობას წარმოადგენდა იმ მემკვიდრეობის შესწავლა და ანალიზი, რომელიც ქვეყანას შერჩა დამოუკიდებლობის პერიოდისათვის. იმ ეტაპზე საქართველოს საბიბლიოთეკო სისტემა აერთიანებდა ყველა ტიპისა და უწყების 8.000-მდე ბიბლიოთეკას. მარტო საჯარო (ყოფილი მასობრივი) ბიბლიოთეკების რიცხვი აჭარბებდა 4200-ს 45 მლნ წიგნადი ფონდით. სოფლის მოსახლეობის საბიბლიოთეკო მომსახურებას უზრუნველყოფდა 3.000-ზე მეტი სასოფლო ბიბლიოთეკა, რომელიც მუშაობდა საბიბლიოთეკო ქსელის ცენტრალიზაციის პირობებში. ბიბლიოთეკები მოქმედებდნენ როგორც იდეოლოგიური დანესებულებები, პარტიულობის პრინციპის განუხრელად გატარებით. ბიბლიოთეკებში გამეფებული იყო ფორმალისმი. საქართველოს მთავრობის წინაშე იმთავითვე ცნობადი გახდა, რომ ამდენი რაოდენობის ბიბლიოთეკა არ იყო საჭირო, არ არსებობდა მათი შენარჩუნებისა და ფუნქციონირების ეკონომიკური საშუალებები. 1993 წ. საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასთან შეიქმნა სპეციალისტთა ჯგუფი, რომელიც შეუდგა საქართველოში საბიბლიოთეკო საქმის შესახებ კანონის პროექტის შემუშავებას. ჯგუფს კონსულტაციას უწევდა საქართველოს პარლამენტის იურიდიული კომიტეტი. ცხადია, სპეციალისტთა ჯგუფს არ ჰქონდა არავითარი გამოცდილება საბიბლიოთეკო სფეროში საკანონმდებლო აქტებზე მუშაობისა. ამ დრომდე ეს დარგი იმართებოდა ვერტიკალური მართვის მეთოდებით, მოსკოვში მუშავდებოდა ბიბლიოთეკების მუშაობისათვის აუცილებელი იურიდიულ-ნორმატიული შინაარსის დოკუმენტაცია. დაახლოებით ორწლიანი მუშაობის შემდეგ საქართველოს პარლამენტმა 1996 წლის ივნისში მიიღო „საქართველოს კანონი საბიბლიოთეკო საქმის შესახებ“. კანონში ჩამოყალიბებულია ბიბლიოთეკების ფუნქციონირების ძირითადი პრინციპები, სა-

ხელმწიფოს როლი მოსახლეობის საბიბლიოთეკო მომსახურების უზრუნველყოფის საქმეში. ამავე კანონით განსაზღვრულია საქართველოს კულტურის სამინისტროსა და საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის როლი საბიბლიოთეკო საქმის კოორდინაციისა და ერთიანი სახელმწიფო საბიბლიოთეკო პოლიტიკის გატარების საქმეში. ეროვნული ბიბლიოთეკის აღნიშნული ფუნქციის შესახებ სპეციალური მუხლია ჩანერილი კანონში „საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის შესახებ“ (1997, მუხლი 5). აქ დასახელებულმა ორივე კანონმა გარკვეული როლი შეასრულა საქართველოში საბიბლიოთეკო ქსელის რეორგანიზაციისა და ბიბლიოთეკების მუშაობის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრის საქმეში თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად. ქვეყანაში ერთიანი საბიბლიოთეკო პოლიტიკის გატარებისათვის აუცილებელი იყო კანონქვემდებარე აქტების შემუშავება, რომლებიც შეასრულებდა სახელმძღვანელო მასალების ფუნქციას საბიბლიოთეკო ქსელის ოპტიმიზაციასა და ბიბლიოთეკების მუშაობის ახლებულად წარმართვის საქმეში.

როგორ გავიგოთ სახელმწიფო საბიბლიოთეკო პოლიტიკა? სხვადასხვა ქვეყნებში საბიბლიოთეკო საქმის შესახებ მიღებულ საკანონმდებლო აქტებში სახელმწიფოს საბიბლიოთეკო პოლიტიკა ფორმულირებულია როგორც ღონისძიებათა კომპლექსი, რომელსაც სახელმწიფო ატარებს. მოსახლეობის საბიბლიოთეკო პოლიტიკის ობიექტს შეადგენს ბიბლიოთეკა, ქვეყნის საბიბლიოთეკო ქსელი, სისტემა, რომელიც აგებულია ტერიტორიული და უწყებრივი პრინციპით. ჩვენში მიღებული კანონებით სახელმწიფო უზრუნველყოფს მოსახლეობის საბიბლიოთეკო მომსახურებას ადგილობრივი სოციალურ-კულტურული სპეციფიკის გათვალისწინებით, ბიბლიოთეკების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფას, საბიბლიოთეკო კადრების მომზადებას და ა. შ. საქართველოში დამოუკიდებელი საბიბლიოთეკო პოლიტიკის გატარება ხდებოდა იმ დროს, როდესაც ტექნიკური რევოლუცია ინფორმაციის სფეროში კრიტიკულ გავლენას ახდენდა ადამიანთა განვითარებაზე. ტექნოლოგიებმა ბიბლიოთეკებს გაუხსნეს ახალი შესაძლებლობები და დააყენეს ისინი ახალი ამოცანების წინაშე.

საბიბლიოთეკო ქსელის რეორგანიზაცია ჩვენში მიმდინარეობდა და ახლაც მიმდინარეობს ქვეყანაში არამდგრადი პოლიტიკური და ეკონომიკური ცვლილებების პირობებში, რაც უარყოფითად აისახება ბიბლიოთეკების მუშაობაზე. პოლიტიკური ბრძოლა საზოგადოებრივი რესურსების განკარგვის სფეროში არსებითად აზარალებს ბიბლიოთეკების მუშაობას; სახელმწიფოს ნაკლებად რჩება მატერიალური რესურსები ბიბლიოთეკების შენარჩუნებისა და მათი მუშაობის შემდგომი სრულყოფისათვის. სახელმწიფო საბიბლიოთეკო პოლიტიკა რთული საზოგადოებრივი ფენომენია. კულტურის ამ სფეროს არავინ არ იკვლევს; შესაბამისად არ მუშავდება ქსელის განვითარებისა და რეაბილიტაციის კონცეფცია. ჩვენ ვცხოვრობთ ისეთ საზოგადოებაში, როდესაც იცვლება გარემო, ადამიანთა შეგნება, იზრდება მათი საინფორმაციო მოთხოვნები, იცვლება ღირებულებები და ცხოვრების ნორმები. განვლილი ოცნლეულის მანძილზე ქართული საზოგადოებრიობა ჩამოყალიბდა განსხვავებული პოლიტიკური მიმართულებით, შინაგანი სულიერი დაძაბულობის ნიადაგზე. რაკი ჩვენი საზოგადოება ცხოვრობს ახალი კანონებითა და ახალი შეხედულებებით, ბიბლიოთეკებიც, ცხადია, ამ გარემოებას შეერწყან, ფეხი აუწყო და ბიბლიოთეკებში დავანებული ინტელექტუალური სიმდიდრე ჩააყენონ ქვეყნის სულიერი აღმავლობის საქმეში.

საბიბლიოთეკო საქმე მსოფლიოს მასშტაბით ყალიბდება თვისებრივად ახალი კანონების საფუძველზე; ოპერატიულად იცვლება წიგნთან და კომპიუტერთან საზოგადოებისა და კერძო პირთა დამოკიდებულება. საზოგადოების მოთხოვნები და ზეგავლენა ბიბლიოთეკებზე უფრო კატეგორიული და მძლავრია, ვიდრე ზემოდან შემუშავებული ნორმატიული აქტები. მოსახლეობის საბიბლიოთეკო მომსახურების ხარისხს დღეს განსაზღვრავს არა იმდენად საბიბლიოთეკო პოლიტიკა, არამედ სამოქალაქო საზოგადოება. ცხადია, სწორი და მიზანმიმართული სახელმწიფო საბიბლიოთეკო პოლიტიკა ბევრწილად ამაღლებს მოსახლეობის საბიბლიოთეკო მომსახურების ხარისხს, მაგრამ საბოლოო ჯამში საბიბლიოთეკო პოლიტიკის ხარისხის პირველი შემფასებელი მკითხველი საზოგადოებაა. დემოკრატიულ ქვეყნებში საბიბლიოთეკო საქმე ხასიათდება არა იმდენად პროფესიული ტერმინოლოგიით, არამედ საზოგადოებისათვის გასაგებ ენაზე, იმ ენაზე, რომელზედაც დაფუძნებულია თანამედროვე მკითხველის საინფორმაციო ინტერესები.

საბიბლიოთეკო პოლიტიკას გააჩნია ორი მიმართულება: პირველი – საბიბლიოთეკო რესურსების შენარჩუნება, მათი სრულყოფა, გამრავლება, გამდიდრება ახალი ტექნოლოგიების საფუძველზე, და მეორე – ამ რესურსების საყოველთაო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; თანამედროვე ეტაპზე საბიბლიოთეკო პოლიტიკაში ორი მიმართულება უპირისპირდება ერთიმეორეს: ერთი ამტკიცებს, რომ ბიბლიოთეკური ტრადიციული ფორმები უნდა გადაშენდეს, მეორე – ამ ფუნდამენტზე უნდა დაშენდეს ახალი შინაარსის, ახალი მიმართულების თანამედროვე ბიბლიოთეკა. ცხადია, მეორე მიმართულებაა რეალობა; საბიბლიოთეკო ტექნოლოგია დაფუძნებულია ინფორმაციის ტრადიციულ წყაროებსა და საშუალებებზე, რომელთა გადატანა ციფრულ ფორმატში ბიბლიოთეკებში ამკვიდრებს მომსახურების ახალ ფორმებსა და საშუალებებს. ფაქტია, რომ ქართულ საბიბლიოთეკო პრაქტიკაში ჩვენს ქვეყანაში არსებობს დიდი სამეცნიერო, ეროვნული, ცენტრალური, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ბიბლიოთეკები, რომლებიც უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე ჩამოყალიბდნენ როგორც ინფორმაციის ცენტრები, რომლებიც კარგად ფლობენ საინფორმაციო ტექნოლოგიებს და მომსახურების სფეროშიც მიაღწიეს გარკვეულ წარმატებებს; მეორეს მხრივ, არსებობს ბიბლიოთეკები: სასოფლო, სასკოლო, ზოგიერთი ცენტრალური, რომელთაც მხოლოდ ბიბლიოთეკები ეწოდებათ – მოძველებული საბიბლიოთეკო ფონდებით, დაბალი პროფესიული დონის ბიბლიოთეკარებით, რომელთაც ბევრ შემთხვევაში არა აქვთ ელემენტარული წარმოდგენა საბიბლიოთეკო ტექნოლოგიების შესახებ. ასეთია ამჟამად საქართველოში საბიბლიოთეკო პოლიტიკის რეალური მდგომარეობა. საბიბლიოთეკო დარგის სპეციალისტებს, იმ მკითხველებს, განსაკუთრებით ბიბლიოთეკებში ნიადაგ მომუშავე ინტელიგენციის ნაწილს, შეიძლება დაესვას ლოგიკური კითხვა: – საერთოდ, თუ გვაქვს საქართველოში სახელმწიფო საბიბლიოთეკო პოლიტიკა? ცხადია, გვაქვს. აქ დასახელებულ ორივე კანონში ნათლად არის ჩამოყალიბებული სახელმწიფოს როლი და ფუნქცია ბიბლიოთეკების ქსელის მოწყობისა და მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების, ბიბლიოთეკების ფუნქციონირების ძირითადი პრინციპების, ახალი ტექნოლოგიების დანერგვის საქმეში. სახელმწიფო აფინანსებს საქართველოში ამჟამად მოქმედ 600-ზე მეტ საჯარო ბიბლიოთეკას, გა-

ნათლებასა და მეცნიერების უწყების 3000-მდე სახელმწიფო სასწავლებლის ბიბლიოთეკებს, საქართველოს კულტურის სამინისტრო მუნიციპალიტეტების მთავარ ბიბლიოთეკებს დროდადრო გამოუყოფდა ვაუჩერებს ახალი ლიტერატურის შესაძენად, მცირე რაოდენობით, მაგრამ მაინც გადასცემს მათ კომპიუტერებს და ა. შ. ეს ყველაფერი იმაზე მიუთითებს, რომ ქვეყანა გარკვეული სახის, თუნდაც არაგეგმაზომიერ და არათანმიმდევრულ საბიბლიოთეკო პოლიტიკას ახორციელებს. თანამედროვე ეტაპზე საქართველოში მოსახლეობის საბიბლიოთეკო და საინფორმაციო მომსახურების მთელი სიძნელე მოდის საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაზე. საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკაზე (6 მლნ წიგნადი ფონდით), თბილისის საქალაქო საბიბლიოთეკო გაერთიანებაზე (1,5 მლნ წიგნადი ფონდით). სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა საბიბლიოთეკო და საინფორმაციო მომსახურებას უზრუნველყოფენ სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების სამეცნიერო ბიბლიოთეკები, რომელთაგან მდიდარი საბიბლიოთეკო რესურსებით გამოირჩევა თსუ ფუნდამენტური სამეცნიერო ბიბლიოთეკა (3 მლნ-ზე მეტი წიგნადი ფონდით), ასეთივე მდიდარი საბიბლიოთეკო რესურსების მფლობელებია: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო, აგრარული, ილიას სახ. უნივერსიტეტის და სხვა უმაღლესი სასწავლებლების სამეცნიერო ბიბლიოთეკები, თუმცა ისინი ნაკლებად ასრულებენ საჯარო ბიბლიოთეკის ფუნქციებს.

საქართველოს მუნიციპალიტეტებში მოსახლეობის საბიბლიოთეკო და საინფორმაციო მომსახურებას უზრუნველყოფენ მთავარი (ცენტრალური) ბიბლიოთეკები, რომლებიც იმავე დროს მეთოდურ ხელმძღვანელობას უწევენ მუნიციპალიტეტის სასოფლო ბიბლიოთეკებს. 2003–2011 წ. წ. პერიოდში მუნიციპალიტეტებიდან საჯარო ბიბლიოთეკების ქსელი შეინარჩუნეს გურიის, სამეგრელო-ზემო სვანეთის, იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის, სამცხე-ჯავახეთის და კახეთის ზოგიერთ რეგიონის მუნიციპალიტეტში. 2012 წლიდან სასოფლო ბიბლიოთეკების აღდგენა დაიწყო ხარაგაულის, თიანეთის, ბოლნისის, ამბროლაურის, საჩხერის, გორის მუნიციპალიტეტებში. მოქმედი საჯარო ბიბლიოთეკებიდან ტექნოლოგიებს თანდათანობით ნერგავენ და ანვითარებენ ქუთაისის სამეცნიერო, ზუგდიდის მთავარი, ბათუმის საქალაქო, თელავის ცენტრალური, გურჯაანის მთავარი, ამბროლაურის, ხარაგა-

ულის, წყალტუბოს, ფოთის საქალაქო, ოზურგეთის მთავარი ბიბლიოთეკები.

რომელი ნიშანდობლივი ხარვეზებით ხასიათდება ამჟამად საქართველოს საბიბლიოთეკო პოლიტიკა?

– უპირველეს ყოვლისა, სრულყოფას საჭიროებს საქართველოს საბიბლიოთეკო საქმის იურიდიული საფუძვლები: დიდი ხანია მომწიფდა ორივე საბიბლიოთეკო კანონში არსებითი ცვლილებების შეტანის საკითხი, შესამუშავებელია კანონპროექტი სავალდებულო ცალეების შესახებ.

იმის გამო, რომ პირველი კანონის მიღებიდან გასულია 17 წელი, მას იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტად არ მიიჩნევენ ზოგიერთი მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ხელისუფლება, რის გამოც უმართებულოდ, მოსახლეობის საბიბლიოთეკო და საინფორმაციო ინტერესების საზიანოდ დაიხურა ადგილებზე მოქმედი სასოფლო ბიბლიოთეკები. საბიბლიოთეკო ქსელის შენარჩუნება ბევრწილად დამოკიდებულია მუნიციპალიტეტების გამგეობის ნებასურვილზე, გუბერნატორთა ზეპირ მითითებებსა და წინადადებზე.

– არ არის შემუშავებული კანონქვემდებარე აქტები, რომლებიც ხელს შეუწყობს ამ საქმის რეგულირებას, საბიბლიოთეკო ფონდების დაცვას, ბიბლიოთეკების დამოუკიდებლობის გაზრდას.

– დაბალია ამ დარგში მომუშავე პერსონალის პროფესიული კვალიფიკაცია; ბიბლიოთეკართა აბსოლუტური უმრავლესობა არ ფლობს საბიბლიოთეკო ტექნოლოგიებს, არ მიმდინარეობს ამ მიმართულებით მათი სისტემური სწავლება;

– სრულიად არასაკმარისია საბიბლიოთეკო ფონდების განახლებისათვის ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების მიერ გამოყოფილი ფულადი სახსრები. ბიბლიოთეკების დიდ ნაწილში არ შედის პერიოდული გამოცემები, რაზედაც ყოველდღიურად იზრდება მკითხველი საზოგადოების მოთხოვნები;

– დაბალი მაჩვენებლებით ხასიათდება საჯარო ბიბლიოთეკების მუშაობა; საბიბლიოთეკო პოლიტიკის ქვაკუთხედად უნდა იქცეს ასეთი ბიბლიოთეკების ხელის შეწყობა, ვინაიდან მხოლოდ ისინი უზრუნველყოფენ მოსახლეობის ყველა სოციალური ფენისა და ჯგუფის უფასო საბიბლიოთეკო და საინფორმაციო მომსახურებას. ის ფაქტი, რომ სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკების რიცხვი უკანასკნელი 15–20 წლის მანძილზე შემცირდა 6–ჯერ მაინც, მიუთითებს მოსახლეობის კონსტიტუციური უფლებების

უხეშ დარღვევაზე, განსაკუთრებით იმ მუნიციპალიტეტებში, სადაც შეინარჩუნეს მხოლოდ და მხოლოდ ცენტრში მოქმედი მთავარი (ცენტრალური) ბიბლიოთეკები.

სახელმწიფო საბიბლიოთეკო პოლიტიკის აქ დასახელებული ზოგიერთი არსებითი ხასიათის ნაკლოვანების გამოსწორებას ვერ წაადგება მხოლოდ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკისა და საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის ძალისხმევა და მოქმედება. აუცილებელია აღმასრულებელი ხელისუფლების ქმედითი ნაბიჯები, რაც, პირველ რიგში, უნდა გამოიხატოს დახურული ბიბლიოთეკების აღდგენაში; ბიბლიოთეკების თანდათანობითი განვითარება, მათი ტექნოლოგიური გადაიარაღება უნდა გადაიქცეს სახელმწიფო საბიბლიოთეკო პოლიტიკის ძირითად მიმართულებად.

თანამედროვე ეტაპზე მიმდინარეობს ბიბლიოთეკების სოციალური როლის ევოლუცია.

ტრადიციულ ფუნქციებს ემატება საინფორმაციო ცენტრების ფუნქციები, რომელთა მიზანს შეადგენს სამამულო და მსოფლიო ინფორმაციის ქსელებში და მონაცემთა ბაზებში შეღწევა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. საბიბლიოთეკო პოლიტიკის მოდერნიზაცია ბევრწილად დამოკიდებულია ბიბლიოთეკისა და კულტურის სამსახურების მენეჯერების პირად თვისებებზე. თანამედროვე საბიბლიოთეკო ქსელი ბევრ წილად შენარჩუნებულია ამ დარგის მოღვაწეთა ენთუზიაზმისა და პროფესიული ერთგულების წყალობით.

საქართველოს ბიბლიოთეკებში თავმოყრილი და დაუნჯებულია ქართული ხალხის მიერ საუკუნეთა განმავლობაში დაგროვებული ცოდნა და გამოცდილება. ამ ცოდნის დაცვა, მისი სრულყოფა და ხელმისაწვდომობა ამდიდრებს და ამაგრებს ერის სულიერ სხეულს.

საბიბლიოთეკო ტექნოლოგიები

ლალი კახიძე

ილიას უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის
სპეციალისტი, მაგისტრი

სიფრული კოლექციები


დღევანდელი ჩვენი ყოფა წარმოუდგენელი გახდა ციფრული სამყაროს გარეშე. ის ისეთივე განუყოფელი ნაწილია ყოველდღიურობისა, როგორც საკვები, წყალი და თუნდაც ჰაერი. რაც მთავარია, ასაკს არანაირი მნიშვნელობა არ აქვს... ციფრული სამყარო ყველასია! მასზე მოთხოვნა დღითიდღე იზრდება და სულ უფრო მეტი ციფრული მასალის შექმნა თუ უკვე არსებული რესურსის გაციფრება ხდება.

ციფრული სამყარო აერთიანებს ციფრულად „დაბადებულ“ და გაციფრებულ მასალებს. მათ შორის განსხვავება დიდია, როცა ერთი მათგანი ფიზიკურად არსებობს, ხოლო მეორე ციფრულად. მაგრამ როცა ორივე ციფრულ ფორმატში გვხვდება, იქ ყველანაირი განსხვავებულობის კვალი ქრება. ჩნდება კითხვა, რა სახის მასალები შეიძლება შეგვხვდეს ციფრულად ან გავაციფრულოთ? რესურსების ჩამონათვალი საკმაოდ დიდია, რადგან ტექსტური მონაცემიდან დაწყებული, კულტურული მემკვიდრეობით დამთავრებული, ყველაფრის დიგიტიზაცია შესაძლებელია. რაც შეეხება ტერმინს „დიგიტიზაცია“, მან უკვე საგრძნობლად მოიკიდა ფეხი ქართულ ენაში და „გაციფრების“ სინონიმად იხმარება.

ზოგადად „ციფრულ კოლექციას“ განმარტავენ როგორც ციფრული მასალების ერთიანობას, რომელიც ხელმისაწვდომია ონლაინ სივრცეში. შესაძლოა არსებობდეს სხვადასხვა წვდომის წერტილი, რაც მათზე წვდომის შეზღუდვას გულისხმობს.

ზოგიერთი მასალა საჯაროდაა ხელმისაწვდომი, ზოგიერთი კი შეზღუდულია კონკრეტული წრეებისთვის. ეს დამოკიდებულია საავტორო უფლებებთან და მისი დაცვის მიზნით, ინსტიტუციები თავს იკავებენ ისეთი მასალის საჯაროდ გავრცელებისგან, რაზეც არ ფლობენ საავტორო უფლებებს. ან ავრცელებენ, მაგრამ აუცილებლად ვრცელდება მათზე სხვადასხვა პოლისები და გამოყენების წესები.

ციფრულ კოლექციებს დღეისათვის ყველაზე აქტიურად ბიბლიოთეკები და მუზეუმები იყენებენ. ციფრული ბიბლიოთეკები ყოველდღიურად ივსება ახალ-ახალი მასალებით. მაგალითად, ელექტრონულ სასწავლო მასალებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკებში, სადაც სტუდენტებს შესაძლებლობა ეძლევათ მათთვის მოსახერხებელი გზით ჰქონდეთ წვდომა სასწავლო რესურსებზე. მოგეხსენებათ, რომ ელექტრო-



ნული წიგნი საკმაოდ პოპულარული რესურსი გახდა დღეისათვის და საზოგადოებაშიც დიდია მოთხოვნა ე.წ. ელექტრონულ წამკითხველებზე (ქინდლი, ნუკი, პლანშეტური კომპიუტერები; იოტა რიდერი და იოტაბი). მათ თითქმის ჩანაცვლეს ბეჭდური წიგნები, მაგრამ წინასწარ იმის თქმა, რომ მომავალში წიგნი ფუნქციას დაკარგავს, არც თუ ისე უსაფუძვლო იქნება. თუმცა ბიბლიოთეკა და ბეჭდური წიგნი ყოველთვის შეინარჩუნებს თავის სტატუსს და შესაძლოა უფრო ძვირი სიამოვნებაც კი გახდეს, ვიდრე ელექტრონული მასალებია.

რაც შეეხებათ მუზეუმებს, ციფრული მუზეუმები თანამედროვე მუზეუმების უახლესი გადამწყვეტია, სადაც აქტიურად ხდება კულტურული მემკვიდრეობის გაცვიფრება და მათზე საჯარო წვდომის უზრუნველყოფა. ტექნოლოგიური ცვლილებების ფონზე, ისინი იღებენ ახალ-ახალ გამოწვევებს და მეტად ვითარდებიან. სწორედ ციფრული მუზეუმების დახმარებით შეგვიძლია მსოფლიოს ნებისმიერი ადგილიდან, დღე-ღამის ნებისმიერ დროს, ნებისმიერი მუზეუმის ვირტუალურად სტუმრობა და მასში დაცული კულტურული მემკვიდრეობის ნახვით ტკბობა.

ინტერნეტის და თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების შედეგად, ვირტუალური მუზეუმები საკმაოდ დიდი პოპულარობით სარგებლობენ ინტერნეტ სივრცეში. მათი საშუალებით ხორციელდება ფიზიკურად არსებული მუზეუმების კოლექციების ციფრული სუროგატების სახით წარმოჩენა. ეს პრაქტიკა ქართულ

რეალობაში, სამწუხაროდ, ჯერ განუხორციელებელი ეტაპია, მაგრამ იმედია, ჩვენთანაც მალე ვიხილავთ ნამდვილ ვირტუალურ მუზეუმს.

ფიზიკურ მუზეუმებში მისულ ვიზიტორებს სხვადასხვა სახის ინტერაქციებს სთავაზობენ თანამედროვე მუზეუმები. ეს შეიძლება იყოს: თამაშები, თემატური ტურები, საგანმანათლებლო აქტივობები, 3D რეპრეზენტირება, გაფართოებული რეალობა. საინტერესოა, რა ხდება ამ მხრივ ვირტუალურ მუზეუმებში, სადაც ვიზიტორი ონლაინ სტუმრობს მას. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა

ენიჭება მასზე ინტერაქციას, როცა სხვადასხვა სახის აქტივობას სთავაზობს სისტემა მომხმარებელს.

კვლევები ადასტურებს, რომ მუზეუმების ვებ-გვერდებს (რომლებიც ამავდროულად ვირტუალურ მუზეუმებს წარმოადგენენ) უამრავი ვიზიტორი ჰყავს. ისინი ინტერაქციას აყენებენ პირველ ადგილას. შესაბამისად, არსებობს მექანიზმები, რომელთა საშუალებითაც ვირტუალური მუზეუმები მომხმარებლის ჩართულობას და ინტერაქციას უზრუნველყოფენ. კვლევის შედეგად, შეგვიძლია გამოვყოთ მომხმარებელთა ინტერაქციას ძირითადი მექანიზმები. ესენია: ვირტუალური ტურები, 3D რეპრეზენტირება, ვირტუალური რეალობა, საგანმანათლებლო თამაშები, მულტიმედია აპლიკაციები, სოციალური ჩართულობა, ვირტუალური სასწავლო გარემო, ონლაინ დონაცია და სხვ. აღნიშნული მექანიზმების საშუალებით ხორციელდება მომხმარებელთა დაინტერესება და ჩართულობა ვირტუალურ მუზეუმებში. მისი როლი თანამედროვე ტექნოლოგიურ სამყაროში ნამდვილად შეუფასებელია.

ციფრული სამყარო ისეთ ჰარმონიაშია ყოველდღიურ ყოფასთან და იმდენი ტექნოლოგიური საოცრების თვითმხილველნი ვხდებით ყოველდღიურად, რომ რთული არ არის მივხვდეთ, თუ საითკენ მივყავართ მსოფლიოში არსებულ ტენდენციას და რას შეიძლება ველოდოთ. მთავარია მზად ვიყოთ ნებისმიერი სახის ცვლილებისა და სიახლისთვის.

მანანა დეკანოსიძე

თსუ ეროვნული ბიბლიოთეკის მომსახურების უფროსი

ქველი ქართული სასულიერო ლიტერატურის ქველავი - ჩვენი სასაზოგადოებრივი საუნივერსალი

თავისი მწერლობით ქართველმა ხალხმა გარკვეული წვლილი შეიტანა საკაცობრიო კულტურის ისტორიაში.

ძველი ქართული მწერლობა, რომელიც V საუკუნიდან დაწყებული XIX საუკუნამდე გრძელდება, შინაარსობრივად ორი მდიდარი და, მეცნიერული თვალსაზრისით, საინტერესო დარგის მწერლობისაგან შედგება – სასულიერო და საერო. რომელიც უფრო ძველი და უნიკალურია, ცხადია ჩვენს განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს.

ყოველი ერი, რომელიც თავისი წარსულით, კერძოდ, ლიტერატურით დაინტერესებულია, სასულიერო მწერლობის ისტორიას შესაფერადგის უთმობს მეცნიერული კვლევა-ძიების თვალსაზრისით. სასულიერო მწერლობა ხელს უწყობდა საქართველოს კულტურული კავშირის დამყარებასა და განვითარებას ევროპის ქვეყნებთან. ჩვენი დროის თვალსაზრისით რომ მივუდგეთ ძველ სასულიერო მწერლობას, დავინახავთ, რომ ამ მწერლობას აინტერესებს ისეთი აქტუალური თემებიც, როგორცაა პატრიოტიზმი, სახელმწიფოებრივი მშენებლობა, თავდადებული ბრძოლა სამშობლოს დაცვის მიზნით. სასულიერო მწერლობამ მოამზადა ნიჟარა, რომელზედაც აღმოცენდა საერო მწერლობა, მან დაამუშავა და ჩამოაყალიბა ის მდიდარი, ყოველმხრივ დახვეწილი და მოხდენილი ლიტერატურული ენა, რომლის შემდგომი განვითარების საფუძვრზე დაინერა „ვეფხისტყაოსანი“ და მისი მომდევნო მარგალიტები.

მთელი ქართული ისტორიულ-სოციალური მოვლენებია აღბეჭდილი ქართულ ორიგინალურსა და ნათარგმნ სასულიერო-ლიტერატურულ ძეგლებში. ქართულ ენაზე შემონახულია აგრეთვე უმდიდრესი საუნჯე უცხო ქვეყნების სასულიერო მწერლობისა, ისეთი ნაშთები და თხზულებები, რომელთა დედნები დაკარგულია და მეცნიერებისათვის საძიებელი გამხდარა.

აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ X საუკუნეში ყოფილა შედგენილი სინას მთის ქართველ მოღვაწეთა კატალოგი, რომლის შემორჩენილ ფრაგმენტში აღნუსხულია 22 სახელწოდების 52 ტომი.

საყურადღებოა აგრეთვე იოანე ათონელის ანდერძი, რომელშიც ჩამოთვლილია ის თხზულებანი, რომლებიც მისი ინიციატივითა და დახმარებით უთარგმნია მის შვილს, ექვთიმე ათონელს. აქ მოცემულია 26 ლიტერატურული ძეგლი.

ანალოგიური ხასიათის დოკუმენტია მელიქისედეკ კათალიკოსის 1040 წლის გუჯარი, რომელშიც ჩამოთვლილია 25 წიგნი, რომლებიც მას მოუპოვებია მის მიერ განახლებული და შემკობილი მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძრის საცავისათვის.

აღსანიშნავია, რომ ჩვენთან, საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის რარიტეტულ ფონდში, სხვა უძვირფასეს ძველ წიგნებთან ერთად, უპირველესად შეიძლება დავასახელოთ 1712 წელს დაბეჭდილი „მათეს სახარება“.

სასულიერო წიგნებთან ერთად შუა საუკუნეებში საერო წიგნების ბეჭდვა დაიწყო, რაც ახალი ეპოქის დასაწყისს წარმოადგენდა. პირველი სასულიერო ხასიათის ქართული წიგნი დაიბეჭდა რომში, 1629 წელს „ქართული ანბანი ლოცვებითურთ“, 1643 წელს – „ღვთისმშობლის სავედრებელი“ (საცდელი ანაბეჭდი), 1681 წელს – „საქრისტიანო მოძღვრება სიმვოლოებით“ კარდიანალ ბელარმინოსი და პატრი ბერნარდო მარიამისაგან გადმოთარგმნილი.

1741 წელს დაიბეჭდა „საქრისტიანო მოძღვრება გინა ნურთენა შვიდთა საიდუმლოთა ზედა“. წიგნი შეადგინა გორელმა ტულუკაანთ დავითმა იტალიურად, შემდეგ უთარგმნია ქართულად.

ამის შემდეგ რომში დაბეჭდილი ქართული წიგნი არაა ცნობილი. XIX ს-ის მიწურულს, 1699 წელს, იმერეთი დატოვა არჩილ მეფემ და რუსეთს შეაფარა თავი. მას საშუალება მიეცა შეესრულებინა სამშობლოდან გამოყოფილი დიდი ხნის ოცნება – ქართული წიგნის ბეჭდვა. ეს გრძნობა კიდევ უფრო გაუძლიერა ოსმალთა ბატონობის შედეგად გამაჰმადიანების გზაზე დამდგარ თანამემამულეთა ტრაგიკულ მომავალზე ფიქრმა. ამიტომაც სხვადასხვა გავლენიანი პირის დახმარებით ქართულ

შრიფტს უკვე თავს ამსტერდამში მოღვაწე უნგრელ ოსტატს ნ. კისის. ამავე დროს აგროვებს ხელნაწერებს „ბიბლიის“ ტექსტის გასამართად და გამოსაცემად, ხოლო 1705 წელს მოსკოვის სამეფო, ანუ სახაზინო სტამბაში უკვე ბეჭდავს „დავითს“.

1705 წ. არჩილისეულ „დავითს“ განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორიაში. ეს არის მოძრავი შრიფტით აწყობილი პირველი ქართული წიგნი. ამით იგი სრულიად განსხვავდება რომის გამოცემისაგან. არსებითი სხვაობა შეინიშნება მათ შორის პროფილის მხრივაც. თუ რომში დაბეჭდილი „ქართულ-იტალიური ლექსიკონი“, „ქართული ანბანი ლოცვებითურთ“ და „ქართული ენის გრამატიკა“ მხედრული შრიფტით აწყობილი საერო ლიტერატურაა, 1705 წ. „დავითნი“, პირიქით, ხუცურით დაბეჭდილი წმინდა საეკლესიო-ბიბლიური წიგნია.

ამრიგად, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ 1705 წელს მოსკოვში გამოცემული „დავითნიდან“ ახალი, აღმავალი ხანა იწყება ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორიაში. ამ დროიდან ხმარებაში შემოდის და პრაქტიკაში მტკიცედ მკვიდრდება მოძრავი შრიფტი. ამასთანავე მდიდრდება გამოსაცემი წიგნების პროფილიც. შემდეგში საერო ლიტერატურის პარალელურად იბეჭდება თემატურად მრავალფეროვანი საეკლესიო-საღვთისმსახურო წიგნებიც.

1709 წ. ვახტანგ VI-ის სტამბაში დაიბეჭდა „სახარება“ და „სამოციქულო“. იგი წარმოადგენს მოციქულების ეპისტოლეთა კრებულს. მართალია, „სამოციქულო“ საეკლესიო-საღვთისმსახურო წიგნია, მაგრამ უნდა ითქვას, რომ მან თავის დროზე მნიშვნელოვანი კულტურულ-საგანმანათლებლო როლი შეასრულა. ეს არის პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნი, რომლის ბოლო გვერდებშიც ტრადიციული ასოითი პაგინაციის ნაცვლად, გამოყენებულია არაბული ციფრები.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ „სამოციქულო“ პირველი ქართული წიგნია, რომელიც ორი ფერით – წითლითა და შავით არის დაბეჭდილი. ამით მას განსაკუთრებული ადგილი უკავია არა მარტო ვახტანგ VI-ის დროინდელ, არამედ საერთოდ ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორიაში.

აში.

ცნობილია, რომ ბიბლიური ლიტერატურა ორ ნაწილად იყოფა – ძველი და ახალი აღთქმის წიგნებად. ამ უკანასკნელს მიეკუთვნება „სახარება“ და „სამოციქულო“, ხოლო ძველი აღთქმისას „დავითნი“ და „წინასწარმეტყველთა წიგნები“.


„დავითნი“ ქართულ ენაზე 1709 წლის შემდეგ 15-ჯერ არის გამოცემული. 1921 წ. გამოცემული ერთი ეგზემპლარი ჩვენი ბიბლიოთეკის რარიტეტულ ფონდში ინახება.

1709–1723 წ.წ. ვახტანგ VI-ის სტამბაში იბეჭდება კიდევ ერთი წიგნი ძველი აღთქმიდან – „ბიბლია“. არსებობს სარწმუნო მოსაზრება, რომ ვახტანგისეული „ბიბლიის“ რედაქტორი სულხან-საბა ორბელიანია.

1710 წ. იბეჭდება ოთხი დასახელების წიგნი: „კონდაკი“, „ლოცვანი“ და ორი სხვადასხვა ფორმატის „ჟამნი“. ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში ინახება 1884 წ. დათარიღებული „ლოცვანი“ მღვდელმთავარ გობრონის მრგვალი ბეჭდითა და ავტოგრაფით, „ჟამნი“, 1867 წ. და 1899 წ. დაბეჭდილი „კონდაკი“, რომლის ბოლოსიტყვაობაში მითითებულია, რომ ეს წიგნი მიეძღვნა, ანუ ეკუთვნის გაბრიელ ალავერდელს, რომელიც სიონის საკათედრო ტაძარში იქნა განწესებული მღვდელმთავრად. წერილს ხელს აწერს მღვდელ-მონაზონი გობრონი, რომელიც ეპისკოპოს კალისტრატე ცინცაძის მიერ დანიშნული იქნა ცხუმ-აფხაზეთის ოლქის მთავარ ხუცესად. „კონდაკი“ – ეს არის წიგნი ღვთისმსახურთა სახელმძღვანელოდ, რომელშიც შეტანილია წირვის წესი და მოკლე ლოცვები. ძველად ქართულად მას „იბაკოც“ ეწოდებოდა.

ვახტანგისეულ „კონდაკს“ ბოლოს დართული აქვს მოკლე ლოცვანი სათაურით: „ლოცვანი ერის განტევებისა ყოველთა დღესასწაულთანი“, რომლის ქვეშაც ფრჩხილებში საგანგებოდ შენიშნულია: „უწყიდეთ, რომ ეს ლოცვანი არა აქვთ ბერძენთა და რუსთა, არამედ საქართველოს შინა თქმული არს და ამისთვის არც ჩვენ დაუტევეთ. ასე რომ, „კონდაკს“ ბოლოში დართული აქვს ქართული ლოცვები.

1710 წ. „კონდაკს“ განსაკუთრებული ადგილი უკავია ვახტანგ VI-ის სტამბის გამოცემებს



შორის. მასში ესტამპგრაფიურების გარდა ყურადღებას იქცევს შრიფტების ნაირსახეობა, გვერდების დაკაბადონების, წიგნის შემოსვისა და წითელი საღებავით ბეჭდვის მაღალი კულტურა. საერთოდ, წითელი ფერი „კონდაკში“ უხვადაა გამოყენებული. ზოგჯერ არა მარტო ცალკეული სიტყვები, არამედ მთლიანი გვერდებიც კი წითლადაა ნაბეჭდი.

ვახტანგ VI-ის წიგნებიდან „კონდაკის“ გარდა, აღსანიშნავია „ლოცვანი“. ძველად ამ სახელწოდების რამდენიმე წიგნი არსებობდა, რომლებშიც შეტანილი იყო საეკლესიო დღესასწაულებისა და ამა თუ იმ საცხოვრებო მომენტებთან დაკავშირებით წარმოსათქმელი სხვადასხვა სახის ლოცვა. ასეთები კი მრავალი იყო. მაგალითად, ცისკრის, შუალამის, კვირახალის, ნათლისღების, ჯვრისწერის, მიცვალებულთა წესის აგებისა და სხვა.

1710 წ. გამოცემა ძირითადად ბერძნულიდან თარგმნილი ლოცვებისაგან შედგება, ბოლოს კი დამატებული აქვს ქართველ წმინდანთა მოსახსენიებელი ტრადიციული საგალობლები.

1710 წ. „კონდაკისა“ და „ლოცვანის“ გარდა, ვახტანგ VI-ის სტამბაში იბეჭდებოდა, აგრეთვე დიდი და პატარა ფორმატის „ჟამნი“.

სტამბის ისტორიაში ამ მძიმე პერიოდში წიგნების ბეჭდვა-გამოცემის საქმე თითქმის მთლიანად ჩაკვდა. 1713 წ. გამოდის კიდევ ერთი ლიტურგიკული წიგნი – „კურთხევანი“. იგი შედგება ცალკეული ლოცვებისაგან, რითაც უახლოვდება ამავე სახელწოდების წიგნს – „ლოცვანს“.

1723 წ. თურქები თავს დაესხნენ ქართლს, დაწვეს და დაანგრიეს ეკლესია – მონასტრები, სასახლეები. ვახტანგს საქართველოში აღარ დაედგომებოდა. 1724 წ. იგი 1200-იანი ამალით რუსეთს გაემგზავრა. მისი სტამბაც მალე დაიხურა.

ვახტანგ VI-ის რუსეთს გადასახლების შემდეგ მტრისგან აოხრებული სტამბა კარგა ხნით იყო გაუქმებული. სტამბის მუშაობა ტფილისში განახლებულ იქნა ერეკლე მეფის ბრძანებით 1751 წელს.

სტამბის განახლების შემდეგ წიგნების ბეჭდვა მეტი ინტენსივობით იქნა გაგრძელებული. 1783 წ. დაიბეჭდა „სალმრთო მსახურება“. ამავე პერიოდში საგამომცემლო ასპარეზზე გამოდის ქრისტიანული კეფერაშვილი, რომელსაც შემდეგ მეფემ გადასცა სტამბა. ქრ. კეფერაშვილმა ბეჭდვა – გამომცემლობის საქმე საკმაოდ განავითარა. მის სტამბაში დაიბეჭდა ისეთი სასულიერო შინაარსის წიგნები, როგორცაა: „ლოცვანი“, „სახარება“, „სამოციქულო“, „ჟამ-

ნი“, „მარხვანი“, „სახარება“ (მეორედ), „ფსალმუნი“, „კონდაკი“, „კურთხევანი“, „დავითნი“, „სალმრთო მსახურება“.

ამრიგად, 1795 წლამდე ტფილისში სისტემატურად იბეჭდებოდა სხვადასხვა სასულიერო-საეკლესიო შინაარსის წიგნები. იმავე წელს ალა-მაჰმად-ხანმა ტფილისის აოხრებისას სტამბა ცეცხლს მისცა. მისი განახლება მხოლოდ 1800 წლისთვის გახდა შესაძლებელი. 1809-1810 წწ. უწმინდესი სინოდის წევრის არქიეპისკოპოსის ვარლამის ინიციატივით გააქტიურდა საკითხი თბილისში სასულიერო-საეკლესიო სტამბის დაარსების შესახებ. ამ საკითხთან დაკავშირებით მიმდინარეობდა გაცხოველებული მიწერ-მოწერა მეფის მოხელეებს შორის, მზადდებოდა პროექტები, დაისვა საკითხი: სკოლასთან დაარსებულიყო სასულიერო სტამბა თუ ცალკე.

ეს ის პერიოდია, როცა ცარიზმი საქართველოს ავტოკეფალიის გაუქმებისა და საეკლესიო ქონების გასახელმწიფოებრიობის პროექტს ამზადებდა.

1812 წელს კახეთში დიდმა აჯანყებამ იფეთქა. სტამბის ამუშავებისათვის თბილისში ასეთ პირობებში, ჩანს, არავის ეცალა, ხოლო თუ რა განწყობილება სუფევდა ამ დროს თბილისში რუს გავლენიან ფენებში, ეს კარგად ჩანს 1815 წ. 16 იანვრის მიმართვაზე იმ ოფიციალური პასუხიდან, რომელიც 1816 წ. იანვარშივე რტიშჩევმა გასცა:

„საქართველოში გუბერნიის ხელისუფლებას არ დაუარსებია სტამბა და მისი დაარსების საჭიროებას მთავრობა ვერც ნახულობს. აქაურ მთავრობას ძალიან ადვილად შეუძლია სტამბის გარეშე არსებობა“.

ასეთია ცარიზმის სატრაპის მეტად გულგრილი დამოკიდებულება თბილისის სტამბებისადმი, რაც სასულიერო სტამბებსაც ეხება. ასე რომ, 1816 წ. თბილისში „ლოცვანი“ დაიბეჭდა კავკასიის მთავარმმართველის სტამბაში და არა სასულიერო სტამბაში.

მოსკოვში ქართული საეკლესიო წიგნები XVIII ს. დასაწყისიდან 70-იან წლებამდე პერიოდულად იბეჭდებოდა.

პირველად არჩილ მეფე და ბაქარი ედგნენ სათავეში მოსკოვში ქართული წიგნის ბეჭდვის ორგანიზაციას, რომელიც შემდეგ ათანასე ამილახვარმა გააგრძელა.

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ საეკლესიო წიგნების ბეჭდვა სინოდის ხელში გადადის. 1805-1808 წ.წ. დაიბეჭდა „სადღესასწაულო“, 1815 წ. კი „ლოცვანი“. 1816 წ. დაიბეჭდა და ეკლესია-მონასტრებში დარიგდა

შემდეგი ნიგნები: „დავითნი“, „პარაკლიტონი“, „ჟამნი“, „კონდაკი“, „სახარება“, „სამოციქულო“, „კურთხევანი“.

ამრიგად, მოსკოვში არსებული სინოდის სტამბა გადაიქცა ქართული საეკლესიო-სასულიერო ნიგნების ბეჭდვის კერად, რომელმაც 1880-იანი წლების ბოლომდე გასტანა.

დიდი ღირსებით უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ეს ნიგნი, მიუხედავად ისტორიული ქართველობისა, ქართველმა მოღვაწეებმა შემოუნახეს ერს. იქნებ ბევრი რამ დაიკარგა, ბევრმაც ვერ მოაღწია ჩვენამდე, ჩვენთვის საამაყო და საიმედოდ. ჩვენი ბიბლიოთეკის რარიტეტულ ფონდში ინახება 1709 წ. დაბეჭდილი „საღმართო და სამღვდლო სახარება“; 1826 წ. მოსკოვში დაბეჭდილი „კურთხევანი სადიდებლად წმინდისა სამებისა“; ამავე წელს დაბეჭდილი „ლოცვანი შუალამისა“; 1821 წ. დაბეჭდილი „დავითნი“; 1884 წ. თბილისში გამოცემული „ქადაგებანი“, რომელიც მეგობრული გრძნობით მიუძღვნა გაბრიელ ეპისკოპოსმა პრინც მიურატს. ნიგნში შესულია ეპისკოპოსის მიერ წარმოთქმული სიტყვები სხვადასხვა რაიონში სხვადასხვა საეკლესიო დღესასწაულის დროს. ნიგნი დაბეჭდილია ა. ამილახვრის სტამბაში. ჩვენთან ინახება ამავე წელს ექ. ხელაძის სტამ-

ბაში დაბეჭდილი „დაბადება“, 1879 წ. კავკასიის ნამესტნიკის უმთავრესის სტამბაში დაბეჭდილი „ფსალმუნი დავითისი“. მასში დავითის 150 ფსალმუნი შედის. გვაქვს აგრეთვე ამავე წელს დაბეჭდილი „წმინდა სახარება მათესი“ და 1895 წ. მ. შარაძის სტამბაში გამოქვეყნებული „ქართული გალობა“, ლიტურგია. ნიგნს თან ახლავს პარტიტურა.

ძველი ქართული სასულიერო ლიტერატურის ძეგლები ჩვენი ქვეყნის დიდი სიმდიდრეა და მათი დაცვა ღირსების საქმეს წარმოადგენს. მათი ბიბლიოგრაფიული დოკუმენტირება უდავოდ მნიშვნელოვანი მოვლენა იქნება ჩვენი საზოგადოებისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

იოსელიანი ავ. ქართული მნიგნობრობის, ნიგნისა და სტამბის ისტორიის საკითხები, – თბ., 1990.

ქართული ლიტერატურის ისტორია: ტ. I – თბ., 1960.

გუგუშვილი პ. ქართული ნიგნი: 1629–1929 წწ. – თბ., 1929.

კასრაძე ო. ქართული ნიგნის ბეჭდვის კერები. – თბ., 1980.

მანანა ბაბაშვილი

აკად. გ. წერეთლის სახელობის

აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ბიბლიოთეკა

(ისტორიული ექსკურსი)

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკად. გ.წერეთლის სახ. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ბიბლიოთეკის ისტორია 1960 წლიდან, დღიდან ამ ინსტიტუტის დაარსებისა იღებს სათავეს და დაკავშირებულია არა მარტო ინსტიტუტის, არამედ ზოგადად ქვეყნის ისტორიასთანაც. ამიტომ არ არის შემთხვევითი, სხვადასხვა დროსა და ეპოქაში მასზე განათლებისა და მეცნიერებისადმი დამოკიდებულებაც რომ აისახა.

აკადემიკოსმა გიორგი წერეთელმა, აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დამაარსებელმა და მისმა დიდმა ქომაგმა, როდესაც ერთ-ერთ მთავარ ამოცანად ბიბლიოთეკის შექმნა დაისახა მიზნად, მას საერთო საინსტიტუტო ბიბლიოთეკის გარდა, სხვადასხვა განყოფილებასთან მცირე ბიბლიოთეკების დაარსებაც ჰქონდა გათვალისწინებული, რაც განხორციელდა.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ინსტი-

ტუტის ბიბლიოთეკასთან დაკავშირებული მასშტაბური გეგმის განხორციელებას აკად. გ.წერეთლის დიდმა საერთაშორისო ავტორიტეტმაც (როგორც საბჭოთა კავშირში, ისე მის ფარგლებს გარეთ) შეუწყო ხელი. სწორედ მისი ხელმძღვანელობით გაიშალა ფართო საბიბლიოთეკო საქმიანობა, რაშიც, პირველ რიგში, ინსტიტუტის თანამშრომლები ჩაებნენ. ამ ერთობლივი მუშაობის, დიდი ენთუზიაზმისა და ძალისხმევის, სამშობლოსა და მეცნიერების სიყვარულის შედეგია, რომ ჩვენ დღეს, აღმოსავლეთმცოდნეობის ბიბლიოთეკის სახით (არა მხოლოდ საქართველოს მასშტაბით), გვაქვს ერთ-ერთი უნიკალური, ფართო სამეცნიერო ცოდნისა და ინტერესების ამსახველი ბიბლიოთეკა. მისი ყველაზე ძველი ეგზემპლარი, რომელიც ბიზანტიის ისტორიას ეხება, 1613 წლით თარიღდება. ბიზანტიის ისტორიასთან არის დაკავშირებული

აგრეთვე ბიბლიოთეკაში დაცული XVII საუკუნისა და XVIII საუკუნის მრავალი ნიგნი.

საზოგადოდ, ბიბლიოთეკის არაერთ უნიკალურ გამოცემათა შორის, უნდა აღინიშნოს დიდროს 1778 წლით დათარიღებული ენციკლოპედია, რომელიც რუსეთის იმპერატორის, ალექსანდრე I-ის მიერ დაარსებული გიმნაზიიდანაა.

ბიბლიოთეკა ფლობს თავისი დროის სახელგანთქმული ისტორიკოსის რენე დე ვერტოს ნაშრომს (ხუთ ტომად) ჰოსპიტალიერების ორდენის შესახებ. თხზულება, მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, რამდენჯერმე ითარგმნა სხვა ევროპულ ენებზე და არაერთხელ გამოიცა ევროპაში. ჩვენ მეორე, 1752 წლის გამოცემას ვფლობთ.

ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში დაცულია, აგრეთვე ცნობილი ერთ-ერთი პირველი ევროპული ენციკლოპედიის, ბრიტანეთის ყველაზე ადრეული სრულყოფილი 1842 წლის გამოცემა.

ამგვარად, ბიბლიოთეკაში ინახება XVII, XVIII, XIX საუკუნეების სხვადასხვაენოვანი უნიკალური ნიგნები, XX და XXI საუკუნის ლიტერატურა, რაც მთლიანობაში ხუთ საუკუნეს შეადგენს.

2012 წლის მონაცემების თანახმად, ბიბლიოთეკაში 120000 ნიგნია, რომელთა რაოდენობა იზრდება ფონდების შევსების გზით.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ბიბლიოთეკის მნიშვნელობა და როლი ქართველ აღმოსავლეთმცოდნეთა არაერთი თაობის აღზრდისა და ქართული ორიენტალისტიკის მსოფლიო ასპარეზზე გაყვანის საქმეში.

აღსანიშნავია, რომ აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში დღესაც მუშაობენ თანამშრომლები, რომლებიც ამ ინსტიტუტის არა მხოლოდ უბრალო მემბტიანეები, არამედ მისი ბიბლიოთეკის შექმნის მონაწილეები არიან. მათ კარგად ახსოვთ პერიოდი, როდესაც ბიბლიოთეკის მიზანმიმართული შევსება და სათანადო ლიტერატურით გამდიდრება იწყებოდა. საამისოდ, პირველ რიგში, გამოყენებული იყო მოსკოვისა და ლენინგრადის დიდი ტრადიციების მქონე ორიენტალისტიკის კერები. ამ ქალაქების შესაბამისი ბიბლიოთეკებიდან, რომლებსაც დუბლიკატები გააჩნდათ, მოზიდულ იქნა ნიგნები. ნაწილი ამ ნიგნებისა მოსკოვისა და ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკების საჩუქარს წარმოადგენდა. მეორე ნაწილი კი ამ ქალაქებში მოღვაწე, ცნობილ და უკვე გარდაცვლილ მეცნიერთა ბიბლიოთეკებით შეივსო, რომლებიც ინსტიტუტის დირექციამ შეიძინა.

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგ შემთხვევაში ეს არცთუ ისე იოლი საქმე იყო.

ამ მხრივ დიდია ბიზანტინისტების — ნელი მახარაძისა და ნათელა კეჭალაძის დამსახურება,

საქმისადმი მათი თავდადება. მაგალითად, ნ. მახარაძე ნ. კეჭალაძის რეკომენდაციით, აკად. გ. წერეთელმა, ინსტიტუტის სახელით, ნახევარი წლით მოსკოვსა და ლენინგრადში მიავლინა. მას იმედი ჰქონდა, რომ ახალგაზრდა, დამწყები მეცნიერი შეძლებდა ბიზანტინისტ ნ. ლებედევის ქვრივის, პეტერბურგის ინტელიგენციის ძველი თაობის წარმომადგენლის, უაღრესად განათლებული ქალბატონის დათანხმებას, რომელმაც კარგად იცოდა მეუღლის ბიბლიოთეკის ფასი და რომელიც კატეგორიული წინააღმდეგი იყო მისი ლენინგრადიდან გატანისა. მართლაც, ნ. მახარაძემ შეძლო ლებედევის ქვრივის დარწმუნება (ვისთანაც მან მისი ცხოვრების ბოლომდე თბილისი ურთიერთობა შეინარჩუნა) საქართველოსთვის ამ ნიგნების განსაკუთრებულ მნიშვნელობაში, სადაც ლებედევის ხსოვნას ყოველთვის დიდ პატივს მიაგებდნენ. იგი ხუთი თვის მანძილზე მუშაობდა მეცნიერის ბინაში, აღწუსსავდა და აღწერდა უძვირფასეს ნიგნებს, რაც საკმაოდ მძიმე სამუშაო იყო და რამაც მის ჯანმრთელობასა და მხედველობაზე იმოქმედა. საბოლოოდ, მაშინ ახალგაზრდა, დამწყებმა მეცნიერმა, ლენინგრადსა და მოსკოვში ხანგრძლივი მივლინების შედეგად (აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტისთვის), 27000 ათასი ნიგნის გადმოგზავნა შეძლო.

ინსტიტუტის ბიბლიოთეკას გარდა ნ. ლებედევისა, მოსკოვსა და ლენინგრადში მოღვაწე სხვა ცნობილ მეცნიერთა ფონდებიც დაემატა (ტოლსტოის, ტვერიტინოვას, ბორჩევსკის;) 1968 წ. უკვე თავად უდროოდ გარდაცვლილი ნ. კეჭალაძის ბიბლიოთეკაც შემატა (650 ერთეული). 1989 წ. მას შეემატა არაბისტ ე. სიხარულიძისა (512 ერთეული) და მ. ჩხეიძის (267). პირადი ბიბლიოთეკები.

1984 წ. სირიაში მცხოვრებმა ქართველმა ბიზნესმენმა და მეცენატმა ლევან სალარაძემ ინსტიტუტის ბიბლიოთეკას გადასცა 421 ნიგნი (არაბული ისტორიული წყაროები, ლიტერატურა, ლექსიკონები).

აღსანიშნავია, რომ თუ 1992 წლამდე ბიბლიოთეკა ივსებოდა საბჭოთა კავშირის სხვადასხვა სამეცნიერო ცენტრიდან გამოგზავილი ნიგნებითა და სამეცნიერო ჟურნალებით, ასევე საზღვარგარეთიდან — ევროპის, აშშ და აზიის ქვეყნებიდან შემოსული ლიტერატურით. 1992 წლიდან ვითარება რადიკალურად შეიცვალა.

სახელმწიფო გადატრიალების შედეგად (1992 წ.) საქართველოში მიმდინარე მოვლენები ინსტიტუტისა და ბიბლიოთეკის ცხოვრებაზეც აისახა. ქვეყნის კრიმინალიზაციამ საფრთხე შეუქმნა აღმოსავლეთმცოდნეობის ბიბლიოთეკასაც.

უკონტროლობა და ქაოსი ართულებდა მათ დაცვას, რის შედეგადაც ზოგიერთი განყოფილების სეიფიდანაც კი დაიკარგა წიგნები. გამომჩნდნენ მათზე მონადირე საეჭვო პიროვნებები, რომლებიც მზად იყვნენ გარკვეული თანხის საფასურად ხელთ ეგდოთ ბიბლიოთეკის ძველი და განსაკუთრებული ღირებულების უნიკალური ლიტერატურა. მათთან გამკლავება, ზოგჯერ არც თუ ისე უსაფრთხო სიტუაციაში უხდებოდათ ჩვენი ბიბლიოთეკის თანამშრომლებს საბაშვილსა და მედეა ქაჯაიას, რომლებიც წლებია პატიოსნად და ერთგულად ემსახურებიან თავის საყვარელ საქმეს, რაშიც ამ დიდი პასუხისმგებლობის სანაცვლოდ მიზერულ, ფაქტობრივად, სიმბოლურ ხელფასს იღებენ.

როგორც აღინიშნა, წიგნების შევსების სისტემა შეიცვალა 1992 წლიდან და ის კერძო ინიციატივასა და სურვილს დაექვემდებარა. ამ მხრივ ასეთი სურათია: ეს არის თავისი დარგის ცნობილი სპეციალისტების, ისტორიისა და ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორებისა და აკადემიკოსების, ინსტიტუტის ან გარდაცვლილ თანამშრომელთა კერძო კოლექციები, რომელიც მათი ოჯახის წევრებმა ინსტიტუტის ბიბლიოთეკას გადასცეს. ესენი არიან: ო. ცქიტიშვილი (1995 წ. 100 ერთეული), ლ. ნადირაძე (1995 წ. 180 ერთეული), თ. ჭავჭავაძე (1997 წ. 60 ერთეული), ვ. გვახარია (1995 წ. 200 ერთეული), ო. ქაჯაია (1996 წ. 1100 ერთეული), კ. წერეთელი (2000 წ. 600), მ. დამენია (2008 წ. 213 ერთეული), მ. ნედოსპასოვა (რომლის წიგნების გადმოცემის პროცესი 2010 წლიდან დაიწყო და არ დასრულვებულა).

იგივე უნდა ითქვას მ. სვანიძეზეც (2011 წლიდან). 2012 წ. ბიბლიოთეკა შეივსო ნ. ბაბალიკაშვილის წიგნებით (120 ერთეული). სხვადასხვა, აღმოსავლურ და ევროპულ ენებზე დაწერილ ამ წიგნებს შორის, უნიკალური და იშვიათი ღირებულების წიგნებიცაა.

კიდევ ერთი წყარო ბიბლიოთეკის ახალი ლიტერატურით შევსებისა, არის სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილე თუ სამეცნიერო მივლინებებში წასულ მეცნიერთა მიერ უცხოეთიდან ჩამოტანილი და ასევე საზღვარგარეთიდან მათთვის საჩუქრად გამოგზავნილი წიგნები. მაგ., ამ გზით, გ. ბერაძე 2008 წლიდან სხვადასხვა ენოვანი (სპარსული, გერმანული) წიგნებით ავსებს ინსტიტუტის ბიბლიოთეკას.

აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ყოფილ დირექტორს, ამჟამად მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს აკად. თ. გამყრელიძეს, 1997 წლიდან დღემდე, პერიოდულად, ბიბლიოთეკაში შემოაქვს სამეცნიერო ლიტერატურა, რომლის რაოდენობაც დღეს უკვე 1200 ერთეულს აღწევს.

2008 წ. ა. ჟორდანიამ მამის, ცნობილი ისტორიკოსის პროფ. გ. ჟორდანიას წიგნები (213 ერთეული) გადასცა ინსტიტუტის ბიბლიოთეკას. მანვე, უკვე საკუთარი, არაბული ქვეყნებიდან ჩამოტანილი ლიტერატურა გადასცა ინსტიტუტის ბიბლიოთეკას. იგივე 2008 წ. გააკეთა დიპლომატმა თ. ზუმბაძემ.

პერიოდულად ინსტიტუტის ბიბლიოთეკას წიგნებს სწირავენ მისი ყოფილი თანამშრომლებიც: ნ. ბენდუქიძე (გრძელდება მისი შევსება), ი. შერვაშიძე (350 ერთეული), გ. ჯაფარიძე (120-ზე მეტი, რომელიც ივსება), ა. პავლოვა (2010 წლიდან ლიტერატურა ჩინურ ენაზე).

1995-1997 წ. აშშ-ს მეგობრობის ფონდმა აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ბიბლიოთეკას გადასცა 245 წიგნი, სამხრეთ აღმოსავლეთ აზიის ისტორიისა და თეოლოგიის პრობლემების შესახებ.

1997 წ. ამერიკელ ებრაელთა საზოგადოებამ „ჯოინთმა“ ბიბლიოთეკას 96 წიგნი უბოძა, რომელიც ძირითადად ებრაელი ხალხისა და ისრაელის სახელმწიფოს ისტორიის შესახებ არის დაწერილი.

გერმანიის ერთ-ერთმა ორგანიზაციამ 62 წიგნი გადმოსცა ბიბლიოთეკას აღმოსავლეთის ქვეყნებსა და ისლამზე.

ინსტიტუტის ბიბლიოთეკის ისტორია, რომელიც უკვე არსებობს 53 წელს ითვლის, როგორც აღინიშნა, ქვეყნის ისტორიას, ამა თუ იმ პერიოდში განათლებისა და მეცნიერებისადმი დამოკიდებულებას უკავშირდება.

საქართველოს საბჭოთა იმპერიაში ყოფნისას ქართველი მეცნიერები და მოღვაწენი, განათლებისა და მეცნიერების ინტერესებიდან გამომდინარე, კარგად იყენებდნენ იმპერიის მასშტაბებსა და შესაძლებლობებს. ესენი პატრიოტი მეცნიერები იყვნენ, რომლებიც ქვეყნის მომავალზე ფიქრობდნენ და შორს იყურებოდნენ. პარადოქსულია, რომ დამოუკიდებელ საქართველოში სხვა სურათი მივიღეთ, რაც წიგნისადმი გაუცხოებაში, განათლების დონის დაცემასა და სამეცნიერო ინსტიტუტების დარბევაში გამოიხატა. დღევანდელი აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის სავალალო მდგომარეობა ამის მაგალითია.

თანაც ეს ხდება იმ ვითარებაში, როდესაც ახლო და შორეულ აღმოსავლეთში მიმდინარეობს ურთულესი და ზოგ შემთხვევაში ჩვენთვის სახიფათო ტენდენციები, რომლის სათანადო და სიღრმისეული ანალიზი არ კეთდება. ასეთ ვითარებაში რამდენად სწორია, რომ ინსტიტუტის ბიბლიოთეკა ივსება არა ინტენსიურად, გეგმაზომიერად და მიზანმიმართულად, არამედ სპონ-

ტანურად, ძირითადად ცალკეულ პირთა კეთილი ნების საფუძველზე. თანაც იმ დროს და ისეთი გამონევენების პირობებში, რომლის წინაშეც ვდგავართ და რომელიც ქვეყნის უსაფრთხოების პრობლემებსაც უკავშირდება.

აქედან გამომდინარე, დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში საერთაშორისო სახელისა და ავტორიტეტის მქონე ინსტიტუტი (დროის მოთხოვნისა და უმწვავესი პრობლემებიდან გამომდინარე), არათუ უფრო გაზარდეს, არამედ დააკნინეს. დღეს საქართველოს პოლიტიკისა და ისტორიისთვის ამ უმნიშვნელოვანეს ინსტიტუტს არ გააჩნია მატერიალური ბაზა (თანამშრომლებს ასევე მიზერული ხელფასები აქვთ) იმ მასშტაბური კვლევების ჩასატარებლად, რაც, როგორც აღინიშნა, დროის მოთხოვნაა, ახლო და შორეულ აღმოსავლეთში მიმდინარე ურთულესი პროცესებიდან გამომდინარე.

ერთ-ერთი მიზეზი გაუაზრებელი რეფორმებიცაა, რაც ბიბლიოთეკებსაც შეეხო. როგორც ცნობილია, ინსტიტუტების განადგურებასთან ერთად მათ ბიბლიოთეკებში დაცული წიგნები ყუთებში მოათავსეს (ეს უკეთეს შემთხვევაში), რამაც ისინი მეცნიერთათვის მიუწვდომელი გახადა. ნაწილი პირდაპირ სარდაფებში ჩაყარეს, რის შედეგადაც ზოგიერთი წიგნი უბრალოდ დაღუპა. ამას დაემატოთ ე.წ. "რეფორმატორთა" საეჭვო დირექტივები ბიბლიოთეკებიდან წიგნების გამოხშირვის თაობაზე, რაც ბიბლიოთეკებმა ერთდროულად მიიღეს, ეს არის, ერთი მხრივ, აზროვნებაზე კონტროლის აპრობირებული მე-

თოდი, მეორე მხრივ, დირექტივების საბაზით ღირებული წიგნების ხელში ჩაგდების საშუალება.

არავინ იცის, რამდენი წიგნი გაქრა ამ გზით და რამდენია გატანილი საზღვარგარეთ. ეს ეხება რუსულ წიგნებსაც, რომლებსაც ბრძოლა ცრუ პატრიოტიზმის სახელით გამოუცხადეს. ასე რომ, 1992 წლის მოვლენების შედეგად წიგნებმაც გაიზიარეს ადამიანების ბედი. ამ მხრივ აღმოსავლეთმცოდნეობის ბიბლიოთეკა ბენჯეა გადარჩენილი. ცალკეულ ადამიანთა საქმისადმი და სამშობლოსადმი ერთგულებამ, სიფხიზლემ იხსნა ეს უნიკალური ბიბლიოთეკა განადგურებისგან.

ამ ბოლო დროს მას დიდი ამაგი დასდო ილიას უნივერსიტეტის (რომელშიც შედის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი) ბიბლიოთეკების დირექტორმა თეო ყაველაშვილმა. მან და აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ბიბლიოთეკარებმა მ. საბაშვილმა და მ. ქაჯაიამ ერთობლივი მუშაობით სრული წესრიგი დაამყარეს და ყოველმხრე მოანესრიგეს ბიბლიოთეკა.

ჩვენი აზრით, კარგი იქნებოდა, თუ ყველა ინსტიტუტი დანერდა და წარმოადგენდა თავისი ბიბლიოთეკის ისტორიას. ეს იქნებოდა საინტერესო მონოგრაფია ჩვენი ქვეყნის ისტორიის ამ კუთხითაც წარმოჩენისა. რადგანაც, ცნობილია, რომ ბიბლიოთეკების ისტორია პირდაპირ კავშირშია განათლებასა და მეცნიერებასთან, იმ მოღვაწეთა სახელებთან, რომლებმაც დიდი ღვაწლი დადეს ქართულ მეცნიერებასა და კულტურას, ასევე ქართულ საბიბლიოთეკო საქმიანობას.

ფილოლოგიური კიეპანი

დავით კოტორაშვილი

ხე-ყვავილნარის წალკოტი წიგნის სამყაროს ნაკრძალუი (მრავალხმიანი რეპინსცენსიური აკლიკასიუი)

ჩანახატი

ავტორის წინმსწრები მინაწერი

ჟურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკის“ ძვირფასო მკითხველო!

გილოცავთ გაზაფხულის დამკვიდრებას ჩვენს მაღლიან მიწა-წყალზე და ამასთანავე მსურს, თქვენთან ერთად გავხდე ღვთივკურთხეული ჩვენი „უენ-პირო ბუნების“ (ვაჟა) სახისმეტყველების თანამოსაუბრე; მსურს,

ერთად გავხედოთ სამყაროს ამ დიდებული სამკაულის, ამ ედემ-წალკოტის მიერ გამოვლილ გზას ბიბლიური „დაბადებიდან“ დღემდე და ერთად შევიხსენოთ, თუ როგორ აასაუბრეს, აამეტყველეს „ენა რამ საიდუმლო უასაკოთაც და უსულთ შორის“ (ბარათაშვილი) წმინდა წერილებმა, ჭილ-ეტრატებმა, პალიმფსესტებმა,

ტაძრიონთა ქვის პერანგებსა თუ საფლავთა ქვებზე ამოჭრილმა ხე-ყვავილების ნატიფმა ჩუქურთმებმა და, რაც მთავარია, ქართულმა პოეტურმა სიტყვიერებამ, ქართულმა მუსიკალურმა ხელოვნებამ...

ოღონდ...

ჩვენი ქვეყნის ფლორითა და ფაუნით მოხიბლულ – გაბრუებული ტურისტის ეიფორიით კი არა, არამედ ჩვენი დედა ენის ჭირისუფალთა, მამულისათვის, სარწმუნოებისათვის თავდადებულთა და შრომის ოფლის მიწაში ჩამწვეთებულთა საგანგაშო განცდებით. შევიდეთ სულიწმინდის მადლით გასხივოსნებული ნიგნისა და ნიგნიერების ნაკრძალში და ერთად მივეფეროთ თითქმის ეკოლოგიური კატასტროფის ხიფათის წინაშე მდგომ „წითელი ნიგნის“ კარიბჭესთან შეყვინებულ მწვანე საფარს დედამიწისას... ამით მსურს, შეძლებისადაგვარად ჩემი ხმაც შევანიო ქართველი კაცის მიერ სიმღერით თქმულ ანდერძს: „ტყე შეუნახე შვილებსა, მამა ხარ, შენი ვალია!...“

ბუნებრივია...

ყველას ან თქვენეული ედემ-ნალკოტი გადამგებლებათ თვალწინ, ან თქვენებურად წამოგამღერებთ, ან თითო სტრიქონით მაინც შეგნევიან თქვენი საყვარელი ნიგნის სამყაროს ნარკძალიდან...

ამა თხზულების შთაგონების მთავარი მაცოცხლებელი წყაროა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის შეგონება-მოწოდება სრულიად საქართველოს მოსახლეობისადმი ხეების დარგვა-გახარება-მოშენების თაობაზე.

სიბრძნის სამყაროს ნაკრძალში

ამ ერთმა დარგმა ღმრთიანმა

ხე-ყვავილნარის ნალკოტი

იდუმალ აახშიანა...

ვარდთა და ნიგნთა ფურცლები

აფურცლა... ააშრიალა,

„დრო მათის პაემანისა“

„სრულქმნა“ და „აამზიანა“ (დ. კ.)

1.

და ამ ღვთაებრივ ნალკოტში შუამავლად გვევლინება მინდია, რომელსაც ესმის დღეიდან ყოველი,

„რასაც ფრინველნი გალობენ,

ან მცენარენი, ცხოველნი,

როდის ილხენენ, წვალობენ.

რაც კი რამ დაუბადია

უფალს სულიერ-უსულო,

ყველასაც თურმე ენა აქვს,

არა ყოფილა ურჯულო“.

(ვაჟა-ფშაველა)

„ყველასაც თურმე ენა აქვს“.... და აჰა:

– „აგრგვინდა ცა და ღრუბელი,

ცროდის ბროლისა ცვარითა,

ვარდთა აკოცა, ბაგითა,

მითვე ვარდისა დარითა,

უბრძანა: „გიჭვრეტ თვალითა,

გულ-ტკბილად შემხედვარითა,

მისად სანაცვლოდ მოვილხენ

თქვენთანა საუბარითა“

(შოთა)

გავიდა ჟამი... და

– „ვარდმან შემრისხა თავმომწონები,

ისარი მტყორცნა დასამონები,

სრულად მიმილო ყოვლი ღონები,

მითხრა: „იფიქრე გულს ნაქონები,

მისთვის იქნები დასაყონები“.

(ბესიკი)

და ითქვა ნათელად:

– „მრწამს რომ არს ენა რამ საიდუმლო

უასაკოთაც და უსულთ შორის

და უცხოველეს სხვათა ენათა

არს მნიშვნელობა მათის საუბრის“.

(ბარათაშვილი)

– „როცა ჰღმუოდნენ ხევში მძვიფრნი

სასტიკნი ქარნი,

ვითარ მრისხანე დაჭრილ ღომთა

საშიშნი ხმანი,

ვითა ფოთოლი – ისე ვთრთოდი,

ვუგდებდი რა ყურს,

იმ ხმებში ვგრძნობდი მე რალაცას ნაცნობს,

მშობლიურს“

(ილია)

– „შეიტყვეთ საიდუმლობა

ზეციურ ტკბილი ხმებისა

და შეისწავლეთ კანონი

იმათი შეთანხმებისა“.

(აკაკი)

– „უსულო საგნებს სული ჩავბერე,

ავასაუბრე ლოდები კლდისა,

და როგორც მეფე გავათამამე

მწირი ბალახი, ის ქუჩი მთისა.

მადლი მფენია მარჯვენაზედა

იმ შემომქმედის მაღალის ღვთისა“.

(ვაჟა)

– „ატყდა ვაზების კვირტი,
ცრემლის დაგუბდა წყარო,
სწუხდა ლიახვის ზვირთი,
შენ რაღას იტყვი, მტკვარო?
(გალაკტიონი)

– „მზეო, დედასთან მიმავალო,
ღმერთი რო შაგხედეს, შამახვენე,
ჩემ შვილ უკვენავ გამოგზავნოს“.
(ხალხური)

– „ვინ გაექცევა ლექსების ხმალსა,
ლექსის ჯვარიდან ვინ აგხსნის მკლავებს,
რაღაც ატირებს მდინარის ხმასაც,
და ჩარიგებულ ცაში ვარსკვლავებს“
(გოგლა)

– „რა ჩურჩული ესმით ჩემთა ყურთა
რა ჩურჩული, დამდაგველი, მწველი“.
(ანა)

2.

„დაღათუ ესენი დადუმნენ, ქვანი ღაღადებ-
დენვე“ (ლუკა, 19–49), მაგრამ, ღვთის წყალო-
ბით, მათ დადუმება არ უნერიათ, რამე თუ

„ეს დალოცვილი ქვეყანა
უფალმა გაგვიზიარა...“

„გვაქვს უთვალავი ფერითა“
ციან–მინიან–ზღვიანა...“

მსურს ყველას მივეხმატებო
ყველა ფერისა ფერითა...“

„ძალი მომეც და შენვენა“,

„ამოვთქო“ აღმაფრენითა...“

ითქვა, მალამოდ დაედეთ
მამულის ღხინს თუ იარას...“

უსმინეთ დედას ღვთისასა,
მფარველად შეგვეფრთიანა...“

უსმინეთ ღაღადს ქვისასა
საძირკველ–გუმბათ–ჯვრიანა...“

უსმინეთ დავით–გარეჯას
და მარნებს კარებჭრილას...“

„რა ვქნაის ციხის“ საკვენესარს,
დარდ კარად რომ ჰბმის ტიალა...“

კოსმოსში აჭრილ „ჩაკრულოს“...“

ვარსკვლავთა ჟრიკჟრიკს წკრილას...“

ამბავსა, მცხეთით მოტანილს,
ყველა რომ აგვანრილა –

„რომ მცხეთის კარგად ამგებსა
მარჯვენ მკლავსა სჭრიანა“...“

რომ ჯურხაის ფარს გერგეტში
ბრძოლად რად გააჟრილა...“

მუხა–იფნების ტოტებმა
ერთი რამ დაიგრილა

და ბრონეულის ყვავილმა
ნიგნის ფურცლებზე იალა...“

მუნ ნალვერდალი დუმილი
აღანთო, ააბრალია!...“

(დ. კ.)

და ასე კიაფობს ნიგნიდან ნიგნში... ხელნა-
ნერიდან ხელნანერში... ჭედურობიდან ჭედუ-
რობაში... ჩუქურთმიდან ჩუქურთმაში „ცეცხ-
ლოვანი ბრონეული... ბიბლიიდან მოღწეული“
(თამაზ ჭილაძე) და სიტყვანი თუ ხელსაქმენი
შემოქმედთან არს „... შეზავებულ მარილითა
მადლისაითა“ **(გიორგი მერჩულე)**.

3.

წინმსწრები მინანერები

„განანათლის გონებაი შენი ნიგნის კითხვა-
მან“ (მ. ს. ნ. 19,2).

„არც უნიგნობა ვარგა და არც მარტო ნიგ-
ნებიდამ გამოხედვა. უნიგნოდ თვალთახედვის
ისარი მოკლეა და მარტო ნიგნითაც საკმაოდ
გრძელი არ არის... ყველა გონიერი კაცი იგივე
ნიგნია“ **(ილია)**

„შენ, ჰე, ფარნაოზ, ჰქმენ ერთმთავრობა,
შენ მოეც ქართველს ნიგნი პირველი,
შენ დაუმკვიდრე ერსა ერთობა
და ერთობისა წესი და ძალი“.

(გრიგოლ ორბელიანი)

„ნიგნი კი არა, ბალი ხარ
ოქროს ცვარჩამონვეთილი,
გაშლილი ბაირალი ხარ,
ლექსის ფრთა გაუცვეთელი“.

(გოგლა)

„ნიგნი კი არა, ბალი ხარ
ოქროს ცვარჩამონვეთილი,
გაშლილი ბაირალი ხარ,
ლექსის ფრთა გაუცვეთელი“.

(გოგლა)

„ია... აი ია“ **(იაკობ გოგებაშვილი „დედა ენა“)**

ედემ–ნალკოტიდან დღესაც მკაფიოდ მოის-
მის გაბრძნობილ მინდიას დანაბარები: „იას
უთხარით ტურფასა“, რომ „აღმოაცენა უფალ-
მა ღმერთმა მინიდან ყოველი ხე სანახავად სა-
ამო და საჭმელად ვარგისი, შუაგულ ბაღში კი
ხე სიცოცხლისა და ხე კეთილის და ბოროტის
შეცნობისა“ (დაბადება. 2,9) ხოლო მოსეს „გა-
მოეცხადა უფლის ანგელოზი ცეცხლის ალად
შუაგულ მაყვლოვანში. ხედავს, ცეცხლი უკი-
დია მაყვლოვანს, მაგრამ არ იწვის მაყვლის
ბუჩქი“ (გამოსლ. 3,2) ახალი აღთქმა კი ქადა-
გებს: იესომ „სხვა იგავიც შესთავაზა მათ და
უთხრა: ცათა სასუფეველი მსგავსია მდოგვის
მარცვლისა, რომელიც აილო კაცმა და დათესა
თავის ყანაში... ეს მარცვალის ყოველნიერ ხეზე
მცირეა, მაგრამ როცა ამოვა, ყველა მწვანე-
ზე დიდი ხდება და ხედ იქცევა, ისე რომ მოფ-

რინავენ ცის ფრინველნი და მის ტოტებზე იბუ-
დებენ“ (*მათე. 13, 31-32*)

– „ლელვისაგან ისწავლეთ მაგალითი: როცა მისი რტოები დარბილდება და როცა ფოთლებს მოისხამს, იცით, რომ ახლოა ზაფხული“ (მარკოზი, 15,17)

– „ვინაიდან არ არის ვარგისი ხე, რომელმაც გამოიღოს უვარგისი ნაყოფი და არც უვარგისი ხე, რომელმაც კარგი ნაყოფი გამოიღოს, რადგან ყოველი ხე თავის ნაყოფით იცნობა იმიტომ, რომ არც ეკალზე კრეფენ ლელვს და არც ნარისგან მოისთვლიან ყურძენს“ (ლუკა, 6,43-44).

– „მე ვარ ვაზი ჭეშმარიტი და მამაჩემი მევენახეა, ყველა ლერწმს, რომელსაც არ გამოაქვს ნაყოფი, მოჭრის და ყველას, რომელსაც გამოაქვს ნაყოფი, განმენდს, რათა უფრო მეტი ნაყოფი გამოიღოს“. (იოანე, 15,1-2)

და აგერ, ლამის ათას წელზე მეტი შეუსრულდა ქართულ საგალობლებს:

– „ვითარცა ვარდი მენამული და ვითარ შროშანი და ვითარ ყვავილი ღელეთაი გპოა ქრისტემან ღმერთმან და განაკაცნა შენგან ქალწულო“.

(გიორგი მთაწმინდელი)

– „ვენახი რქაშუენიერი ანაისგან აღმოსცენდა და ტევანი სიტკოებისაი აყუავილნა“ (ძველი მეტაფორასული კრებული)

– „ღმრთისმშობელსა ვადიდებდეთ, მშობელსა და ქალწულსა, დედასა მეუფისასა, ვენახსა გონიერსა“ (*იოანე მინჩხი*)

– „შენ ხარ ვენახი, ახლად აღყუავებული, მორჩი კეთილი, ედემში დანერგული, ღმერთმან შეგამკო, ვერავინ გჯობს ქებული და თავით თვისიო მზე ხარ გაბრწყინებული“ (*დემეტრე მეფე*)

ამ გენიალურ საგალობელს დღესაც კი იდუმალ გამოსცემენ იავარ ქმნილი ქვაბურები დავით გარეჯისა...

4.

და აი ასე... საგალობელთა... ზარ-ზმათა ლივლივში „მე ვკითხულობდი „ქართლის ცხოვრებას“ (*გოგლა*); მისი ფურცლები კი ღალადებენ;

„ელიოზ, შიშითა შეპყრობლმან, დაი იგი საყვარელი და წმიდაი კვართითურთ დაჰკრძალა მინასა შინა და მეყსეულად აღმოხდის მის ზედა ხენი იგი კვიპაროზნი და აღმოცენა ხესა მას ქვეშ ყვავილი მრავალფერი და სულნელი“ („წმინდა ნინოს ცხოვრება“).

– „ნინო წარვიდა მაყუალთა მათ შინა, რომელნი – იგი დგეს შორის სამოთხესა მას მახ-

ლობად კვიპაროზთა მათ, რომელნი – იგი სახედ ტალავრისა გარდაფენილ იყუნეს და ჰფარავდეს მას“ („წმინდა ნინოს ცხოვრება“).

– „ვითარცა მოჰყუეთეს ხე იგი კვიპაროზი, გამოსცა სულნელები მიუთხრობელი და შეჰმზადეს სუეტად... ხოლო ნეტარი ნინო დგას მას ღამესა მახლობლად სუეტისა მის, ილოცვიდა და იხილა ჭაბუკი ერთი ნათლითა შემოსილი... და კაცმან მან, ნათლით შემოსილმან, აღჰმართნა ძელი იგი აღმართებით ადგილსა მას, სადა იგი მდგომარე იყო... და გამოსცემდა ბრწყინვალეებასა და ფრიადსა სულნელებას“ („წმინდა ნინოს ცხოვრება“).

– „გიხაროდენ გიორგი, რქაო შუენიერო ქრისტეს ვენახისაო, ჭეშმარიტო, რომლისა მოქმედ არს მამაი იგი ზეცათა, რომლისა აღსარაგებისა მისისა ნაყოფი უკუნისამდე ჰგეის... გიხაროდენ, გიორგი, რომელმან მოისთულე ტევანი იგი სიტკოებისაი ვენახისა მი სწმიდისაგან საიდუმლოთა კეთილთა აღსარებისაითა და სუ მისგან ღვიწხო იგი“ (*ნეტარი თეოდულა ხუცესი*).

5.

ისევ დიდება ხესა და ყვავილს:

„წმინდა ამბორი და სიყვარული

ხეს – ჩემს მეგობარს ბავშვობიდანვე,

ის ერთადერთი უცოდველია,

წმინდანი, ჩვენგან განანამები,

ის იკვებება სამოთხის წვიმით

და ვარსკვლავების თეთრი სინათლით“

(ვალერიან გაფრინდაშვილი)

და ასე მოდის ჟამით ჟამამდე... „მზე სწორად მოეფინების“ და „სამოთხის წვიმით და ვარსკვლავების თეთრი სინათლით ერთფერ დაუყვებლებლივ „იკვებებიან“ ვაზი და ძეძვი... ვარდი და ეკალი...

თუმცა... მე ჩემთავად ბოდიშს მოვუხდი ძეძვისა და ნარ-ეკალს, რადგან იგინიც უღვთოდ განუწირავს ხელსა კაცისასა... მკაცრია განაჩენი ამგვარ კაცთა მიმართ: „ვაზის მრგველთან ის არ ვაქო, ვინც მის ნაცვლად ძეძვი დარგო“ (*დავით გურამიშვილი*)... მკაცრია, მაგრამ – სამართლიანი, რამეთუ ამგვარ კაცთა ხელებმა

– „დაწნეს ეკლის გვირგვინი, დაადგეს თავზე, მარჯვენა ხელში ლერწამი მისცეს“ (*მათე, 27, 29*) გაივლის დრო და...

– „წმიდაი შუშანიკ თრევით მოითრია თიხათა შიგან და ეკალთა ზედა, ეკლესიით ვიდრე ტაძრამდე... და ადგილად-ადგილად ქუე ძეძვი დაეფინა, და ვითარ ფერხნი დაიდგნის ძეძუსა მას ზედა, და კუბასტნი შუშანიკისნი და ხორცნი წულილ – წულილად დაებრძარნეს ძეძუსა მას

და ეგრეთ მოიყვანეს იგი ტაძრად“ **(იაკობ ცურ-ტაველი)** და ჩვენი ქვეყნისათვის უმძიმეს ჟამს

– „შენ ნათესავთა უცხო და განგდებული გყვეს, ხოლო ქრისტემან ისმაიტელთა შორის, ვითარცა ვარდი ეკალთაგან გამოგარჩია... სხუანი, რომელნი ესე ვართ მორწმუნენი, მძლავრებასა ქუემ დამონებულნი... შიშითა განილევიან და ირყევიან ვითარცა ლერწამნი ქართაგან ძლიერთა“ **(იოვანე საბანისძე)**

ირყეოდნენ... რამეთუ...

„მუმლი მუხასაო გარს ეხვეოდაო,
მუმლი ჰქრებოდაო, მუმლი წყდებოდაო,
ხე არ ხმებოდაო, მუმლი მუხასაო
გარს ეხვეოდაო, მუხა დამძიმდაო,
წყალში ჩავარდაო, წყალი შეგუბდაო,
მუმლი დაიხრჩოვო, მუხა გადარჩაო“

(ხალხური)

მუხა გადარჩაო და მალნარი იგი, მუხნარი იგი, მიდამო იგი სახატეი თუ სატაძროი – „კეთილ არს მზისა მცხინვარებითა და ჰაერისა შეზავებითა ყოვლით – კერძო, და აქუს მას წყაროი მდიდრად გამომდინარეი, შუენიერი, გრილი და ჰამოი და მალნართა სიმრავლეი ურიცხვი...“ ხოლო ნეტარმა გრიგოლ ხანძთელმა

– „... ამისა შემდგომად უბრძანა დიდსა ზენონს: „ძმაო, შთავიდეთ ვენახად, რომელ არს გზასა თანა ოპიზისასა“, რამეთუ იყო ჟამი სთულისაი და შთავიდეს ორნივე ზოგად ვენახსა მას შეინებულსა მისსა კეთილად ნაყოფიერსა“, **(გიორგი მერჩულე)**

ცას დაეხალა ალალგულად შენამღერები:

– „ათასი ფერის გამჩენო,
ტანაშოლტილო ხეხილო,
ნაკურთხო, რქაცრემლიანო,
ვაზო რქაგადაგრეხილო,
სულ ასე აყვავებული
და დახუნძლული მეხილო“.

(ხალხური)

ნუ გადაიგულისყურებთ და „იას უთხარითო ტურფასა“, რომ

„ვარდსა ჰკითხეს: «ეგ ზომ ტურფა რამან შეგქმნა ტანად, პირად?

მიკვირს, რად ხარ ეკლიანი? პოვნა შენი რად არს ჭირად?»

მან თქვა: «ტკბილსა მნარე ჰპოვებს, სჯობს, იქმნების რაცა ძვირად:

ოდეს ტურფა გაიეფდეს, არღარა ღირს არცა ჩირად».... რომ

– „მონურვილ იყო ზაფხული, ქვეყნით ამოსლვა მწვანისა,

ვარდის ფურცლობის ნიშანი, დრო მათის პაემანისა,

ეტლის ცვალება მზისაგან, შეჯდომა საროსტანისა.

და სულთქვნა, რა ნახა ყვაილი მან, უნახავმან ხანისა.“

(შოთა)

ჭემმარიტად ორგზითვე ნაყოფის მომცემი აღმოჩნდა ქართული ედემ–ნალკოტი წიგნის სამყაროს ნაკრძალში –

„ოდესაც ბრძენმან რიტორმან შოთამ რგო იგავთ ხეო და,

ფესვ ღრმა-ჰყო, შრტონი უჩინა, ზედ ხილი მოიწეოდა.

ორგზითვე ნაყოფს მისცემდა, ვისგანაც მოიხეოდა,

ლექსი რუსთვლისებრ ნათქვამი მე სხვისა ვერ ვნახეო და.“

(დავით გურამიშვილი)

და ისევ მთიდან დანაბარები:

„იას უთხარით ტურფასა“, რომ

„განმარტოებულს ფრიალო კლდეზე სდგას ალვის ხისა ნორჩი ახალი,

მრავალშტოვანი, მაგრილობელი, ჰაეროვანი, ტურფა, მაღალი,

საამო არის მის ჩრდილში ოცვნა და მისთა ფოთოლთ შრიალთა სმენა“.

(ნიკოლოზ ბარათაშვილი)

რომ

„ბაზალეთისა ტბის ძირას

ოქროს აკვანი არისო,

და მის გარშემო, წყლის ქვეშე,

უცხო ნალკოტი ჰყვავისო.

მწვანეა მუდამ ნალკოტი,

არასდროს, თურმე, არ სჭკნება,

ქვეყნისა დროთა ტრიალსა

იგი არ ემორჩილება.“

(ილია)

რომ

„მოვესწრები, რაც მინდოდა

ზამთრისაგან დაჩაგრულსა:

ვნახავ ქორწილს ბუნებისას,

გავიგონებ მის მაყრულსა.

დავცნოს ვარდსა გადამლილსა,

ვუჭვრეტ ნაზად დახრილ იას

და ბულბულიც გამაგონებს

მისებურად „ტია, ტიას!“

(აკაკი)

რომ

„საკმაოდ მოზრდილს და რგვალს ტაფობს,

თითქოს განგებ, დარაჯად გარს შემორტყემოდ-

ნენ უზარმაზარი გოლიათნი და წმინდა ადგილს

უნმინდურის ფეხის მიკარებისგან იცავდნენ. ტაფობის შუა ადგილას მოჩნდა რგვლად ამაღლებული პატარა გორაკი, რომელსაც ფერდობი შამოსილი ჰქონდა ვერხვის ტყითა... შუა ადგილას ამართულიყო მუხის ჯვარი, ხანისა და ავდრისაგან გათეთრებული, მზის სხივზედ ვერცხლად პრიალებდა და კაცს სასოებას უღვიძებდა, თითქოს თვით იქრგულს ხეებსაც კი ეგრძნოთ მისი სინმინდე, ცოდვილ დედამინდგან აეგლიჯათ და თავზედ შედგმულს ედემს დიდებას ეუბნებოდნენ“.

(ალექსანდრე ყაზბეგი).

რომ

„ველს სადმე შევხვდი ტურფასა,
ჰყვაოდა ია-ვარდითა,
მეუფეს მაღლი ციური
იქ დაებერტყა კალთითა,
დაჩრდილულიყო ხეებით,
თალი შეაკრა ბარდითა.
გული ამევსო სიამით,
განვთავისუფლდი დარდითა.“

(ვაჟა-ფშაველა)

რომ

–“ცვრიან ბალახზე თუ ფეხშიშველა
არ გავიარე — რაა მამული?!
ნინაპართაგან წავიდა ყველა,
სხვა ხალხის ისმის აქ ჟრიაბული.

გაშალა ველი ნელმა ნიავმა,
და მელანდება მე მის წიაღში
მოხუცი მამა, მოხუცი მამა
სასხლავით ხელში დადის ვენახში.

აქ თითო ლერწი და თითო ყლორტი
მასზე ოცნებას დაემგვანება!
ისევ ამწვანდა მდელი და კორდი!..
დავდივარ... ვწუხვარ და მენანება!“

(გალაკტიონი)

რომ

–“ალაზნის ველი ბრწყინვალე,
ოქროს მზის ამოსახედი...
ვაზდაბურული საშობლო,
ჩემი უკვდავი კახეთი!
ბრონეული და ატმები
შუქს უმატებენ დილასა,
სამასწლოვანი კაკლები
ისვრიან ნააჩრდილარსა“.

(გოგლა)

მწუხრი მშვიდობისა შემობრძანებულა და –

„გაზაფხულის სალამოა მშვიდი,
ხიდან ხეზე გადაფრინდა ჩიტი“

(ტერენტი გრანელი)

ვედრებით დაუდევნებია მოლოდინით დამაშვრალ დედამიშვილს ალაზნისპირელი მერცხლისათვის:

„გაფრინდი შავო მერცხალო
გაჰყევ ალაზნის პირსაო,
ამბავი ჩამომიტანე
ომში წასული ძმისაო.

ალაზნის პირას მოსულა
წითელი სატაცურიო,
მიველ და კრეფა დავუნყე,
მეგონა უკაცურიო.“

(ხალხური)

ორპირის ფშანიდან კი მკერდზე მიხაკანთებულმა გადმოგვძახა:

„მე დავიბადე აპრილის თვეში
ვაშლების გაშლილ ყვავილებიდან,
მათოვს სითეთრე, და წვიმის თქეში
ცრემლებად მოდის ჩემს თვალებიდან“.

(ტიციან ტაბიძე)

ხოლო

– „წინამურიდან საგურამომდე ეკლიანი და
პატარა გზაა,
წინამურიდან საგურამომდე სიცოცხლის
გავლა ნეტავი რაა?
წინამურიდან საგურამომდე აშრიალებულ
ფოთლების ზღვაა.“

(კოლაუ ნადირაძე)

წინამური და კრწანისი... დიდგორი და შამქორი
– „ძველად აქ ჯარებს უხმოზდნენ
დაფდაფითა და ბუკითა,
ახლა ყაყაჩო შემომხვდა
ლამაზი ქალის შუქითა.
შემომხვდა, შემომანათა,
ჩინჩხლები შემომაცარა,
ალუჩა-ტყემლის შემოსვლა
და გაზაფხული მახარა...“

(ლადო ასათიანი)

„ბუნება მბრძანებელიაო“ და მისი ბრძანებით
–“მთებზე გადმოდგენ ზამთრის ჯარები...
გადმოათეთრეს მათათა წვერები...
დაფრთხენ ვაზები,
დაფრთხენ ქალები,
დაფრთხენ ყანები,
დაფრთხენ ველები...
თავს უშველეთო! –
იჭექა ვერხვმა“.

(მუხრან მაჭავარიანი)

„ბუნება მბრძანებელიაო“ და
 –“სიცოცხლის ხმაზე შრიალებს მუდამ
 ხე რტონათელი, რტო დათაფლული...
 თვალს და ხელს შუა მწიფდება თუთა,
 თვალს და ხელს შუა გადის ზაფხული“

(ოთარ ჭილაძე)

„ბუნება მბრძანებელიაო“ და

„ლამის სახლში შემოიჭრას თუთა,
 ლამის თავზე გადამისვას ხელი...
 დამიძახებს, თვალს ჩამიკრავს მუდამ
 ხე მაღალი, ხე ზურმუხტისფერი...“

რა ჩურჩული ესმით ჩემთა ყურთა!
 რა ჩურჩული!.. დამდაგველი, მწველი...
 ლამის სახლში შემოვიდეს თუთა.
 ლამის წელზე შემომხვიოს ხელი.“

(ანა)

6.

ურვაი ანას თუთის ხისა
 (რემინისცენციული ბალადა)

ურვაი ანას თუთის ხის
 გულს მიიტანა იამა,
 როს თუთამ ხეთა ჩურჩულში
 ანას ხმით ჩაიშრიალა:
 „–თქვი, არჯაკელო ხვიარა,
 ქსანზე ვინ ჩამოიარა?“

– რა ვი, ღრუბლებზე ვფიქრობდი
 და არა გამიგია რა!
 – მეც სხვათაშორის ვიკითხე,
 სალაპარაკოდ კი არა!“
 და ევსებოდა ცვარ–ნამით
 თუთის ხეს სევდის ფიალა...
 „ხმობდა კაკაბი ჭალაში“,
 ქსანზე ვინც ჩამოიარა...
 შეკრთა ქალი და აჩქარდა,
 არაგვზე ამოიარა...
 იქ კი ბუერამ ასმია
 ცის ცრემლი, წყარო კი არა...
 „როგორ არ შესვას ანამა“,
 მაშ, რით მოირჩენს იარას?!
 და იქვე აჩრდილს ეჭვისას
 ერთი კი გააჟრიალა...
 გულისგულ ამონაკვენესი
 შალშავამც გაუზიარა:
 „სხვა გზით ჩავლოო არაგვზე,
 ჯალამით... მარტომ კი არა“...
 და სიმმა, გულში ჩამწყდარმა,
 ჩაუკვენეს–ჩაუზრიალა...
 „ნისლაურო, ნისლი ხარო,
 გამიქრები, მზისი ხარო,
 მე არაგვზე დავრჩებოდი,
 მაგრამ ვქნა, სხვისი ხარო!“

თვალს ვერ უსწორებს არაგვი,
 ტალღები აინრიალა...
 აქ თუთას ტოტი ჩამოსტყდა,
 დაეცა... დაიჭრიალა...
 და ქარმა მისი ფოთლები
 ღრუბლებში აიფრიალა...
 ფოთლებგაძრცვილი, გულმკვდარი
 ნისლით იფარავს იარას...
 „ექვებით ნაავადარი“
 ჩაეკითხება ხვიარას:
 „თქვი, შენმა გახარებამა,
 ქსანზე ვინ ჩამოიარა?“
 მთანმინდისაკენ მზირალსა
 სულ არა გაუგია რა!...
 ქარმა ღრუბლებიც მოსტაცა,
 საფიქრი გაუტიალა...
 ხედავს... ალერსით ავსებდა
 კიპარისის ხე შრიალა...
 ცრემლები ბროლის ცვარისა
 მოსძალებოდა ხვიარას...
 რითი ჩაიქრობს ნეტავი,
 რაც გულში ცეცხლმა იალა?!
 ფერი შესცვლოდა თუთასაც...
 იმედმა ჩაიგრიალა...
 ზურმუხტისფერი ქარვისფრად
 მზემ კოცნით აუბღღვრიალა...
 განგებამ ბედის ბორბალი
 უკულმა დაუტრიალა...“

7

იყურეთ, ფშავში არაგვო,
 ქსანს – არჯაკელო ხვიარა!
 თუთამაც ისე იკითხა,
 „სალაპარაკოდ კი არა!“...
 თუთავ, ღმერთს ებარებოდეთ
 შენც.. და ის შენი ტრფიალა!...“

ბოლოთქმა

ხე ფესვიდან იწყება,
 ლექსი – მთქმელით, მწერლით და
 სულიწმიდის მადლითა,
 მისგან ბედის წერიტა...
 ლექსო შეინავარდე
 ვით მიმინომ ცერიდან...
 ლექსო, ფრთები გაშალე
 გულისგულში საფრენი...
 სდიე, სიბრძნეს დაეცი,
 როგორც ხოხობ აფრენილს...
 მერე ამომზიგულდი
 მართვედ ამონაფრენი...
 შეგვენიოს დედა ღვთის...
 ცათა შინა – ნათელი...
 ქვეყანასა ზედა კი –
 მოკიაფე სანთელი!

დათო კოტორაშვილი

მანანა სამადაშვილი

42-ე საჯარო ბიბლიოთეკის მთავარი ბიბლიოთეკარი

მარილი ქვეყნისა და ეგვიპტის ფილოლოგიის

რეპეზ სირაძე



ძველი ქართული მწერლობის მკვლევარს, აკადემიკოს რევაზ სირაძეს ფილოლოგიის ემბლემა უწოდეს. ღვანლმოსილ მეცნიერს მარტოოდენ ტალანტით არ მოუხვეჭავს ასეთი სახელი, არამედ თავისი კაიკაცობით, ნათელი და უმნიკვლო ბიოგრაფიით, რომელიც მორალური ფაქტორია უპირველესი

რანგისა.

სიკეთეს, სიბრძნეს, სიყვარულსა და მშვენიერებას თვლიდა ადამიანის ღირსებად, მაგრამ მათ შორის უმთავრესად მიაჩნდა სიკეთე. არაფერი ფასობს უამისოდ, არც სიბრძნე, არც სიყვარული და არც მშვენიერება.

ბატონი რევაზი იყო მონოლითური პიროვნება. მუდმივად ესწრაფოდა სიკეთეს. ისე დადიოდა, მუდამ სადღაც ეჩქარებოდა თითქოს. აზრს ნახევარტონებით გადმოსცემდა; სათქმელს ბოლომდე არ ასრულებდა, მაგრამ კარგი მთქმელის კარგი მსმენელი უთქმელადაც უგებდა... მსჯელობდა თანმიმდევრულად, ლოგიკურად, მკვეთრად. ბრძენსა და სიკეთით სავსეს ფუჭი საუბარი არ უყვარდა. არასდროს ხარჯავდა იმაზე მეტ სიტყვას, ვიდრე საჭირო იყო. დუმილი ოქროდ მიაჩნდა, ხოლო „რაჟამს იტყვიან, ბრძნად აღაღის პირი თვისი და აუბნის ბუღბუღის უტკბესი ენა“, კაცს ეგონებოდა „პირსა ბუღბუღი უბუღობსო ან მერცხალი ჭიკჭიკობსო“.

საქართველოს ლამაზ კუთხეში, გურიაში, 1936 წლის 3 ივნისს ოზურგეთში მცხოვრებ გიორგი სირაძესა და ასმათ ხომერიკს ვაჟი შეეძინათ, სახელად რევაზი დაარქვეს.

რეზოს მამა, გიორგი სირაძე, პროგრესულად მოაზროვნე პიროვნება, განათლების განყოფილებას ხელმძღვანელობდა მახარაძეში. ავადსახსენებელ რეპრესიის წლებში ზემდგომ ინსტანციაში დაუბარებიათ და შენიშვნა მიუციათ, რაც პატიმრობას მოასწავებდა. შინდაბრუნებულს ისე უნერვიულია, გული გახეთქია. 1937 წლის ფსიქოლოგიურ ტერორს შეეწირა ეს კეთილშობილი პიროვნება.

ობლად დარჩენილი ჩვილის აღზრდა მარტოხე-

ლა დედამ იტვირთა. ეს სათნო ქალბატონი პროფესიით ფილოლოგი ყოფილა და დაწყებით კლასებს ასწავლიდა. ქმრის ხსოვნასა და ვაჟის აღზრდას შეაღია ცხოვრება. სიცოცხლის ბოლომდე ერთგულად უზიდავს დედაშვილობის ტვირთი.

დალხენილი ცხოვრება არ ჰქონიათ. უჭირდათ. რეზო სირაძის კლასის მეგობარი ლერი ჯაყელი იგონებს: „დედამ შვილი გაჭირვებაში გამოზარდა... კალოში არ იშოვებოდა, სკოლაში ავტოსაბურავების რეზინისძირიანი წულეებით დავდიოდით, წიგნებს ნაჭრის აბგით ვატარებდით, ხან ილღიაში გვქონდა ამოდებული ან ქამარში გაჩრილი. მე შინელი მეცვა გადაკეთებული, რეზოს კი ახლო ნათესავმა პალტო აჩუქა, ცოტა დიდი ჰქონდა. პალტო ნამდვილი ფუფუნება იყო, უნდა მოფრთხილებოდი, წვიმასა და ჭყაპში ვერ ჩაიცვამდი“.

ქალბატონი ასმათი შვილის ცხოვრებით ცხოვრობდა. არაფერს აკლებდა მის სწავლა-აღზრდის საქმეს. შედეგიც არ აყოვნებდა. გაჭირვებას ხელი არ შეუშლია მისთვის, ოქროს მედალზე დაემთავრებინა ოზურგეთის I საშუალო სკოლა, რომელიც უძველესი ისტორიული სასწავლებელია და დაარსებულია ერთ-ერთი გურიელის მიერ ნაჩუქარ სამოსახლოზე. გურიაში ჯანყის შემდეგ, 1846 წელს, გაუხსნიათ გამორჩეულ ადგილას, მაღლობზე ე. წ. სერის უბანში და მრავალი სახელოვანი ადამიანი აღზრდილა მის კედლებში. აქ უსწავლიათ ექვთიმე ღვთისკაცს (თაყაიშვილს) – საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესს, ფილოლოგ ძმებს: აკაკი და ელგუჯა ხინთიბიძეებს... აქვე აღზრდილა მომავალი მეცნიერიც 1943–1954 წლებში.

ოზურგეთის I ვაჟთა სკოლაში მშობლიურ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა გალაკტიონ ტაბიძის ახლო მეგობარი პანტელეიმონ იობაშვილი. ამ დიდებულმა პიროვნებამ შეაჩვია აზროვნებას მომავალი მეცნიერი. მოძღვარი კარგად ხედავდა რჩეული მოწაფის შესაძლებლობას და ზოგჯერ მას ანდობდა მთლიანად მასალის ახსნას. თავად კი მერხზე ჩამომჯდარი გულდასმით უსმენდა.

კლასელი მეგობარი ლერი ჯაყელი იხსენებს: „რეზო გამორჩეული მოსწავლე იყო, სკოლა ოქროს მედალზე დაამთავრა. მაშინ ეს იოლი საქმე არ იყო. მეთერთმეტე კლასში გამოსაშვებ გამოცდებს განათლების სამინისტროდან მოვლენილი კომისია ესწრებოდა. რეზო იმდენად ნიჭიერი იყო, რომ საბუნებისმეტყველო საგნების გარდა, შინ

მეცადინეობა არ სჭირდებოდა. გაკვეთილზევე ითვისებდა მასალას“.

სკოლის წლები სტუდენტობამ შეცვალა. 1954–1959 წლებში ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში სწავლობდა ფილოლოგიის ფაკულტეტზე. წარჩინებით კურსდამთავრებული 1959 წელსვე ჩაირიცხა თსუ ასპირანტურაში. სააპირანტო კურსს გადიოდა კორნელი კეკელიძის ხელმძღვანელობით.

რევაზ სირაძის მეგობარი ფილოლოგი გულავერი ჭარელიშვილი იხსენებს: „საოცრად მოკრძალებული იყო, უპრეტენზიო, არ უყვარდა თავის წარმოჩენა, საკუთარ ღირსებებზე არასდროს საუბრობდა. კ. კეკელიძე თუ გამოჩნდებოდა (ან არნ. ჩიქობავა) იმდენად აკადემიური იყო, გრძნობდი, რომ დიდი მეცნიერი მოდიოდა. რეზოს კი სისადავე და უბრალოება ახასიათებდა. ერთი შეხედვით ვერ შეატყობდი, რომ შენ წინ ამ დონის ინტელექტუალი და ერუდიტი იდგა. ბუნებით ლალი და მსუბუქი იყო. უაღრესად თავმდაბალსა და

მორიდებულს, ყურადღების ცენტრში ყოფნა არ უყვარდა. კონფერენციებსა თუ სავალდებულო სხდომებზე უკანა რიგებში ჯდებოდა“.

1962 წელს ასპირანტურის დასრულების შემდეგ დაინიშნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის ასისტენტად.

1966 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „მხატვრული აზროვნების საკითხები უძველეს ქართულ მწერლობაში (V-VXIII სს.)“.

1966 წელს, გიორგობის თვეში, იქორწინა თამილა გოგეშვილზე. მშვენიერი ოჯახი შექმნეს. „მისი მეუღლე უსათნოესი ქალბატონი თამილა ტემპერამენტითა და ხასიათით რეზოს ანტიპოდი გახლდათ – მშვიდი, წყნარი და აუღელვებელი. რეზო კი მღელვარე და მშფოთვარე იყო... შესანიშნავი ცოლ-ქმრობა ჰქონდათ. ქალში ამაღლებულს, ღირსებას და მშვენიერებას ეძებდა, სილამაზეს, ნიჭიერებასა და ინტელექტს აფასებდა. ესთეტი იყო, სილამაზის და მშვენიერების განსაკუთრებული განცდა ჰქონდა“ (გულავერი ჭარელიშვილი).

მოგვიანებით ამ შესანიშნავ წყვილს შეეძინა ქალ-ვაჟი – გიორგი და ქეთევანი. ორი შვილისა და ოთხი შვილიშვილის ბაბუას უზომოდ უყვარდა

ბავშვები: მათი ენა უნდა ვისწავლოთო, ამბობდა თურმე.

რეზო სირაძე ყოველმხრივ ნიჭიერი, უზომოდ განათლებული, საოცარი კალიგრაფი გახლდათ. კარგად ხატავდა და ჭეშმარიტად პოლიგლოტი გახლდათ. იცოდა რუსული, ინგლისური, გერმანული, იტალიური... შესანიშნავი თანამოსუფრე იყო. უყვარდა მღერა, ხუმრობა და საინტერესო ამბების მოყოლა.

1973–1974 წლებში ახალგაზრდა მეცნიერი აკაკი შანიძის რეკომენდაციით სამეცნიერო მივლინებით იმყოფებოდა ბულგარეთში. ბერებთან ერთად ცხოვრობდა კელიაში, იკვლევდა პეტრინონის მონასტრის ისტორიას და ბულგარულად კითხულობდა ლექციებს სოფიის უნივერსიტეტში. ბაჩკოვოში, პეტრინონის მონასტერში გატარებულ წლებს მუდამ სიამოვნებით იგონებდა.

1975 წელს ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ გამოსცა რევაზ სირაძის საპროგრამო მნიშვნელობის მქონე წიგნი „ძველი ქართული თეორიული ლიტერატურული აზროვნების საკითხები“. მასში მოცემულია ძველი ლიტერატურის შესწავლის ახლებური ხედვა. მრავალფეროვანი კრებული მაღალ კულტურულ დონეზეა შესრულებული.

1976 წელს ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე „ლიტერატურულ-ესთეტიკური აზრის განვითარება ძველ ქართულ მწერლობაში (V-XVIII სს.)“.

ლიტერატურული კვლევის ესთეტიკური სკოლის დამფუძნებელს, ქართული ესთეტიკის ისტორიის ავტორს, თავად მშვენიერების ტრფიალს, გულწრფელად აწუხებდა მისი სახელის შემკობა მაღალფარდოვანი სიტყვებითა და სამეცნიერო ტიტულებით. პიროვნულად იყო ნიშუმი და „ხიბლი არაპოპულარობისა“.

რევაზ სირაძემ თავისი თაობის კოლეგებთან ერთად შექმნა ლიტერატურის კვლევის ესთეტიკური სკოლა. მან აღმოაჩინა და საუკუნეების მტვერი გადააცალა ისეთ ესთეტიკურ კატეგორიას, რომელმაც აჩვენა ძველი ქართული თეორიული-ლიტერატურული აზროვნების სიღრმე, სიმდიდრე, მდგრადობა, სიმაღლე, სილამაზე. მან დაგვანახა



ის, რაც ჩანდა, მაგრამ არ ვიცოდით. ამ აღმოჩენით რევან სირაძემ მიაგნო რალაც ეგზისტენცი-ალურ მოდუსს, რომელმაც თავის თავში თავისი თავი აპოვნინა“ (ივ. ამირხანაშვილი).

გულავრი ჭარელიშვილი შენიშნავს: „რეზოს ერთი განსაკუთრებული თვისება ჰქონდა, რაც მერაბ მამარდაშვილშიაც შემინიშნავს – მის გვერდით შენ იყავი მონაწილე აზრის დაბადებისა და აზროვნების პროცესისა, იმ წამს, იმ მომენტში იბადებოდა აზრი მის არსებაში – ეს საოცრად მომხიბლავი და საინტერესო პროცესი გახლდათ. რალაც სოკრატული იყო ამ ორ ადამიანში“.

ჩემი სტუდენტობის დროს იწერებოდა ახალგაზრდობის საყვარელ წიგნად ქცეული „სახის-მეტყველება“. ჩვენ ვიყავით მონაწილე გენიალურ აზრთა დაბადებისა. ამ დროს ჩვენი ლექტორი ზეცით მოსილი მშვენიერებით ბრწყინავდა. სიკეთისა და მშვენიერებისაკენ გვიზიდავდა; ფიქრზე ფიქრს გვასწავლიდა, სხვაგვარად გვაჩვენებდა ქართულ ჩუქურთმას, მზეს, ვაზს, ქალის თმებს... აზრის სილამაზით იყო სავსე მისი ლექციები. გვაჩვენებდა თეორიულ აზროვნებას, მსჯელობას, ფიქრსა და ნააზრევის გადმოცემას; სხვანაირად შევხედეთ ლიტერატურას... ჩვენს საარჩევნო სივრცეში ბუნებრივად შემოვიდა ისეთი თემები, კატეგორიები და ცნებები, როგორიცაა მშვენიერი და ამაღლებული, იდუმალების ესთეტიკა და დროის მითოლოგიზაცია, სამყაროს სილამაზე და მოძღვრება ადამიანზე, რენესანსული საზრისი და ჭეშმარიტების მრავალგვარობა, მხატვრული სახე და დუმილის ესთეტიკა, პოეტური შთაგონების წყარო და „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული სამყარო, ხატუნის კანონი და ჰიმნოგრაფიული სტილისტიკა, აზრის სილამაზე და სიტყვის პოეტიკა.

1980–1985 წლებში რევან სირაძე წარმატებით უძღვება თსუ სამეცნიერო ნაწილის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა განყოფილებას.

1982 წლის 23 თებერვალს საეტაპო მნიშვნელობის მქონე მოხსენება წაიკითხა თბილისის უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში. გამოყო განსახოვნების ანუ სახისმეტყველების სამი ტიპი: ეიდეტური სახეები (წარმართული მზის ესთეტიკა); ეიკონური სახეები (მუსიკალურ–ანსამბლური იერარქიზმი); წმინდა მხატვრული სახეები (სიტყვის უნივერსალიზმი). ითქვა, რომ ქართული ესთეტიკა მრავალფეროვანების მთლიანობაა, რომელსაც განსაზღვრავს ეროვნული შინაარსი და მხატვრული განსახოვნების ზედროული ბუნება.

რევან სირაძის ესთეტიკური თეორიის კულტუროლოგიური თანამიმდევრობა ვიხილეთ მის უაღრესად საგულისხმო წიგნებში: „ქრისტიანული კულტურა და ქართული მწერლობა“; „ქართული

კულტურის საფუძვლები“; „კულტურა და სახის-მეტყველება“.

მეცნიერი ქართულ კულტურას განიხილავს როგორც დასავლურ–აღმოსავლურ კულტურათა შერწყმას, რომელშიც მთავარ როლს თამაშობს ბიბლიურ–ქრისტიანული და მითოსურ–აღმოსავლური წანამძღვრები.

1980–1985 წლებში რევან სირაძე წარმატებით უძღვება თსუ სამეცნიერო ნაწილის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა განყოფილებას.

1988–1991 წლებში ხელმძღვანელობდა შოთა რუსთველის სახ. ლიტერატურის ინსტიტუტის რუსთველოლოგიის განყოფილებას. 1991–1992 წლებში იყო სულხან–საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი...

იცოდა რა ფასი რევან სირაძისა, უნივერსიტეტის იმჟამინდელმა რექტორმა როინ მეტრეველმა 1996 წელს დიდად შეუწყო ხელი და დააარსებინა ქართული ქრისტიანული კულტურისა და სიტყვიერების ისტორიის კათედრა, რომელსაც წარმატებით ხელმძღვანელობდა ბატონი რეზო 1996–2004 წლებში.

„რეზო ძალიან გულნატკენი იყო ბოლოდროინდელი მოვლენების გამო, როცა ჩვენმა ან უკვე ყოფილმა მთავრობამ უცერემონიოდ გამოაძევა უნივერსიტეტიდან პროფესორები. უროთი და ძალაყინებით ანგრევდნენ ქრისტიანული კულტურის კათედრას, რუსთველის, ილიას, აკაკის კაბინეტებს. რეზომ ძლივს მოასწრო კათედრიდან წიგნების გამოტანა. ნანგრევებიდან გამოჰქონდა მრავალი წიგნი და ხელნაწერი, რომლებიც მეცნიერებისთვის ფასეულობის წარმოადგენდა. ზოგიერთი ნაშრომის გასწორება ვერ მოასწრო – სამშენებლო ნაგავს გააყოლეს მუშებმა. როცა ამ ამბებს მიყვებოდა, რეზოს პირველად მაშინ შევნიშნე ცრემლი“. (ლერი ჯაყელის მოგონებიდან).

არადა წიგნთან განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა. გულდასმით იცოდა კითხვა, დამუშავება. იქვე ფანქრით აღნიშვნებს აკეთებდა. წიგნი საუკეთესო საჩუქრად მიაჩნდა.

თავდაუზოგავად იშრომა წმინდა ნინოს ღვანლის წარმოსაჩენად. მეცნიერულად შეისწავლა „წმინდა ნინოს ცხოვრება“ და 1997 წელს დაბეჭდა მონოგრაფია, სადაც ეს ნაწარმოები ქართული მწერლობის საწყისად მოიხსენია. მოგვიანებით თავი მოუყარა წმ. ნინოს ღვანლთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან ნაშრომს და 2008 წელს მისივე ავტორობითა და ხელმძღვანელობით შექმნილი პროექტი გამოსცა გამომცემლობა „არტანუჯმა“. წიგნი მიეძღვნა სრულიად საქართველოს კათალიკოს–პატრიარქის, უწმინდესი და უნეტარესი ილია II–ის აღსაყდრების 30–ე და დაბადების 75–ე წლისთავს. პირველი ეგზემპლარ-

რი სწორედ უწმინდესს მიართვა, რომელმაც მოგვიანებით მეცნიერის ღვაწლი ასე შეაფასა:

„ბატონი რევაზ სირაძე იმ გამორჩეულ პიროვნებათა რიცხვს მიეკუთვნება, რომელთაც დიდი როლი შეასრულეს მომავალი თაობის სწორად ფორმირების საქმეში.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მან ათეისტური რეჟიმის პირობებში ხელი შეუწყო ახალგაზრდებში სულიერი ღირებულებების დამკვიდრებას. იგია პიროვნება, რომელიც მუდმივად ეძებს მოვლენათა არსს და სხვათა ცუდ ვიწრო ღრმა აზროვნების უნარს და სურვილს.

ასეთი ადამიანები ყოველთვის მარილი იყვნენ და არიან ქვეყნისა. ღმერთმა ამრავლოს მათი რიცხვი სადიდებლად ღვთისა და მსახურებად ერისა ჩვენისა“. ეს სიტყვები წარმოთქვა პატრიარქმა მეცნიერის დაბადებიდან 75-ე წლისთავზე.

რეზო სირაძის მეგობარი ჟურნალისტი დალი ჩიკვილაძე იხსენებს: „საოცრება იყო რეზო, როგორც უნივერსიტეტში ქართული ენისა და ლიტერატურის საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე. საგანგებოდ არჩევდა კომისიის წევრებს. კრძალვით ეპყრობოდა თავის პედაგოგებს. ის, როგორც კომისიის თავმჯდომარე, კრისტალური იყო. მისი კომისიაც კვალიფიციური და წესიერი ადამიანებისგან შედგებოდა.

დიდ აუდიტორიაში რომ ვისხედით და ნანერს ვასწორებდით, თუ ვინმე ტექსტის სიზუსტისათვის რამეს იკითხავდა, რეზო გადმოგვძახებდა ხოლმე: რაშიც თქვენ არ ხართ დარწმუნებული, იმას ბავშვს ნუ მოსთხოვთ! საკითხს ყოველთვის აბიტურიენტის სასარგებლოდ წყვეტდა. ახალგაზრდები ძალიან უყვარდა. ყოველთვის მათ მხარეს იყო. ნაპერწკლის გაელვებას აღმოაჩენდა, ხელს ჩასჭიდებდა და ისე გაულვივებდა, რომ ახალგაზრდა თავადაც ვერ გრძნობდა, რა როლს ასრულებდა მეცნიერი რევაზ სირაძე მის ცხოვრებაში“.

ჩემი ცხოვრების უბედნიერეს ხანაში გავიცანი ბატონი რევაზი. იმ წელს (1978) საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე იყო ქართულ ენასა და ლიტერატურაში ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მე აბიტურიენტი მის სტუდენტად ვიქეცი და წილად მხვდა ბედნიერება ბრწყინვალე ლექციების მოსმენისა. პირველი, რაც ჩვენგან (სტუდენტებისგან) მოითხოვა, სახარების წაკითხვა იყო – ამის გარეშე ვერაფერს ისწავლითო. მაშინ სახარება ასე იოლად არც იშოვებოდა და არც იკითხებოდა... მისი ყოველი ლექცია მიგნებებისა და აღმოჩენების სიხარულით გამოწვეული ზეიმი იყო... სტუდენტი უყვარდა და ენდობოდა.

არ არსებობს ადამიანი სუსტი მხარეების გა-

რეშე. სისუსტე ბატონ რეზოსაც ჰქონდა. იგი ადამიანი იყო თუნდაც ადამიანურივე სუსტი მხარეებით. ყოველმხრივ მოწესრიგებულსა და პასუხისმგებლობის გრძნობით სავსეს, ძალიან უყვარდა ფეხბურთი. თბილისის „დინამო“ ზენიტში იმყოფებოდა მე-20 საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს. მის მატჩებზე ბილეთები არ იშოვებოდა, სრულიად საქართველო აწყდებოდა ხოლმე სტადიონს. არც ბატონი რეზო გახლდათ გამონაკლისი. ამაში ცუდი არაფერია, მაგრამ მისი ლექციის მოსმენის მომლოდინე სტუდენტები გულდანყვეტილი ვრჩებოდით, თუ ლექციაზე მოსვლას ფეხბურთზე დასწრების სურვილი გადაძლევდა. ვნატრობდით, რომ დიდი ფეხბურთი ჩვენს საყვარელ ლექციას არ დამთხვეოდა.

ლექციის გაცდენა რომ ასე გვანუხებდა, წარმოიდგინეთ, რა დაგვემართებოდა, როცა მისი საგანი „ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია“ ორი კურსის მანძილზე წასაკითხი, სამი სემესტრი წაგვეკითხა მხოლოდ მის მიერ. მეოთხე სემესტრში მოულოდნელად ლექტორი შეგვეცვალა. გავოგნდით. ჯგუფი დამუხჯდა. ეს იყო ერთგვარი პროტესტი მის შემცვლელთან, რომელიც ადვილად მიხვდა ჩვენს განწყობას და თავაზიანად გვაცნობა, რომ ახლა თვითონ იქნებოდა ჩვენი ლექტორი. ეს გახლდათ ბატონი გრიგერ ფარულავა, რომელსაც ჯერ არ ვიცნობდით. ჩათავდა ლექცია და ერთმანეთში აირია ნუხილი და სიხარული. უბედნიერესები ვიყავით, რომ ერთი საგნის მოსმენას ორი საუკეთესო მეცნიერისგან ველირსეთ.

2009 წელს რ. სირაძე არჩეული იყო საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტად.

2012 წლის 3 ივნისს ძველი ქართული მწერლობის მკვლევარს, აკადემიკოს რევაზ სირაძეს 76 წელი შეუსრულდა. ორი დღით ადრე, 1 ივნისს, ქართველთა განმანათლებელ ნინოს შემობრძანების დღეს კოლეგებმა და მოწაფეებმა ქართულ უნივერსიტეტში სიმბოლურად აღუნიშნეს იუბილე.

„კარგა ხანს ეხვეწებოდა ჯერ დედაუნივერსიტეტი, შემდეგ ანდრია პირველწოდებულის სახ. ქართული უნივერსიტეტი, მისთვის იუბილე (დაბადებიდან 75 წლისთავი) გადაეხადათ. ძალიან განიცადა, ერთს უარი ვუთხარი და მეორეს როგორ დავთანხმდეო. კატეგორიულად არ უნდოდა. მერე მისმა ყოფილმა მოწაფეებმა ხერხს მიმართეს: რეზოს საიუბილეო კრებული გამოსცეს სახელწოდებით „მშვენიერების ძიებაში“ და 1 ივნისს ქართულ უნივერსიტეტში ნიგნის პრეზენტაცია გამართეს. ამით, ფაქტობრივად, მისი იუბილე გადაიხადეს.

შესანიშნავი საღამო გაიმართა, სიმბოლური, მოგონებებით აღბეჭდილი. ამდენი ახლობელი,

საყვარელი ადამიანის თავშეყრით რეზო ძალიან ბედნიერი იყო, მაგრამ... რა უხერხულად იჯდა პუბლიკის პირისპირ, იუბილარის საპატიო სავარძელში და რა მოთმინებით ისმენდა მეგობარი კოლეგების მოხსენებებს მის ღვანლზე. ეს არ იყო მისთვის ჩვეული ამბლუა, არ უყვარდა „ხმაური“, მით უფრო, თავის გარშემო. სხდომის დამთავრებისთანავე ადგა, ამოისუნთქა და გათავისულდა“ (ლერი ჯაყელი).

მაშინ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ამგვარი სალამო აღარასოდეს განმეორებდოდა რევან სირადის ცხოვრებაში.

სამი თვის შემდეგ 2013 წლის 3 სექტემბერს ქობულეთში დასასვენებლად ჩასული მეცნიერი უბედურმა შემთხვევამ იმსხვერპლა. განგებამ მონამებრივი აღსასრული არგუნა. მოულოდნელი და სულისშემძვრელი იყო მისი წასვლა ამ ქვეყნიდან. გაგვოგნა მისმა გარდაცვალებამ. გარდაცვალება არის და გარდაცვალებაც. მისი საყვარელი მარტივების ხვედრი გაიზიარა თითქოს. განთიადისას გაზი აუფეთქდა... ბოლო თხოვნა ჰქონია, გადაერჩინათ მისი უკანასკნელი ნაშრომი, რომელიც ეხება უწმინდესი პატრიარქის ილია II-ის ქადაგებებისა და წმ. ილია მართლის პუბლიცისტიკის აზრობრივ თანხვედრას.

აბო ახალ მონამედ, ქართველთა მეოხად და სულიერ მხსნელად მიაჩნდა. იქნებ ჩემი პროფესორის მონამებრივი აღსასრულიც საწყისია განახლებისა: გაცნობიერება ეროვნული ღირსებებისა, დღევანდელი უბედურებისა და სამომავლო გზებისა.

წმ. ნინოს სიტყვების მოხმობა უყვარდა: „მე დღესა დავუღამდები“. ეს მაღალმხატვრული სახე ბატონ რეზოს პიროვნებაზეც მისადაგებულია, ისიც ქვეყანას მოუკვდა.

ღრმად გვწამს, როგორც მენელსაცხებლე აბოს დაფერფლილი გვამიდან ავიდა სულიერი სურნელი და მიაღწია წმიდათა წმიდა ზეციურ საკურთხეველს, მეცნიერის სულმაც დაიმკვიდრა სასუფეველი „სადაცა მართალნი განისვენებენ“.

დაკრძალვის წინა ღამეს სიონის ტაძარში გადააბრძანეს. მთელი ღამე უკითხავდნენ ფსალმუნებს, გალობდნენ. საყვარელ მასწავლებელს

პანაშვიდი დილიდანვე პროტოპრესვიტერმა მამა გიორგი ზვიადაძემ გადაუხადა და წესიც აუგო ღირსეულმა მონაფემ. პატრიარქიც დაემშვიდობა. სამძიმარზე ბევრი მივიდა. ყველა ჭირისუფლად თვლიდა თავს. მათ შორის ან უკვე პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანაშვილიც იყო. ძლიერნი ამა ქვეყნისანი კი არ გამოჩენილან.

გარდაცვალებიდან მესამე დღეს, 2012 წლის 6 სექტემბერს, ხუთშაბათ დღეს 15 სთ-ზე გამოასვენეს ტაძრიდან და მიაბარეს საბურთალოს სასაფლაოს, როგორც რიგითი მოკვდავი. საწყენია, რომ რევან სირადის საფლავი იქ არ არის, სადაც იმსახურებდა მარადიულ განსვენებას. მისი საკადრის ადგილას დაკრძალვა ქვეყნისთვის იყო საჭირო, თორემ ბატონ რეზოს ცხედარი სადაც არ უნდა განისვენებდეს, იმდენად ფასეულია მისი ღვანლი, რომ მისი

სახელი სამარადღუამოდ უკვდავყოფილია. უკვალოდ არ ჩაივლის მისი მრავალი წლის მანძილზე განეული პედაგოგიური საქმიანობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სულხან-საბა ორბელიანის პედაგოგიურ უნივერსიტეტში, სამხატვრო აკადემიაში, სასულიერო აკადემიაში, წმ. ანდრია პირველნოდებულის სახელობის უნივერსიტეტში, მონაწილეობა საერთაშორისო

კონფერენციებში და ავტორობა 15 მონოგრაფიისა და ასზე მეტი სამეცნიერო ნაშრომისა.

რევან სირადემ თავის ნაშრომებში ახალ სიმაღლეზე აიყვანა ძელი ქართული ლიტერატურის შესწავლა. მან ახლებური კუთხით, ესთეტიკური თვალთახედვით წარმოაჩინა ძველი ლიტერატურის განვითარება და შეეცადა აეხსნა ესთეტიკური ბუნება და არსი. სამეცნიერო მემკვიდრეობად დაგვიტოვა 120 ნაშრომი, 15 წიგნი. „სახისმეტყველება“, „ქრისტიანული კულტურის საფუძვლები“ დამტკიცებულია სახელმძღვანელოებად უმაღლესი სასწავლებლებისთვის. „ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია“ – სკოლებისთვის, უკვდავი გამონათქვამების მთელი წყება, პირად მემკვიდრეობად კი – ნიმუში იმისა, თუ როგორი უნდა იყოს ადამიანი, მეცნიერი, მასწავლებელი და მოსწავლე.



რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წიგნის კულტურის სამეცნიერო ცენტრის მთავარი მეცნიერ-თანამშრომლის, პედ. მეცნიერების დოქტორის, პროფ. იური ნიკოლოზის ძე სტოლიაროვის ნარკვევი წარმოადგენს შემოკლებულ თარგმანს, რომელიც რეფერატულად გადმოსცემს ნაშრომის შინაარსს. პირდაპირ თარგმანთან ერთად, ტეხილ ფრჩხილებში მოქცეულია ტექსტის ძირითადი ნაწილის ფრაგმენტების მოკლე შინაარსი, რადგანაც სტატია, რომელიც ჩვენს ჟურნალს გამოუგზავნა ავტორმა, საკმაოდ დიდია მოცულობით. რედაქციამ გადაწყვიტა, ჩვენი მკითხველებისათვის ამ სახით მიგვეწოდებინა ის. ი. სტოლიაროვის ეს გამოკვლევა, რომელიც მეტად საყურადღებო მასალას შეიცავს, უდავოდ დააინტერესებს სპეციალისტებსა და კითხვის მართვის პროფესიონალებს.

რედაქცია

ი. ნ. სტოლიაროვი

ნიშნები და სიმბოლოები კვლ ქართულ ფოლკლორში

(რეზიუმე)

როგორც ცნობილია, დამწერლობას ქმნის 3 კომპონენტი; მასში მოქცეული ინფორმაცია, ნიშანთა ფორმები და მატერიალური მატარებელი, რომელზედაც ეს ნიშნებია დაფიქსირებული. ადამიანები უძველესი დროიდან ანიჭებდნენ ნიშნებს ამა თუ იმ მნიშვნელობას. ისტორიულად ყოველ ხალხს გამოუმუშავებდა ხოლმე თავისი ინფორმაციული ფასეულობანი და ნიშანთა სისტემები. ისინი ხელს უწყობენ ეროვნული ხასიათის ჩამოყალიბებას – ერთი სიტყვით, ყველაფერ იმას, რასაც სამეცნიერო ლიტერატურაში „არქეტიპს“ უწოდებენ (ბერძნ.: არქე – საწყისი, პრინციპი; ტიპ–ანაბეჭდი, ფორმა).

საწყისი პერიოდის პირველი ნიშნები – უნივერსალური სიმბოლოები, რომლებიც მეორდება მითების სიუჟეტებში, თქმულებებში, გადმოცემებსა და ზღაპრებში, კაცობრიობის ჩამოყალიბების საუკუნეებში კოლექტიური წინასწარგანუზრახველობით თავს იყრიდა და ეფინებოდა ამა თუ იმ ხალხის შემეცნებას.

ამასთან დაკავშირებით, დიდ ინტერესს იწვევს ქართული კულტურის – ერთ-ერთი უძველესი და თავისთავად კულტურის – დამწერლობის წინარე და შემდგომი პერიოდი.

თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობისა და ხალხის დაუცხრომელი ენერჯის ნყალობით, საქართველომ შეძლო არა მარტო გადარჩენილყო ფიზიკურად, არამედ გადაერჩინა და შემოენახა თავისი უძველესი კულტურა. საყოველთაოდ აღიარებულია ქართული ხალხური მუსიკა, ქართული არქიტექტურა, ფერწერა, ხალხური ცეკვები, მხატვრული ლიტერატურა.

ამ რიგში დგას ქართული ფოლკლორის ორიგინალური ნაწარმოებები – ხალხური თქმულე-

ბები, გადმოცემები, ლეგენდები, სიმღერები, ანდაზები, გამოცანები და სხვა ფოლკლორული ფორმები. საქართველოს ფოლკლორული შემოქმედება აღიარებულია ქართული კულტურის უძველესი საწყისად, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ჩამოიქნა ქართველი ხალხის მხატვრული გემოვნების შესაბამისად. საქართველოს კულტურა და ხელოვნება, მიუხედავად მისი მრავალსაუკუნოვანი, მრავალრიცხოვანი და მრავალგვაროვანი ეკონომიკური, ისტორიულ-კულტურული და ლიტერატურული კავშირებისა, მაინც გამოირჩევა განსაკუთრებული თვითმყოფადობით და უძველესი ფორმების მდგრადობით. მაღალმხატვრულად, სინატიფით დამუშავებული ზღაპრების გვერდით, ჩვენამდე მოაღწია მრავალმა ნარმოშობით ზედმეტად არქაულმა, წარმართული ეპოქის საზოგადოების განვითარების მითოლოგიური სტადიის გადმოცემამ, ლეგენდებმა, პატარა-პატარა თქმულებებმა და სხვა მცირე ფორმის პროზაული ჟანრის ფოლკლორმა.

დედაფუძისეული წარმართული და ორიგინალური მითოშემოქმედების განვითარება შეწყდა IV საუკუნეში, როცა საქართველოში ქრისტიანობა ოფიციალურ რელიგიად გახდა და დაიწყო ტრადიციული მორწმუნეობის და ზნე-ჩვეულებების დევნა. თანამედროვე საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე თემების მითოლოგიური და რელიგიური წარმოსახვები მხოლოდ ხალხურმა ზეპირმა შემოქმედებამ, მათმა ზნე-ჩვეულებამ და მენტალიტეტმა შემოგვინახა. მდიდარი, მაგრამ ჯერჯერობით ყოველმხრივად დაუმუშავებელი მასალა გვაძლევს საშუალებას ვიმსჯელოთ ამიერკავკასიის ამ ტერიტორიის დამწერლობის განსხვავებულ

ფორმებზე – ყოველი ხალხის ცივილიზებულობის ხარისხის ამ მთავარ მაჩვენებელზე.

[ავტორის თქმით, მან რუსულად თარგმნილი 84 ზღაპარი, 213 თქმულება და ლეგენდა აილო ინტერნეტიდან, რომლებიც ჩამოთვლილია ამ ნაშრომის ორ დანართში. ყველაზე სრული თავმოყრაა მოცემული 1973 წელს საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მიერ გამოცემულ წიგნში – „Грузинские народные предания и легенды“ (М., „Наука“, 1973-3680)].

დიდი ხანია სამეცნიერო დანებებულებები წარმატებით უყრიან თავს ქართულ ფოლკლორს და საფუძვლიანად შეისწავლიან. უპირველესად, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისა და თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტი, მაგრამ საგანი, რომელსაც მოცემულ სტატიაში გვაქვს განხილული, ჯერჯერობით მათი ინტერესის მიღმა არის დარჩენილი. გვინდა ვცადოთ, შევავსოთ ლაკუნა; რამდენადაც ეს ხელგვეწიფება, გავაანალიზოთ, როგორ ნიშნება და სიმბოლოების სიმდიდრეს ფლობს ქართული ფოლკლორი.

ქართველმა ხალხმა ისტორიული და მხატვრული ლიტერატურის წერილობითი წყაროების უაღრესად განვითარების პირობებშიც არამც თუ უარი თქვა ფოლკლორზე, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა და ზრუნავდა პოეტური მგზნებარებით

აღსავსე მომღერლებსა და სახალხო მთქმელებზე. ნაშრომის დასაწყისში მე ვფიქრობდი, რომ ბევრ საერთოსა და პარალელს ნავაწყდებოდი კავკასიელ ხალხთა ფოლკლორთან, მაგრამ ქართული ფოლკლორი იმდენად თვითმყოფადი აღმოჩნდა, რომ სავსებით შესაძლებელია, დამოუკიდებლად იქნეს შესწავლილი.

ქართველი ხალხის ნაციონალურ ოქროს ფონდში ათას-ხუთას წლოვან წერილობით ლიტერატურასთან ერთად, თანაარსებობს ადრეული, ჯერ კიდევ ქრისტიანობამდელი წარმართული ფოლკლორი და მითოლოგია, შუასაუკუნოებრივი და შემდგომი ეპოქის ხალხური შემოქმედება.

IV საუკუნეში საქართველოში ქრისტიანობის დამკვიდრების შემდეგ ხალხური ეპიკური თქმულებების გადაკეთება-შესწორება დაიწყო. სიუჟეტში ძველი ღმერთებისა და გმირების ნაცვლად ქრისტიანული პერსონაჟები ჩნდებიან. მაგრამ სრული მოდერნიზაცია უძველეს

სი თქმულებებისა მაინც ვერ მოხერხდა. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ დღევანდელობამდე ხალხში შემორჩენილია როგორც ქრისტიანული, ისე უფრო ძველი ვარიანტები და ვერსიები სახალხო მითების, ზღაპრების, გადმოცემებისა და ლეგენდებისა. შეიძლება მეტიც ითქვას: ქრისტიანამდელ პერიოდში წერილობით მტკიცებულებათა არქონის გამო ყველაზე უკეთეს საბუთად მისი განვითარებულობის და არსებობის დასასაბუთებლად სწორედ ზეპირი ხალხური შემოქმედება გამოდგება. ერთი ადამიანიდან მეორეში გადასულმა სიტყვამ, რაც ათასწლობით გრძელდებოდა, შემოგვინახა ნაციონალური კულტურული მემკვიდრეობა, და მენცალიტეტი.

გადავიდეთ უშუალოდ ქართული ეროვნული თვითშეგნების ერთ-ერთ ასპექტზე – ფოლკლორის პროზაულ ფორმებში გამოხატულ ნაწარმოებებზე, რომლებიც ითვლება ქართული წიგნიერი კულტურის ნაწილად, რომლებშიც დადასტურებულია ნიშანთა სისტემის გამოყენება ინფორმაციის გადაცემისათვის. დავიწყოთ საწყისი, სიღრმისეული, ფუძისეული მხატვრული სახეებით, რომელთაც აქვს სიმბოლური წაკითხვა, ითვლებიან ხელოვნური, ინფორმაციის მატარებელ ნიშნებად, იმ სიმბოლოებად, რომლებზედაც შენდება ქართული ხალხის არქიტეპი.

შუპი და ფერი

ზეპირ ხალხურ შემოქმედებაში სახალხო გმირი ღმერთს ედარება ან მის სიმბოლოს წარმოადგენს, ან მისი ეპითეტია – „ნაწილიანი“, ე. ი. „ღმერთის რაღაც ნაწილის მქონე, ღმერთთან წილნაყარი“, ან მისგან მომდინარე, ან მისი თანმხლები სხივი (ეპიკური გმირი ამირანი, რომელსაც წინ მიუძღოდა სხივის კონა). თუ საჭირო იყო მოქმედების განსაკუთრებულად ხაზგასმა – გამოყოფა, სიუჟეტში შემოდიოდა ბუნების არაჩვეულებრი მოვლენა: ცაზე „ორი მზე ამოდიოდა („ხორგაის მინდი“). უმნიშვნელოვანესი ამბები ხდებოდა დაკავშირებით ფერებთან. უპირატესად გამოიყენება შავი, წითელი და თეთრი ფერები. ეს ფერები გვხვდება ზღაპარებში; სამკურნალო შელოცვებში, ჰიმნებში – მიძღვნილს ანანასადმი და. შ.

ასე მაგალითად, ზღაპარში „ობოლი ჩაქუჩა“ მოქმედებს ორი გველი – შავი და წითელი, თა-



ნაც პირველი ბოროტია, მეორე – კეთილი. ისინი ჩაქუჩას ნებისმიერ სურვილს ასრულებენ.

განსაკუთრებით არის გამოვლენილი ფერთა გამოყენება „გაუცინარი ხელმწიფის ზღაპარში“. უმცროსი ძმა გადაეყრება სამ სხვადასხვაფერის გაქვავებულ მეომარს; ამავე ზღაპარში საძაგელი დევის სული მოთავსებულია „პატარა კოლოფში. კოლოფში სამი ჩიტია: ნითელი – დევის ძალღონე, თეთრი – გონება, შავი – სული. დევისაგან მეფისწული შეიტყობს, რომ სამი მათრახი არსებობს: თეთრი, ნითელი და შავი. „შავი მათრახი შავ მეომრებს გადაჰყარ, ნითლით – ნითლებს, თეთრით – თეთრებს. გაცოცხლდებიან ისინი ყველანი და შენს ერთგულ მეომრებად გადაიქცევიან“.

თქმულებაში „ხოგაის მინდი“ ავი სულები არხოტში მივიდნენ სამი სახედრით – შავით, ნითლით და თეთრით. სახედრები დატვირთულნი იყვნენ ისრებით, რომლებსაც ბოლოებზე სხვადასხვა ფერის ფრთა აქვს მიმაგრებული. შავბოლოიანი ისარი კაცს ადგილზევე ჰკლავს, ნითელი – ნახევრად ჰკლავს, თეთრი – ცოცხლად ტოვებს.

ღვთის ნებით, როგორც ცნობილია, აღმოსავლეთ საქართველოს მცხოვრებლები, ნაწილობრივ ფერების მიხედვით გამოარჩევდნენ ხოლმე „წმინდა ცხვარს“.

თამარ მეფეს („თამარ მეფე“) წერომ ნისკარტით ორი ნაფოტი მიართვა – ყვითელი და თეთრი. ისინი რძეს ოქროდ და ვერცხლად გარდაქმნიდნენ. ამ სიმდიდრით აშენებს თამარ მეფე მთელ საქართველოში დიდებულ ტაძრებს.

საგნებით წერა. გამოსაცნობი ნიშნები

[ავტორი თავდაპირველად უძველესი „დამწერლობის“ – საგნებითა და ნიშნებით აზრის გადმოცემის განმარტებას იძლევა, გვიჩვენებს მეთოდებს, თუ როგორ ახერხებდნენ უძველესი ადამიანები სხვადასხვა საგნებით გამოუხატათ აზრი სხვადასხვა ფერის ქსოვილის ნაჭრებით, თასმების კვანძებით, ისრებით, ძვლებით, ხის ტოტებით, ნაფოტებით და ა. შ. ავტორი სინაწულს გამოთქვამს, რომ კვლევისათვის ძალიან

შეზღუდული დრო და მცირე არიალი გააჩნდა. ბოლოს ის გადადის ქართულ სინამდვილეში ამგვარი „დამწერლობის“ გამოყენების მაგალითების ჩვენებასა და განხილვაზე].

თითქმის ყველა ხალხის ფოლკლორში უხვადაა გამოყენებული მრავალრიცხოვანი მაგალითები, თუ როგორ ხდება საგნებით აზრის გადაცემა. ამით არც ქართული ფოლკლორია გამონაკლისი. ამ მხრივ აღსანიშნავია „მოხუცი ხურო და პატარძალი“. ხურო თავის ვაჟიშვილთან ერთად გაემგზავრა ქალაქში პატარძლისათვის საჩუქრების შესაძენად. უნდა რა გამოსცდის შვილი, სთხოვს, ტყიდან მას დამ-

ხმარე მოუტანოს, შემდეგ თხოვს ქალაქში ორ კაპიკად ცხენი იყიდოს მოსართავით, მესამეჯერზე მას ავალებს შეუმსუბუქოს აღმართზე სვლა. მამის ქარაგმებს ვერავინ მიხვდა, ვერ შეძლეს მისი დავალებების „ნაკითხვა“, მხოლოდ სოფლის გოგონამ „გამოიცნო“ საგნები და ის, თუ რა უნდა გაეკეთებინა ვაჟს. ამის შემდეგ მამამ ურჩია შვილს, რომ ეს გოგონა შეერთო ცოლად. შემდეგ მამა და შვილი მეფეს აუშენებენ სახლს, მაგრამ მეფე იწუნებს მათ ნახელავს და მამა-

შვილს დილეგში ამწყვდევს. მამა ისეთ საგნებს უგზავნის რძალს, რომ ის მიხვდება, რაშიცაა საქმე და მოახერხებს დაიხსნას ისინი პატიმრობიდან.

თითქმის ყველა ხალხში იყო გავრცელებული აგრეთვე მოძრაობით გამოხატული ნიშნები, რომლებიც თანდათან ტრადიციულ მოძრაობადაც კი იქცეოდა.

საგნებით „წერა“ ქართულ ზღაპრებში არაერთგან გვხვდება. განსაკუთრებით ნათლად არის ეს გამოხატული ზღაპრებში: „ლურჯა ცხენი“, „ცისკარა“, „ზღაპარი მინდვრის დევზე“ და სხვა.

[ავტორი მოგვითხრობს სხვადასხვა ზღაპრებსა და თქმულებებზე, რომლებშიც მოცემულია აზრის გადასაცემად სხვადასხვა საგნებისა და ნიშნების გამოყენება. დასასრულს აღწერს თედორე მღვდლის ამბავს. როცა ის შემთხვევით შეიპყრეს და მეგზურობა დაავალეს – თედორემ



ტყე-ტყე წრეზე ატარა მტრის ჯარი, მეთაური დაეჭვდა და ერთი ხე ხმლით შემოკოდა, როცა თედორემ იქ კვლავ გამოატარა ჯარი, მეთაური მიხვდა, რომ ის ატყუებდა და ცეცხლში დაანვევინა მოხუცი. ავტორი ამ თავში ეხება აგრეთვე ხევსურეთში გავრცელებულ ჩვეულებებს, რომლებიც მათ თქმულებებში ჰპოვეს გამოყენებას].

ისე, როგორც სხვა ხალხთა ფოლკლორში, გამოსახულების გამოყენება ქართულშიც დამახასიათებელია კერძოდ, საცოლის პორტრეტით შერჩევა. ნიშანდობლივია ამ მხრივ ზღაპარი „ლურჯი ნოხი“. [მეფემ მიიყვანა ვაჟიშვილი ქალწულების სურათებით მოფენილ დიდ დარბაზში. მეფისწულს იქედან უნდა შეერჩია საპატარძლო. მეფისწული ამით არ დაკმაყოფილდა და გაეშურა საპატარძლოს საძებნელად. ვინც მოეწონა, იმან დაიწუნა, არავითარი ხელობა არ გაქვსო. ვაჟმა ნოხის ქსოვა ისწავლა, რამაც მოხიბლა ქალიშვილი და მის ცოლობას დათანხმდა. მოხდა ისე, რომ ვაჟი კაციჭამიებს ჩაუვარდა ხელში. ვაჟმა იმით მოატყუა დამტყვევებელი, რომ მოქსოვა საუკეთესო ნოხი და უთხრა, წაეღო ის ამა და ამ ადგილას და დიდ ფულს აიღებდა. პატარძალმა ნოხი და ზედ გამოსატყული ნიშნები რომ ნახა, მიხვდა, რაშიც იყო საქმე და ქმარი დაიხსნა.

ხელობის ოსტატურად გამოყენების ნიმუშს წარმოადგენს აგრეთვე ზღაპარი „მეფობა ხელობა არ არის“, აქ ნოხი ნამდვილი „წერილის“ ფუნქციებს ასრულებს.

ბევრი თქმულებაა დაკავშირებული თამარ მეფის ხატებასთან, მის გამოსახულებასთან. აქ ლაპარაკია ვარძიაში თამარის ფრესკასთან დაკავშირებულ ლეგენდებზე, შოთა რუსთაველის მიჯნურობაზე. მოყვანილია მრავალი საინტერესო ფაქტი და შედარება.

აქვეა განხილული თქმულებები: „თინა წაკისელი“, „პალიასტომის ტბა“, ლეგენდები: „ილორის ხარი“, „ერამ-ხუტი და ჯვარელების სინმინდე“ და სხვ.].

ჩანაწერები და წერილები

ფოლკლორულ ნაწარმოებებს შორის განსაკუთრებით ხშირია, როცა სიუჟეტი მჭიდროდაა დაკავშირებული წერილობით დოკუმენტთან.

ზღაპარში „აბესალომ და ეთერი“ მეფე აბესალომი, მიიღებს რა თანხმობას ეთერისაგან ცოლობაზე, წერს წერილებს და მთელ სამეფოში აგზავნის და ამგვარად ეპატიჟება ყველას თავის ქორწილში... მურმანი, რომელსაც უყვარს ეთერი, შეეკვრება ეშმაკს, ოღონდ მას დაუნარჩუნოს ეთერი და სანაცვლოდ ის სატანას თავის

სულს დაუთმობს. ეშმაკი წერილობით დასტურს სთხოვს, რომ ის არ უღალატებს თავის სიტყვას. როგორც ვხედავთ, წერილობითი საბუთი სიტყვის გაუტეხელობის ყველაზე საიმედო საბუთად ითვლება.

[„გაუცინარი ხელმწიფის ზღაპარში“ სამი ძმა მინდორში სამი გზის გასაყარზე ნახავს ქვას წარწერით. ისინი ამ წარწერის მიხედვით ირჩევენ თავიანთ სავალს. უბადლო ნიმუშია ზღაპარი „ანანა“ (გოგონას სახელია), მეფისწულმა წარწერებიანი ქალაქი იპოვა. აიღო ხელში და ქალაქი მშვენიერ გოგონად გადაიქცა. ამგვარი რამ – ნაწერის ადამიანად გადაქცევა – მსოფლიოს არც ერთ ფოლკლორში არ გვხვდება. ამგვარი რამ ადასტურებს ღრმა პატივისცემას დამწერლობისადმი. ზღაპარში „ლურჯა ცხენი“ მოცემულია, თუ როგორ შეცვლიან ერთ ტექსტს მეორეთი ბოროტი ადამიანები სიავის მისაღწევად.

ავტორი ამ ნაწილში ეხება თამარ მეფის სახეს. აღნიშნავს, როგორი სიუხვითაა წარმოდგენილი ის ქართულ მითებსა და თქმულებებში. ამის შემდეგ ავტორი განიხილავს გადმოცემას „მეფე გურგენი“ (მართავდა VI საუკუნეში), რომელშიც მოცემულია მიმონერის ფაქტები].

წიგნები

სახელდობრ, წიგნის თემა ყოველ ფოლკლორში შედარებით იშვიათად გვხვდება. ეს შეიძლება აიხსნას იმით, რომ დამწერლობა რამდენიმე ათასეული წლით ახალგაზრდაა სხვა ნიშნებთან შედარებით, რომლებიც წარმოადგენდნენ გარეშე ინფორმაციის წყაროს. მიუხედავად ამისა, წიგნი არაერთგან ჩნდება ფოლკლორის სხვადასხვა ჟანრში: ზღაპრებში, გადმოცემებში, ლეგენდებში.

ამ თვალსაზრისით შეიძლება გამორჩეულად აღვნიშნოთ ზღაპარი ორი ძმის შესახებ, რომლებსაც ორგული ცოლები ჰყავთ. [განსაკუთრებით საინტერესოა ერთი შემთხვევა ყმანვილისა, რომელიც შეძლებს შეაღწიოს დევის სახლში. დევი მას ემუქრება, მაგრამ ამაზე რაინდი პასუხობს: „აბა, ერთი ჩახედე შენი ბედის წიგნში, ნახე, ვისი ხელით გელის სიკვდილი, და გაიგებ, მე ვინც ვარო“.

ავტორს ამ ნაწილის ბოლოს მოაქვს ლაგენდა თამარისა და შოთა რუსთაველის შესახებ, რომელთა ურთიერთობის შედეგად შეიქმნა „ვეფხისტყაოსანი“.

ბევრი გადმოცემა და ლეგენდა მოწმობს იმას, რომ ხალხი კარგად იცნობდა ბიბლიის სიუჟეტებს. უმეტეს შემთხვევაში ისინი გადასხვაფერებულია თავისებურად, მაგრამ თვით ფაქტი

ამგვარი სიუჟეტების გამოყენებისა მოწმობს ნიგნის ძლიერ ზეგავლენას ქართულ მენტალიტეტზე. [მოცემულია რამდენიმე მაგალითი: კამეჩი როგორ ეძახის ნოეს „ნოე“, გლეხისა და სოლომონ ბრძენის საუბარი, რომელიც არის ერთგვარი გადამუშავება ძველი აღქმის ერთი სიუჟეტისა და სხვ.

ლეგენდებში ბევრი სიუჟეტია დაკავშირებული ქრისტეს სახელთან. ამასთან, ზოგჯერ წერილობითი წყაროებიც ფიგურირებს. ლეგენდაში „ღმერთი და ქრისტე“ მწყემსი ქრისტეზე უფრო საზრიანი აღმოჩნდება. ამ ლეგენდაში ღმერთმა „ჩახედა სიას“ და დარწმუნდა მწყემსის სიმართლეში, რომ უახლესი დღეები მზიანი უნდა ყოფილიყო].

გადმოცემა „წვიმა“ მოგვითხრობს, რომ თამარი პლინიუსისაგან ბერძნულ ენას სწავლობდა და სრულყოფილად დაეუფლა, ზეპირად კითხულობდა ლექსებს, აითვისა მუსიკა და ა. შ. მისი სიყვარულის ისტორია ტრაგიკულად მთავრდება: მეფის მოხელეებმა მოკლეს მონასტრის წინამძღვარი, სადაც ის სალოცავად მივიდა, თვით მონასტერი გადაწვეს. ქონებასთან ერთად დაინვა უზარმაზარი ბიბლიოთეკა.

დასკვნები

[ავტორი ერთგვარად აკეთებს ანალიზს იმ მასალის ირგვლივ, რომელიც დაამუშავა. იძლევა სტატისტიკურ მონაცემებს მის მიერ გამოვლენილი შემთხვევებისა. მათზე დაყრდნობით შეგვიძლია აშკარად ვთქვათ, – აცხადებს ის, – რომ ქართული ხალხური შეგნება დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ნიშნებსა და სიმბოლოებს, წერილობით ნაწარმოებებს. მასში ის ხედავს სიბრძნის წყაროს, ცოდნას, წინაპართა საუკუნოვან გამოცდილებას. დავის დროს წერილობითი დოკუმენტები გამოდის არბიტრად, გამოიყენება პირობის დაცვის საშუალებად, ახსნის მოვლენათა არსს.

დამწერლობითი ფოლკლორი აღზრდის მკითხველებს, მსმენელებში აყალიბებს მაღალ ადამიანურ თვისებებს: მეგობრობას, ურთიერთგაგებას, სუსტის დაცვის სურვილს, ამასთან, ინვესს ორგულობის, ვერაგობის, გამცემლობის დასჯის მოთხოვნილებას].

ფოლკლორის ზნეობრიობის პოტენციალი ამოუწურავია. ამიტომაც მხოლოდ კი არ უნდა ვინუხბოთ მოსახლეობის ინტერესის დაქვეითებაზე, განსაკუთრებით ბავშვების კითხვისადმი, არამედ განსაკუთრებული აქტივობით ვიღვანოთ, გავაძლიეროთ ეს ინტერესი. ამით გადაწყდება რამდენიმე მნიშვნელოვანი ამოცანა:

– მოსახლეობაში ნაციონალური კულტურისა

და ისტორიის სიღრმისეული წყაროებისადმი ინტერესის აღორძინება;

– ქართველი ხალხის წიგნიერი კულტურის პირველწყაროების გამოვლენა;

– მოსახლეობის გულისყურის მიპყრობა კულტურის, განსაკუთრებით წიგნიერი კულტურის უძველესი საფუძვლებისადმი, სახალხო მენტალიტეტის ყველაზე ჰუმანური ფესვებისადმი;

– კითხვის აქტივიზაციას, რაც ბუნებრივად გააერთიანებს როგორც პატარა მკითხველებს, ისე მათი ახლობლების, აგრეთვე მშობლებისა და მშობლების ინტერესებს.

[თუ ამ საქმეში ჩავაბამთ სიტყვიერებისა და ხატვის მასწავლებლებს, აღმზრდელებს, ბიბლიოთეკარებს, კითხვის სხვა ხელმძღვანელებს, ამგვარი ღონისძიების ეფექტი მიიღებს ნაციონალური მოვლენის რანგს და იქნება ძლიერი სტიმული ნაციონალური თვითშეგნების ზრდისა და გაძლიერებისა. ხელს შეუწყობს მშობლიური მხარისა და სამშობლოს სიყვარულის განცდის გაძლიერებას. განსაკუთრებით ფასეულია ამ შემთხვევაში გადმოცემები და ლეგენდები, დაკავშირებული კონკრეტულ ადგილებისა და კონკრეტული პირობებისადმი.

ავტორი ეხება თავისი გამოცემული წიგნის – „ასი ზღაპარი წიგნისა და კითხვის შესახებ“ პოპულარობას და მის შედეგაში ბავშვების დიდი რაოდენობით ჩაბმას, მიიჩნევს, რომ საქართველოშიც შეიძლება მსგავსი ღონისძიების ჩატარება, რომელიც დადებით შედეგს გამოიღებს (აღნიშნული წიგნის შესახებ იხილეთ ჩვენს ჟურნალში დაბეჭდილი ინფორმაცია – 2012, №4, გვ. 47).

დასასრულ, ავტორი გამოთქვამს მოსაზრებებს ქართულ ფოლკლორთან დაკავშირებით. მიაჩნია, რომ მან შეძლო მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილის დამუშავება, რაც მცირეა იმ ფონზე, რაც ინახება შოთა რუსთაველის სახელობის ქართულ ლიტერატურის ისტორიის ფოლკლორის განყოფილებაში. მიუხედავად ამისა, იმედოვნებს, რომ თემატიკა, რომელიც მან წარმოაჩინა, უდავოდ მიიპყრობს მეცნიერთა ყურადღებას, და ამ მხრივ გაგრძელდება კვლევები, რის ღირსია ნამდვილად უმდიდრესი ქართული ფოლკლორი].

სტატიას დაერთვის: 1. გაანალიზებული ზღაპრების ნუსხა (84 ერთეული); 2. გაანალიზებული გადმოცემებისა და ლეგენდების ნუსხა (213 ერთეული).

თარგმანი შეასრულა და რეფერატი შეადგინა ალ. ლორიაშ.

თეა ჩაკვეტაძე

გაზეთი "დროშა" - პირველი ქართული ემიგრანტული პერიოდული გამოცემა


ემიგრანტული ლიტერატურისა და, კერძოდ, პერიოდის გამოცემა, როგორც წესი, განპირობებული იყო თავისუფალი აზრის გამოთქმის დეფიციტით საკუთარ ქვეყანაში. რუსეთის იმპერიის პერიოდის მკაცრი სახელმწიფო ცენზურა 1921 წლიდან შეიცვალა საბჭოთა ხელისუფლების არანაკლები, თუ უარესი არა, ცენზურით. ამიტომ, უცხოეთში გამოცემული ლიტერატურა რჩებოდა განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების გამოხატვის ერთადერთ საშუალებად.

ერთ შემთხვევაში გამოცემული თვითონ იყო ემიგრანტი და მისი გამოცემები ძირითადად საზღვარგარეთ, ისევე ემიგრაციულ წრეებში ვრცელდებოდა. ასეთებს მიეკუთვნება, მაგალითად, 1921 წელს საქართველოს ანექსიის შემდეგ შექმნილი პოლიტიკური ემიგრაციის გამოცემები. მეორე შემთხვევაში, უცხოეთში სხვადასხვა საშუალებით ბეჭდავდნენ ყურნალ-გაზეთებს, რომლებიც მერე არალეგალურად შემოჰქონდათ და ავრცელებდნენ საქართველოში. ასეთი იყო, მაგალითად

სოციალ-ფედერალისტური პარტიის გაზეთი «საქართველო», რომელიც 1903-1905 წლებში გამოიცემოდა საფრანგეთში.

ქართული ემიგრანტული პერიოდული გამოცემების ისტორია იწყება მე-19 საუკუნეში, 1873 წლიდან, როდესაც პარიზში გამოვიდა გაზეთი «დროშა». მისი რედაქტორ-გამომცემელი იყო ცნობილი პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე ნიკო ნიკოლაძე.

ნიკო ნიკოლაძე ილია ჭავჭავაძესა და აკაკი წერეთელთან ერთად სამოციანელთა ყველა-



პარიზი, 1 (13) აპრილი 1873 წ.

რედაქციისაგან

დღემდე ქართული სოციალური გაზეთი, ემიგრანტული ლიტერატურისა და, კერძოდ, პერიოდის გამოცემა, როგორც წესი, განპირობებული იყო თავისუფალი აზრის გამოთქმის დეფიციტით საკუთარ ქვეყანაში. რუსეთის იმპერიის პერიოდის მკაცრი სახელმწიფო ცენზურა 1921 წლიდან შეიცვალა საბჭოთა ხელისუფლების არანაკლები, თუ უარესი არა, ცენზურით. ამიტომ, უცხოეთში გამოცემული ლიტერატურა რჩებოდა განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების გამოხატვის ერთადერთ საშუალებად.

წინათყვანა

სწრაფი ემიგრანტული ლიტერატურის გამოცემა, რომელიც პარიზში გამოვიდა 1873 წელს, იყო ნიკო ნიკოლაძის ინიციატივა. მისი რედაქტორ-გამომცემელი იყო ცნობილი პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე ნიკო ნიკოლაძე.

ნიკო ნიკოლაძე ილია ჭავჭავაძესა და აკაკი წერეთელთან ერთად სამოციანელთა ყველა-

ქართული სოციალური გაზეთი

პარიზი, 1 (13) აპრილი 1873 წ.

დღემდე ქართული სოციალური გაზეთი, ემიგრანტული ლიტერატურისა და, კერძოდ, პერიოდის გამოცემა, როგორც წესი, განპირობებული იყო თავისუფალი აზრის გამოთქმის დეფიციტით საკუთარ ქვეყანაში. რუსეთის იმპერიის პერიოდის მკაცრი სახელმწიფო ცენზურა 1921 წლიდან შეიცვალა საბჭოთა ხელისუფლების არანაკლები, თუ უარესი არა, ცენზურით. ამიტომ, უცხოეთში გამოცემული ლიტერატურა რჩებოდა განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების გამოხატვის ერთადერთ საშუალებად.

ნიკო ნიკოლაძე ილია ჭავჭავაძესა და აკაკი წერეთელთან ერთად სამოციანელთა ყველა-

ზე თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო. იგი უპირველეს ყოვლისა ეროვნული მოღვაწე იყო, მაგრამ ამავე დროს, როგორც პუბლიცისტი და კრიტიკოსი, გასცდა ვიწრო ეროვნულ საზღვრებს. ნ. ნიკოლაძე რუსული და ევროპული აზროვნების ასპარეზზე გამოჩნდა როგორც ფართო ერუდიციის მოაზროვნე და მეტრძოლი ტემპერამენტით აღჭურვილი პუბლიცისტი.

გაზეთ «დროშის» დაარსების ისტორია კარგად აქვს აღწერილი თვითონ ნიკო ნიკოლაძეს სიმონ ხუნდაძისადმი გაგზავნილ წერილში. იგი

თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო. იგი უპირველეს ყოვლისა ეროვნული მოღვაწე იყო, მაგრამ ამავე დროს, როგორც პუბლიცისტი და კრიტიკოსი, გასცდა ვიწრო ეროვნულ საზღვრებს. ნ. ნიკოლაძე რუსული და ევროპული აზროვნების ასპარეზზე გამოჩნდა როგორც ფართო ერუდიციის მოაზროვნე და მეტრძოლი ტემპერამენტით აღჭურვილი პუბლიცისტი.

გაზეთ «დროშის» დაარსების ისტორია კარგად აქვს აღწერილი თვითონ ნიკო ნიკოლაძეს სიმონ ხუნდაძისადმი გაგზავნილ წერილში. იგი

იხსენებს, რომ 1873 წლის გაზაფხულზე პარიზში იმყოფებოდა, სადაც მუშაობდა ქართული შრიფტის გამარტივებისა და ქართული სტამბის მონყობის საკითხებზე. მასთან ერთად იმყოფებოდნენ დათა მიქელამე (ქართულ მწერლობაში ცნობილი იყო ფსევდონიმით „მეველე“ და პავლე იზმაილოვი (მოგვიანებით გახდა თბილისის თავი).

ისინი გაეცნენ ახალ აღმოჩენას, რომელიც აადვილებდა ლითოგრაფიების მონყობას და ხმარებას, რაც საშუალებას მისცემდა კავკასიის ხალხებს, ადგილობრივ ენებზე უფრო ადვილად გაეკრცვლებინათ ევროპული აზროვნება. ამ მიზნით მათ პარიზში ჰექტოგრაფზე საცდელად დაბეჭდეს გაზეთ «დროშის» ათი ნომერი ას-ასი ცალი ტირაჟით, რომლებსაც უსასყიდლოდ უგზავნიდნენ ევროპის სხვადასხვა ქალაქში მცხოვრებ ქართველებსა და სხვა კავკასიელებს.

დროთა განმავლობაში ამ გაზეთის ეგზემპლარები დაიკარგა. გადარჩა მხოლოდ პირველი სამი ნომერი, რომლებიც დღეს ლონდონში, ბრიტანეთის მუზეუმში ინახება, არავინ იცის, რა ვითარებაში აღმოჩნდა ეს გაზეთი ლონდონში, ან ვინ მიიტანა იგი მუზეუმში. მისი არსებობის შესახებ სრულიად შემთხვევით გაიგო თვით მისმა დამაარსებელმა და რედაქტორმა ნიკო ნიკოლაძემ, როდესაც ლონდონში იმყოფებოდა 1926 წლის დეკემბერში.

„დროშის“ ეს ნომრები კარგ მდგომარეობაში იყო შენახული. კატალოგში აღნიშნული იყო, როგორც რევოლუციური გაზეთი, ხოლო გამოცემის ადგილად შეცდომით მითითებული იყო ჟენევა, თუმცა ეს გაზეთი დაიბეჭდა პარიზში. გაზეთის რედაქტორად ნიკო ნიკოლაძის ნაცვლად ასევე შეცდომით დასახელებული იყო სერგეი მესხი.

«დროშა» მცირე ფორმატის გაზეთია. იგი ოთხი გვერდისგან შედგება. პირველი ნომერი დათარიღებულია 1 აპრილით. სარედაქციო წერილში, რომელიც ნიკო ნიკოლაძის ხელითაა დაწერილი, მითითებულია: «დროშა», ქართული სოციალური გაზეთი, გამოიცემა პარიზში ათი დღის განმავლობაში, ყოველ დღე, საღამოობით. ამ გაზეთზე არც ხელისმონერა მიიღება, არც ცალ-ცალკე ფურცლების გამოწერა. ის მარტო რედაქციისათვის იბეჭდება. ათი დღის შემდეგ, ესე იგი 11 აპრილს 1873, «დროშის» ბეჭდვა მოისპობა».

გაზეთში გამოქვეყნებული პუბლიკაციები ხელმოუწერელია, მაგრამ რაკი ჰექტოგრაფიული გაზეთია, ავტორების დადგენა კალიგრაფიის მიხედვით ხერხდება. მასალების ავტორე-

ბი თვით ამ გაზეთის დამაარსებლები — ნიკო ნიკოლაძე, დავით მიქელამე (მეველე) და პავლე იზმაილოვი იყვნენ..

შემონახულ სამ ნომერში მოთავსებულია შემდეგი ხელმოუწერელი წერილები:

N1: რედაქციისაგან (ნ. ნიკოლაძე); წინასიტყვაობა (ნ. ნიკოლაძე); ვისი ბრალია? (დ. მიქელამე); ეკლესია და სახელმწიფო (ნ. ნიკოლაძე); ჩვენი ახალგაზრდობის სიყალბე (პ. იზმაილოვი); აღდგომა! (ნ. ნიკოლაძე); წვრილი ამბები (ნ. ნიკოლაძე).

N2: საფრანგეთის გარეგანი პოლიტიკა (ნ. ნიკოლაძე); სისულელე და უზრდელობა სიბრძნის მანტიასი (დ. მიქელამე); ერობის თვითმართველობა როგორ გამოგვადგება (პ. იზმაილოვი); თანამედროვე სურათები (ნ. ნიკოლაძე); ნაწყვეტ-ნაწყვეტი ამბები (დ. მიქელამე, ნ. ნიკოლაძე).

N3: რას უნდა ველოდეთ? (დ. მიქელამე); პარტიული დისციპლინა (ნ. ნიკოლაძე); თანამედროვე სურათები (ნ. ნიკოლაძე); ცოტა-ცოტა... (პ. იზმაილოვი); ნაწყვეტ-ნაწყვეტი ამბები (ნ. ნიკოლაძე).

გამოქვეყნებული მასალები ეხება შემდეგ თემებს: საგარეო პოლიტიკის საკითხები; ნაციონალური საკითხები; მუშათა მოძრაობის საკითხები; სოციალიზმის პრობლემა; სხვა სოციალური და ისტორიული ხასიათის საკითხები.

გ. შარაძის შეფასებით, თავისი პოლიტიკური მიმართულებით «დროშა» არის პირველი ქართული არალეგალური სოციალისტური მიმართულების გაზეთი, რომელიც ცდილობდა ევროპის პროგრესული აზროვნების საქართველოს ნიადაგზე გადმონერგვას.

გაზეთის პირველ ნომერში დაბეჭდილია ნიკო ნიკოლაძის წინასიტყვაობა, რომელშიც გამოკვეთილია «დროშის» იდეური მიმართულება და უმთავრესი დანიშნულება. ნ. ნიკოლაძის თქმით, ისტორიის იმ ეტაპზე, როდესაც ცხოვრება სიყრუიდან და სიბნელიდან გამოვიდა, როდესაც ცხოვრების ძველი წესის ნაცვლად ახალი წესი იწყებს დაარსებას, ყრუდ და ბრმად დარჩენა არა მარტო შეცდომა, არამედ დანაშაულიც კი იქნებოდა შემდეგი თაობისა და ხალხის წინაშე.

«ჩვენ ამნაირი შეცდომის და დანაშაულის თავიდან აცილება გვსურდა; გვსურდა ჩვენი ახალგაზრდობისათვის მაგალითით გვჩვენებია, თუ როგორ შეიძლება ეხლანდელი ცხოვრების დაკვირვება და გაცნობა ისე, რომ კაცს ცხოვრებაში სამოქმედო ხელმძღვანელი აზრი და გამოცდილება ჰქონდეს. «დროშას» მეტი მიზანი არა აქვს, ის სამიოდე ახალგაზრდას

ნიგნებიდან ამოხეული თაბახებია. ის იმ მუსაიფისა და სიტყვების გამოსახვაა, რომელსაც ეს ახალგაზრდები გამოთქვამენ ხოლმე, როცა გაგებულ ამბებს, შენიშნულ მოვლენებს, გაცნობილ აზრებს ერთმანეთს აცნობენ... და თუ «დროშამ» ჩვენ ახალგაზრდობაში შეერთებული დაკვირვებისა და დამზადების სურვილი აღძრა, თუ მისი მაგალითი უკვალო და უნაყოფო არ გამოდგა, «დროშის» მიზანი სრულებით მიღწეული იქნება» (ნ. ნიკოლაძე).

1873 წელს ნიკო ნიკოლაძე დაბრუნდა საქართველოში. პოლიციამ მისი ბარგის გაჩხრეკის დროს აღმოაჩინა დიდი რაოდენობით აკრძალული ნიგნები და ლითოგრაფიული დაზგა. სავარაუდოდ, ნიგნებთან და დაზგასთან ერთად, მას ჩამოართვეს გაზეთ «დროშის» ნომრებიც. სწორედ ამიტომ, დიდი ხნის განმავლობაში ამ გაზეთის არსებობის შესახებ არაფერი იყო ცნობილი ფართო საზოგადოებისათვის.

წელს, 2013 წლის 1 აპრილს შესრულდა 140 წელი გაზეთ «დროშის» დაარსებიდან. გადარჩენილი პირველი სამი ნომრის ფოტოასლები, რომლებიც ნიკო ნიკოლაძემ გადაიღო ლონ-

დონში ყოფნის დროს 1926 წელს, ინახება საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში, ნიკო ნიკოლაძის პირად არქივში.

გამოყენებული ლიტერატურა:

შარაძე გურამ. ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია: ტომი 1. – თბ., 2001. – გვ. 2-13.

გამეზარდაშვილი დავითი. ნიკო ნიკოლაძე. — თბ., 1983. — გვ. 49-53.

დათუკაშვილი მანანა რევოლუციამდელი ქართული პრესა უცხოეთში //განათლება / საქ. ტექნიკური უნ-ტი. — 2011. — N3. — გვ.116-120.

რედაქციის შენიშვნა: მიმდინარე წლის ოქტომბერში სრულდება ნიკო ნიკოლაძის დაბადებიდან 170 წლისთავი. ეს სტატია შეიძლება მივიჩნიოთ აგრეთვე ამ საიუბილეო თარიღის აღნიშვნის შემადგენელ ნაწილად.

სკოლის ბიბლიოთეკა

იური სინარულიძე

პროფესორი

120 წლის სკოლა

სოფელ გოგოლესუბნის საშუალო სკოლას საიუბილეო წელი უდგას.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში რუსეთის იმპერიაში დიდი სისწრაფით ვითარდებოდა დანყებითი („სამრევლო“) სკოლების ქსელი. ამას დრო მოითხოვდა და მთავრობასაც არ შეეძლო წინ აღდგომოდა მას.

სკოლების გახსნის ტემპი ზემო გურიის რაიონშიც

შედარებით მაღალი გახლდათ. ჯერ იოანე ნათლისმცემლის სახელობის ზემო ამაღლების მათა მონასტრის (უდაბნოს) სამრევლო სკოლა გაიხსნა.

1880 წელს ეს ბედნიერება სოფელ ქვემო ამაღლებასაც ეწვია. 1884 წელს ასეთივე სკოლის (ერთკლასიანი) გახსნა ფარცხმის თემშიც იზეიმია.





გოგოლესუბანი მალე აუბამდა მხარს ფარცხა-ჩოხატაურის სკოლას, მაგრამ დეკანოზ დიმიტრის (სიხარულიძე) დაჟინებამ შეაფერხა მისი გახსნა. საქმე იმაში გახლდათ, რომ დეკანოზს ენადა სკოლა მის სახლში გახსნილიყო და სხვა აზრის გაგონებაც არ უნდოდა.

1889 წელს დიმიტრი დეკანოზი მოულოდნელად გარდაიცვალა და მედავითნე ანტონ ბერძენიშვილის (1848–1898) ჩანაფიქრს მიეცა უპირატესობა. სკოლა მის სახლში გახსნილა, რომელიც თითქმის სოფლის შუაგულში მდებარეობდა. ახალ მღვდელს, ეპ. ჯიბლაძეს, რომელიც შუა ამალეებიდან დადიოდა გოგოლესუბანში, არც ისე მოსწონდა ის ადგილი, მაგრამ იმ დროს სხვა გზა ჯერ კიდევ არ იყო გამოკვეთილი და ამიტომაც დათანხმდა მედავითნეს და სკოლა დროებით აკურთხა აქ.

ანტონ მედავითნემ სკოლას თავის მშვენიერ ოდაში ყველაზე მოზრდილი ოთახი („ზაალა“) გამოუყო და ყოველმხრივ მოამზადა მოსწავლეთა მისაღებად.

ეს იყო 1893 წლის აგვისტოს ბოლოს, ხოლო 1 სექტემბერს სკოლა გაიხსნა კიდევც.

სკოლის გახსნაზე საპატიო სტუმრებიც არ იყვნენ მცირედ. მათ შორის იყო ან. ბერძენიშვილის უფროსი ვაჟი, მწერალი და ჟურნალისტი ლავრენტი ბერძენიშვილი (1893–1899), რომელსაც ილია ჭავჭავაძეც კი დიდ პატივს სცემდა.

ლავრენტი იმ დროს ბათუმში იღვწოდა და ბიძის ექვთიმე ბერძენიშვილის სასტუმროში („იმპერიალი“) ცხოვრობდა.

სკოლის გახსნაზე ლავრენტი საგანგებოდ

ავიდა სოფელში და სიტყვაც შესაფერისი ბრძანა, შეწირულებათა სიუხვითაც მიიქცია ყურადღება.

ამ შეწირულებათა შორის არც დიდი ბიზნესმენის – ექ. ბერძენიშვილის შესანიერი არ იყო მცირე. სიტყვით გამოვიდა აგრეთვე ჩოხატაურის სკოლის გამგე-მასწავლებელი კონსტანტინე თოფურია, რომელმაც 1893 წლის აგვისტოს ბოლოს შეცვალა ამ სკოლის გამგე-მასწავლებელი და მწერალი გიორგი ბოკერია (1868–1947).

ამ დროს განსაკუთრებით ჭირდა წიგნები, რაც აუცილებელი იყო თუნდაც ერთიციცქნა ბიბლიოთეკის შესაქმნელად.

პ. თოფურიძემ მეტწილად სწორედ წიგნები გადასცა გოგოლესუბნის სკოლას და თან დასძინა: „დროთა განმავლობაში ეს წიგნები შეივსება და თუ კარგი ჭირისუფალი გამოუჩნდება, ისეთ ბიბლიოთეკად ჩამოყალიბდება, რომ ღირსეულად მოემსახურება მოსწავლე-ახალგაზრდობას, პედაგოგიურ პერსონალს და ყველას, ვისაც კი ასეთი სამსახური დასჭირდებაო“.

სიტყვა ითხოვა ლავრენტი ბერძენიშვილმა და ბრძანა: „წიგნები მოდის და ბიბლიოთეკას კარგი მომავალი უჩანს. ოღონდ საჭიროა ისეთი ბიბლიოთეკარი, რომელიც ამ წიგნებს ღირსეულად ეპატრონება და თანდათან ბიბლიოთეკად აქცევს. აქ ბრძანდება ქალბატონი პელაგია შარაშიძე, ალექსანდრე ბერძენიშვილის (1850–1890) ახალგაზრდა ქვრივი, რომელიც ინტაბუეთელი აზნაურის განათლებულ ოჯახშია აღზრდილი და უკეთეს ბიბლიოთეკარს დღეს არა თუ ჩვენს სოფელში, მთელ ზემო გურიას ძნელად თუ იპოვის ვინმე“.

ამ შემოთავაზებით სკოლის გამგეც (ჯიბლაძე) დაინტერესდა და სხვებიც. ახლა ჯერი ქალბატონ პელაგიაზე მიდგა. „ამაზე არ მიფიქრია, თქვა მან, მაგრამ, თუ მართლაც ასე საჭირო გახლავართ, მზად ვარ ჩავდგე ჩვენი ახალგაზრდობის სამსახურშიო“!. ამის შემდეგ სიტყვა აიღო ოზურგეთისა და ჩოხატაურის მოქალაქემ ალექსი სიხარულიძემ (1857–1919), რომელიც იმავე დროს ჩოხატაურის სკოლის მზრუნველიც ბრძანდებოდა (1892 წლიდან). მან თქვა: „მიხარია, რომ ჩვენი სოფლის სკოლაც შეემატა გურიის სკოლებს. მე უკვე მაქვს სკოლასთან მუშაობის ერთგვარი გამოცდილება და ამ მაძლს აქაც უშურველად გამოვიყენებო!“ შთამბეჭქდავი გახლდათ სოფლის კერძო სამუსიკო სკოლის ხელმძღვანელის, ივანე ფარემთუხუცესის (სიხარულიძე) ტრადიციების ღირსეული გამგრძელების ვახტანგ სიხარულიძის (1866–1941) გამოსვლაც: „მე, როგორც ხელოვ-



ნების მოღვაწე, სკოლას ქართული საკრავიერი მუსიკის რამდენიმე ეგზემპლარს ვწირავ – ერთ ჩონგურს, რომელიც ქართველებისათვის ასე ძვირფასია და ერთ ფანდურსაც. ისინი დაამშვენებენ სიმღერის გაკვეთილს და თანაც მონაწილეებში ხალხური მუსიკის სიყვარულსაც გააღვივებენ. მზად ვარ გვერდით დავუდგე სკოლას“.

სკოლის გახსნის მონაწილეთა ეს არასრული სიაც საკმარისია იმის წარმოსადგენად, თუ რა საქმიან ვითარებაში მიმდინარეობდა სკოლის გახსნის საზეიმო საღამო.

იგივე პათოსი გრძელდებოდა ბანკეტზეც, რომელსაც ალექსი სიხარულიძე უძღოდა.

მას შემდეგ კარგახანი გავიდა და ორმა დიდმა საუკუნემ მიიხურა კარი. ამ ხნის განმავლობაში იუბილარმა სკოლამაც რამდენჯერმე შეიცვალა ადგილსამყოფელი. დღეს იგი სოფლის ცენტრშია ორსართულიან შენობაში.

თუ როგორ მუშაობდა სკოლა, ამას მისი აღზრდილების საქმიანობა მოწმობს.

მათგან ყველაზე გამოჩენილი და სკოლის სიამაყეა ქართული საისტორიო მწერლობის მამამთავარი, აკადემიკოსი ნიკოლოზ ბერძენიშვილი (1890–1965), რომელიც დიდ მთაწმინდელთა სამკვიდროდან გადმოსცქერის საქართველოს და თავისი სამაგალითო ცხოვრებით გვიჩვენებს, თუ როგორ უნდა მოვიქცეთ, რომ რაიმე ვარგოთ არა საკუთარ თავს, არამედ ქვეყანას. იმარჯვეს მისმა მოწაფეებმაც, რომელთაგან რამდენიმე გოგოლესუბნის სკოლის აღზრდილიცაა.

ასეთები გახლავან საქართველოს დარგობრივი მეცნიერებათა აკადემიების წევრები, პროფესორები იური სიხარულიძე, ფრიდონ სიხარულიძე და დერმიშა გოგოლაძე.

აღზრდელი სკოლა სხვებმაც ასახელეს. მათ შორის ნიჭიერმა მათემატიკოსმა, საქართველოს უმაღლესი სკოლის დამსახურებულმა მოღვაწემ სამსონ ბერძენიშვილმა, ქართული ხალხური მუსიკის დიდოსტატებმა ვაჟა გოგოლაძემ (საქართველოს კულტურის დამსახურებული მოღვაწე), ოთარ ბერძენიშვილმა (საქართველოს დამსახურებული არტისტი), ვლადიმერ გოგოლაძე (საქართველოს მშენებლობის საქმის დიდოსტატი და სხვა).

წინ დიდი ამოცანებია და სკოლაც (დირექტორი მ. გოგიბერიძე) მათ ღირსეულად გადაწყვეტს უთუოდ.

ღირსეული წინაპრები

თქა იოსავა

იროდიონ ევდოშვილი - 140

„მშობრებს ცრემლები გადავულოცოთ,
მათ დაიტირონ თავიანთ თავი,
ჩვენ კი, გმირებო, ისევ უშიშრად
წინ გავაქანოთ ამაყი ნავი“

იროდიონ ევდოშვილის, როგორც მწერლის მნიშვნელობა იმაში იყო, რომ იგი სამწერლო სარბიელზე გამოსვლის პირველ წლებიდანვე ქართული მწერლობისათვის სრულიად ახალ თემებს ეხებოდა და ამ თემებს თავისებურად აშუქებდა. თემისა და იდეების სიახლემ მაშინვე მოუხვეჭა მას საყვარელი მწერლის სახელი და პოპულარული გახადა. რევოლუციურ-დემოკრატიული პოეზიის გამოჩენილი წარმომადგენელი იროდიონ

ისაკის ძე ხოსიტაშვილი. (მწერლობაში ცნობილი ევდოშვილის ფსევდონიმით) დაიბადა 1873 წელს ქიზიყში.

იროდიონ ევდოშვილმა თავიდანვე ცხოვრების მძიმე გზა აირჩია. ახალგაზრდობის წლები მან სასულიერო სასწავლებლისა და სემინარიის დახშულ ატმოსფეროში, ანაფორიანი ჟანდარმების მუდმივი მეთვალყურეობისა და დევნის ქვეშ გაატარა. შემდეგ, საზოგადო ასპარეზზე გამოსვლისთანავე, სიკვდილის კარამდე იგი ცარიზმის დამსჯელი ორგანოების შეუწყობელი ყურადღების ცენტში იყო მოქცეული. გამუდმებული დევნა, ციხე, ციმბირში გადასახლება, შიმშილი, აუტანელი გაჭირვება, ავადმყოფობა მისი მძიმე

ხვედრი იყო.

მიუხედავად ამისა, პოეტმა ქვეყნის სამსახურში, რევოლუციური ბრძოლისა და შემოქმედებითი ცხოვრების სახელოვანი გზა გაიარა და თავისი ხანმოკლე ნათელი სიცოცხლე ხალხის ინტერესებს ანაცვალა.

მან პირველმა დახატა წარმოების მუშისა და კაპიტალისტური ექსპლოატაციისაგან გაღატაკებული ადამიანების სახეები, მათი შეურიგებელი არსებული საზოგადოებრივი ურთიერთობისადმი მტრული სულისკვეთება. ევდოშვილის საბრძოლო პათოსით აღბეჭდილი ლექსები კვალდაკვალ მისდევდნენ მოვლენებს და უშუალოდ ეხმაურებოდნენ რევოლუციური მასების მზარდ მოთხოვნისა და განწყობილებებს. იროდიონ ევდოშვილი იყო 1905 წლის რევოლუციის მგზნებარე მომღერალი. ასეთად შევიდა იგი ქართული ლიტერატურის ისტორიაში. საქართველოში რევოლუციამ მძლავრად გაშალა მხრები. მუშათა გაფიცვებს წმინდა პოლიტიკური ხასიათი ჰქონდა. ამ ისტორიულ ეპოქას მხატვრულ მწერლობაში თავისი მესიტყვე უნდა ჰყოლოდა და ეს მესიტყვე სწორედ იროდიონ ევდოშვილი იყო, რომელმაც მთელი მიმდინარეობა შეჰქმნა მაშინ.

მისი პირველი ლექსები იბეჭდება 1892 წლიდან „კვალში“ (№ 23) – „გუბე“. პოეტმა მკვეთრ ფერებში გამოხატა სემინარიაში გაბატონებული რეაქციული წესები. მისი მეორე დაბეჭდილი ლექსი იყო „გაზაფხული“, რომელიც პირველად გამოქვეყნდა „ივერიაში“ (1895, № 50).

სალიტერატურო ასპარეზზე ევდოშვილი ფსევდონიმით ამ ლექსით გამოვიდა.

1895 — 1896 წლების „ივერიაში“ გამოქვეყნებული თხზულებებიდან განსაკუთრებით გამოირჩევა ისეთი ლექსები, საიდანაც ჩანს, რომ პოეტმა მთავარ მიზნად საზოგადოებრივ უკუღმართობასთან ბრძოლა დაისახა. მან საბოლოოდ აღიარა კლასობრივი ბრძოლის აუცილებლობა. პოეტს ღრმად სწამდა, რომ საჭიროა იარაღით ხელში შეუპოვარი რევოლუციური ბრძოლა („ქარიშხალი“, „ჩვენება“, „მეგობრებს“ და სხვ.). იმ პერიოდის ქართულ ლიტერატურაში არ არსებ-

ობს ისეთი მხატვრულად ღირშესანიშნავი მაღალი პათოსითა და ბრძოლის წყურვილით გაჟღენთილი ლექსი, რომელიც შეიძლება „მეგობრებს“ გაუტოლდეს. იროდიონ ევდოშვილის მანამდე უკვე დამსახურებული პოპულარობა და სიყვარული ამ ლექსმა კიდევ უფრო განამტკიცა და უმაღლეს საფეხურზე აიყვანა. პირველი რევოლუციის პერიოდში ამ ლექსით გულაგზნებული მშრომელი მასა მიდიოდა თვითმპყრობელობისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ამ ლექსში პოეტი უკვე კლასობრივი შურისძიებით არის ანთებული და ყოველგვარი ყოყმანის გარეშე მას ღრმად სწამს, რომ საჭიროა იარაღით ხელში შეუპოვარი რევოლუციური ბრძოლა.

...ნინ, ნინ, მედგრად შევებრძოლოთ

ჩარხუკულმართ ამ ჩვენს დროსა,

ჭირის ოფლში გავატაროთ სიმართლის და ძმობის დროსა!“

პოეტს ანუხებდა სოციალური უთანასწორობა, უკეთეს მომავალზე ფიქრი, რაც გამოიხატა მის ნაწარმოებებში: „ჩემს ხანჯალს“, „დედის მოთქმა“, „ზოგიერთ მეგობრებს“, „შელის ნუკრი“, „აგერა“, „მთვარემ ამოაშუქა“, „ყორნის ბრალია“ და სხვა მშრომელი ხალხის უუფლებობა, ჩაგვრა და მძიმე ეკონომიური სიდუხჭირე ასახა ლექსებსა და მოთხრობებში, რომლებიც თანმიმდევრობით იბეჭდებოდა გაზეთ „ივერიაში“ –

„აი კვლავ სევდა ეწვია გულსა“, „როს ტოლთა შორის“, „მუსიკას“, „სულ არ მივსტირი გაზაფხულს“, „ჩვენი მგოსანი“, „შრომა“, „ოფლის ღვრა“, „მუშა“, „მატანტალა“, „განკიცხული“, „ქურაზე“, „მიდის, მიგოგავს შიშველ ფეხებით“. პოეტის აზრით, უკანონობაზე აგებული კაპიტალისტური წყობილება აპარტახებს ნორმალური ცხოვრების კალაპოტიდან ამოვარდნილ მშრომელი ხალხის წარმომადგენლებს.

ირ. ევდოშვილმა „ივერიაში“ თანმიმდევრობით გამოაქვეყნა აგრეთვე პოემები: „სისხლი აილო“, „ელენე“, „უკანასკნელი დღე სიკვდილით დასჯილისა“, „ლეკი ისმაილ“. ამ პოემებში პოეტმა უაღრესად ადამიანური ტრაგედიები ნათელი ფერებით დაგვიხატა. არსებული წყობილების წინააღმდეგ მიმართული ყოველგვარი საღი მის-



წრაფება და მოქმედება სასტიკად ისჯებოდა. საბოლოოდ სიმართლე მაინც გაიმარჯვებს, – აკეთებს დასკვნას პოეტი.

ირ. ევდოშვილი მშრომელი ხალხის წიაღიდან გამოსული პოეტი.

იგი კარგად იცნობდა ხალხის საჭიროებას. განსაკუთრებით უყვარდა ხალხური პოეზია. ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ ირ. ევდოშვილის შემოქმედებაში თავიდანვე იგრძნობოდა ხალხური პოეზიის გავლენა. ხალხური მასალის საფუძველზე დამუშავებული აქვს მრავალი ლექსი, პოემა და მოთხრობა. ასეთ თხზულებათა რიგს მიეკუთვნება ლექსები: „მთვარე“, „ყორნის ბრალი“, მოთხრობები: „პატარა ყარამანიანი“, „დანგრეული კერპი“, „გველების ყორე“, „საკვლეველი“, „ძველი გუდა“ (ზღაპარი), „როგორ გაჩნდა ქვეყანაზე ჭაობი“ და სხვა.

იროდიონ ევდოშვილი „რიგოლეტოს“ ფსევდონიმით „კვალში“ სისტემატურად ბეჭდავდა აგრეთვე მახვილ იუმორისტულ ფელეტონებსა და წერილებს: „სამშობლოს ცაზე“, „პანკები“, „სახალხო ნაპერწკალი“ და სხვა.

სოციალური თავისუფლების იდეები მის პოეზიაში 1896 წლიდან უფრო მკვეთრად გამოჩნდა. მუშათა კლასის სოციალური ჩაგვრიდან თავის დასაღწევ საშუალებად პოეტს მიაჩნდა „ბრძოლა და მარად ბრძოლა“ თვითმპყრობელობისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ.

მუშათა კლასის გამარჯვების ღრმა რწმენით აღჭურვილი ირ. ევდოშვილი თავისუფლებისათვის მებრძოლთა მოუწოდებს შეტევისკენ („დაღლილ — დაქანცულთ“), ეს ლექსი 1899 წლის მუშათა მოძრაობის აზვირთების უშუალო გავლენით არის დაწერილი. 1900 წელს მუშათა პოლიტიკური აღმავლობის უშუალო გამოძახილი იყო ლექსი „სიმღერა“ („სიმღერა მაისის ღამეს“). მწერალი მუშათა დემონსტრაციებში მხურვალე მონაწილეობას ლეზულობდა და ამავე დროს პოეზიის მგზნებარე ცეცხლით მუშათა მასებს გულს უნათებდა.

მუშათა მოძრაობის აღმავლობის ზრდას თან სდევს ცარიზმის მხრივ სასტიკი რეპრესიები, მებრძოლ რევოლუციონერებს საპყრობილებში ჰყრიდა და კატორღაში გზავნიდა. იროდიონი იმედმიხდილებს ამხნევებდა („მახსოვს მე ღამე“), უთანასწორო ბრძოლის ველზე გამოსულ მუშათა კლასის ავანგარდმა ინვინია სასტიკი დამარცხება. („შემოდგომა“), თუმცა მის გულს ვერ აკრთობს პირველი დამარცხება...

პოეტის ცხოვრებაში საყურადღებო ფაქტია გაზეთ „კვალი“ – საქართველი მენშევიკების ორგანოდ ქცევა. 1903 წლიდან მან საბოლოოდ განვიტა კავშირი „კვალის“ რედაქციასთან და თა-

ნამშრომლობა დაიწყო ქართულ არალეგალურ ბოლშევიკურ გაზეთ „ბრძოლასთან“ რომელშიც დაიბეჭდა მისი რევოლუციური ლექსები და თარგმნილი სიმღერები.

რუსულიდან თარგმნა – „ვარშაველი“ და „მარსელიოზა“. 1903 წლიდან, „კვალთან“ ურთიერთობის განწყვეტის შემდეგ, ირ. ევდოშვილის თხზულებები უმთავრესად იბეჭდებოდა გაზეთ „ცნობის ფურცელში“, „ივერიაში“, „ნაკადულში“, ლეგალურ ბოლშევიკურ პრესაში, („ჩვენი ცხოვრება“, „დრო“, „ახალი დროება“, „მოგზაური“, „მნათობი“).

ირ. ევდოშვილი ბრძოლის ქარტეხილში ტრიალებდა საქმით, სიტყვით კი. – „ქართველ მშრომელ ხალხს მოუწოდებდა რუსეთის მუშათა კლასთან ერთად მხარდამხარ ებრძოლა მეფის წყობილების დასამხობად. მისი ლექსები: „საფლავიდან“, „ამირანი“, „ციხეში“, „იერუსალიმი“, „ჩემ მტერს“, „ჩონგურს“), „თავისუფლება“, „დუბინუშკას მაგიერ“ და სხვა.

1905 წლის განმავლობაში დაიბეჭდა ირ. ევდოშვილის რევოლუციური შინაარსის შემცველი ფელეტონები შიგ ჩართული ლექსებით: „მამ საით?“, „დილიდან — დილამდე“, „ბოდიში ძნელია“, „უკანასკნელი ზვირთი“, „სადღეისო“, „თვალთ ნანახი“, „სადღეისო ტალღებზე“ და სხვ. ეს ლექსები იყო მასაზრდოებელი იდეური წყარო მთელი იმ დროის განმავლობაში 1900–1907 წლებში. მის შემოქმედებაში თვალსაჩინო ადგილი უკავია პოლიტიკურ სატირას, პოეტის ხელში სატირა იყო ის მძლავრი იარაღი, რომლითაც დაუნდობლად ებრძოდა მშრომელი ხალხის მტრებს. ევდოშვილის პირდაპირი, მკვეთრი და ბასრი მახვილით მიმართული თხზულებებიდან ყველაზე თვალსაჩინო ადგილი უკავია პოემას „მუზა და მუშას“. მასში ასახულია მუშის ეკონომიური ცხოვრების მძიმე პირობები კაპიტალისტურ საზოგადოებაში. პოემაში მწერალმა უარყო თეორია, „ხელოვნება ხელოვნებისათვის“, მას მიზნად მშრომელი ხალხის სამსახური, მისი თავისუფლებისათვის ბრძოლის ფუნქცია დააკისრა.

ირ. ევდოშვილი საქართველოში, ისევე, როგორც მაქსიმ გორკი რუსეთში, ლესია უკრაინკა უკრაინაში მოცემული ეპოქის პირველი მწერალი და პოეტი იყო.

ირ. ევდოშვილის პირველი პროზაული თხზულება არის მოთხრობა „ორი ობოლი“, რომელიც დაიწერა 1893 წელს. ავტორი მკითხველში ინვევდა ძლიერ აღშფოთებასა და კლასობრივი შურისმიების გაღვივებას. მოთხრობაში, „სასუნელი ენოქი“ მოგვცა თურქ დამპყრობთა მიერ აწიოკებული მოძმე. სომეხთა ამაღელვებელი მხატვრული სურათი.

1903 წელს ირ ევდოშვილმა „კვალში“ (№ 42, 43, 44, 46) გამოაქვეყნა მოთხრობა „ყაჩაღი“. თემად აღებულია 900-იანი წლების ქიზიყის მშრომელ გლეხთა ცხოვრება. 1905 წლის რევოლუციის მომზადებისა და მისი აღმავლობის პერიოდშია დაწერილი მოთხრობები: „დანგრეული კერპი“ (წარსულიდან), „თოვლის ქვეშ“, „ვისია ეს საფლავი“, „ციხეში“, „გველების ყორე“, „მიცვალებულთა აჩრდილებს“, „წერილი“, „სხივი... სინათლე!“, „წერილი ქალაქიდან“. ირ. ევდოშვილის პროზაში თვალსაჩინო ადგილი უკავია იუმორისტულ მოთხრობებს: „პატარა ყარამანიანი“, „იესო რაბი“, „ინტელიგენტი ცხვირი“, „ლუკას კაკარდა“, „სიზმარი კოლეჟსკი რეგისტრატორისა“, „ოჩოპინტრე“ და სხვ.

ირ. ევდოშვილმა წამების მძიმე გზა განვლო. გამუდმებული დევნა, ციხე, სამშობლოდან გადასახლება, შიმშილი, გაჭირვება მან ველარ აიტანა, დაავადმყოფდა და 1916 წლის 21 მაისს. უდროოდ გარდაიცვალა. ირ. ევდოშვილის ძვირფასი ლიტერატურული მემკვიდრეობა, როგორც რევოლუციური პოეზიის, ისე პროზისა, შევიდა ქართული ლიტერატურის საგანძურში და ღირსეული ადგილი დაიკავა.

ბიბლიოგრაფია

იროდიონ ევდოშვილის ადრინდელი გამოცემები

ლექსები და პოემები ტფილისი, წიგნის გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის სტამბა 1901–1902 გვ.

სამი მოთხრობა ი. ევდოშვილისა: ციხე, მიცვალებულთა აჩრდილებს, გველების ყორე, ტფილისი, „ნოქართა ამხანაგობი“ – გამოც. №1. ი. ხელაძის სტ. 1905.

მუზა და მუშა პოემა ი. ევდოშვილისა ტფილისი, მ. ე. ხელაძის სტ. 1906. 15 გვ.

პოეზია, მწუხარე და ნაღვლიან ჰანგზე სიმღერა (იროდიონ ევდოშვილი ლექსები და პოემები. ტფ. 1905 წ. – 1913 ს. მ. ლოსაბერიძის სტ.) – 20 გვ.

კრებული [თხზულებანი] ირ. ევდოშვილი, ტფილისი, 1916 (სტ. „შრომა“) – VIII 452. IV გვ.

რჩეული ლექსები [ტფ]: შრომა, 1929 (ზარია ვოსტოკა) – 118 გვ.

კორესპონდენციები

მზია იარაჯული

წამყვანი ბიბლიოთეკარი

ლონისძიება თიანეთის ბიბლიოთეკაში

მარტის თვეში ჩვენმა ბიბლიოთეკამ ორი ღირსესანიშნავი თარიღი აღნიშნა. ჩვენი თანამემამულის – პოეტი ჯარისკაცის მირზა გელოვანის დაბადების დღე, აგრეთვე „დედის დღე“ და „ქალთა საერთაშორისო დღე“.

2 მარტი მირზა გელოვანის დაბადების დღეა. ამ დღისათვის ბიბლიოთეკაში მოეწყო გამოფენა, ვუმასპინძლეთ ყველას, ვისაც ახსოვს დიდი პოეტი, ვინც თაყვანს სცემს, როგორც მართლაც და ყველა თაობის თანამედროვე პოეტსა და ღირსეულ მამულიშვილს ჩვენი ქვეყნისა.

არ შეიძლება განსაკუთრებით არ გავიხსენოთ მირზა გელოვანის ლექსი „დედას“; მირზას გულწრფელად სწამდა, რომ დედის ლოცვა დააბრუნებდა სამშობლოში:

„ჩემთვის რა იყო ეს სალამო... არავინ იცის, მე მივიდიოდი, შორს რჩებოდა ყმობის ბუნება, დედავ, გრიგალში გადაკარგულს წუხილით მიცდიო და ჩემს სიცოცხლეს ლოცულობო და ჩემს დაბრუნებას“.

ქალთა დღეს მივუძღვენი ლიტერატურულ-

მუსიკალური კომპოზიცია სათაურით:

„ასწიეთ მაღლა აიტაცეთ ღრუბელთა ზედა ქალი მეზრძოლი, ქალი დედა, ქალი ლეგენდა. ყველა გმირობა მიაწიქეთ მას უცილობად, რამე თუ თავად დედობაა დიდი გმირობა“.

„ქალთა საერთაშორისო“ და „დედის დღისადმი“ მისალოცი სიტყვები წაიკითხეს ქეთი აბრამიშვილმა, მერი დუმბაძემ, მარია ქსნელაშვილმა და ნესტან ნიკლაურმა.

ლექსებით და სიმღერებით დაამშვენეს ღონისძიება პატარა მკითხველებმა. ესენი არიან: ლ. ნარიმანიძე, ა. შენგელია, ე. ლობჯანიძე, დ. ბიკაშვილი, ლ. დოლიაშვილი, მ. გამახარაშვილი, თ. გორგიაშვილი, ვ. გერია, ა. ცხორაგაული, მარიამ და გიორგი გოგოჭურები.

ლონისძიების დასასრულს ბავშვებმა ვარდებით დაასაჩუქრეს ყველა დამსწრე ქალბატონი.

და ბოლოს, მოეწყო ნახატების გამოფენა „გილოცავ დედა“, რომელიც საჩუქრად გადასცეს დედებს.

სალომე ლაჭავაძე

ბაგების №38 ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარი

ხელოვნება ბიბლიოთეკაში



ხელოვნება — ადამიანის შემოქმედების ტრიუმფი, სახეებში ხორცშესხმული ოცნება, ფიქრი და სილამაზე. ჯადოსნური ფუნჯის ან საჭრეთელის შეხებით თითქოს გაქვავებული, მაგრამ მანაც მარად მოძრავი და ცვალებადი სინამდვილე; ცისა და მიწის მომხიბლაობა, სიცოცხლის ჰიმნი, ხილული იდეალი; ცოცხალი სინამდვილის თუნდაც ფრაგმენტები, ერთი მონაკვეთი, რასაც გარკვეული ფორმა და შინაარსი ეძლევა. ამგვარად ესმის, აღიქვამს და განმარტავს ხელოვნებას გარკვეული ნაწილი საზოგადოებისა, მაგრამ რაოდენ კაზმული, პოეტური ფრაზებიც არ უნდა მოვიშველიოთ, ხელოვნების სიღრმეს, სივრცესა და ნაირფეროვნებას ვერ ამოვწურავთ.

ვინაიდან ბიბლიოთეკა წიგნების საცავია (როგორც ჟიულ ვერნი ამბობს), ზოგს არც წარმოუდგენია, რომ იქ ლიტერატურის გარდა ფერწერაც შეიძლება ყვაოდეს. ამის არაჩვეულებრივი დასტურია ბაგების №38 ბიბლიოთეკა, სადაც გარდა ლიტერატურისა, მხატვრობასაც დიდი ყურადღება ეთმობა. ასე რომ, მე თავისუფლად შემიძლია ვუწოდო №38 ბიბლიოთეკას „ხელოვნების წიაღი“, რადგან იქ ხელოვნების სხვადასხვა დარგი აქტიურად არის წარმოდგენილი.

ზემოაღნიშნული ბიბლიოთეკის გამგე, ქ-ნ ლია ხოფერია, ბავშვებთან ურთიერთობის საოცარ უნარს ფლობს და ცდილობს დაინტერესოს ისინი ბიბლიოთეკით. რთულია სკოლამდელი ასაკის ბავშვს ან დაწყებითი კლასების მოსწავლეს ესაუბრო წიგნის მნიშვნელობაზე, რომელსაც ის ბოლომდე ვერ ჩასწვდება. ამიტომ ქ-ნ ლია მათ უქმნის პირობებს, რომ დახატონ, გააფერადონ და შემდეგ მათ ნამუშევრებს ის ბიბლიოთეკის

კედლებზე გამოფენს ხოლმე, ხოლო განსაკუთრებულად მოწონების შემთხვევაში, სიგელებითაც კი აჯილდევებს პატარა მხატვრებს.

ამ მეთოდმა ისეთი შედეგი გამოიღო, რომ მცირეწლოვანი ბავშვების ნამუშევრების პერსონალური გამოფენები ეწყობა ბიბლიოთეკაში. 2013 წლის 13 აპრილს მოენყო ბიბლიოთეკის მკითხველის, 8 წლის ია მაჭავარიანის, ნამუშევრების პერსონალური გამოფენა, რითაც საკმაოდ ბევრი ადამიანი დაინტერესდა და პროფესიონალი მხატვრებიც ესტუმრნენ გამოფენას. სხვა საპატიო სტუმრებთან ერთად, გამოფენაზე იმყოფებოდნენ მხატვრები: ზაზა მაჭავარიანი და ვალერი ჯობავა. აღსანიშნავია, რომ ბ-ნ ვალერი ჯობავა გახლავთ აფხაზეთისა და საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი, რომელიც ღონისძიების დასასრულს გამოვიდა სიტყვით და აღტაცებით შეაფასა პატარა იას ნამუშევრები, ხაზი გაუსვა მის პატარა ასაკს და დიდ შესაძლებლობებს. იგი ასევე აღფრთოვანებული იყო ბაგების ბიბლიოთეკით, რის გამოც მადლობა გადაუხადა ქ-ნ ლია ხოფერიას და ბიბლიოთეკის თანამშრომლებს: დოდო ჭილაძეს, ხათუნა ჩაჩუას, მათა გეგელიძეს და მათა ტუხაშვილს. ეს დამატებითი აქტივობა მკითხველის რაოდენობას ზრდის.



შემოქმედის თვალთ დასახული სამყარო სულ სხვაა, მათ საკუთარი პრინციპები აქვთ. დიდი მხატვარი, ხელოვანი და იმპრესიონიზმის გამოჩენილი მოღვაწე — ედუარდ მანე ამბობს „მე ვხატავ იმას, რასაც ვხედავ და არა იმას, რაც სხვებს სურთ, რომ დაინახონ!“ იქნებ წლების შემდეგ ამ პატარებმაც თქვან საკუთარი სათქმელი უკიდევანო ხელოვნებაში.

ლია გოდელაშვილი

გურჯაანის საბიბლიოთეკო გაერთიანების
განყოფილების გამგე

სულიერებით აღვსილი საღამო

ოთარ ჭილაძე - 80



ტურგი და სცენარისტი – ასე განიხილეს მწერლის ლიტერატურული მემკვიდრეობა საღამოს წამყვანებმა მკითხველებთან მუშაობის განყოფილების გამგემ ნანა ლოლაშვილმა და საბავშვო განყოფილების ბიბლიოთეკარმა ნინო ჯაღუგიშვილმა. სიტყვით გამოვიდა ფრანგული ცენტრის ბიბლიოთეკარი ლია ზარდიაშვილი.

ლონისმიებას მეტი ელფერი შემატა დეკლამატორების: სოფო ბეციაშვილის, ირაკლი ხუცაიძის, ანი მაჩიტაძის და გვანცა ეხვასის მიერ წაკითხულმა ლექსებმა.

ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში ხალხმრავლობა იყო, სადაც თავი მოიყარა სხვადასხვა კატეგორიის და ასაკის მკითხველმა.

გურჯაანის საბიბლიოთეკო გაერთიანებაში საბიბლიოთეკო კვირეულის ფარგლებში მცირე ფორმატის სხვადასხვა ღონისძიება ჩატარდა. კვირეულის გვირგვინი იყო მისი დახურვა ლიტერატურული საღამოთი, რომელიც მიეძღვნა კახელი კაცის, თანამედროვეობის გულწრფელი მემკვიდრის, მწერალ, ოთარ ჭილაძის დაბადებიდან 80 წლისთავის იუბილეს.

ლიტერატურული საღამო გახსნა საინფორმაციო-ანალიტიკური განყოფილების გამგემ ლია გოდელაშვილმა, რომელმაც ილაპარაკა საბიბლიოთეკო კვირეულის ფუნქციაზე, მის დანიშნულებასა და მიმდინარეობაზე, როგორც სრულიად საქართველოში, ასევე გურჯაანის მუნიციპალიტეტში შემავალ ბიბლიოთეკებში.

კლასიკური მუსიკის ჰანგების ფონზე დამსწრე საზოგადოება სულგანაბული უსმენდა ოთარ ჭილაძის ხმას, რომელიც სიცოცხლეში კითხულობდა თავის ლექსს.

საღამოზე შთამბეჭდავად, მსმენელისათვის საინტერესოდ იქნა წარმოდგენილი ოთარ ჭილაძის ბიოგრაფია და ლიტერატურული შემოქმედება. ოთარ ჭილაძე – პროზაიკოსი, პოეტი ესეისტი, დრამა-

ლიტერატურულ საღამოზე, მოწვეული სტუმრებიც გამოვიდნენ სიტყვით. მუნიციპალიტეტის კულტურის, განათლებისა და სოციალური განვითარების სამსახურის სპეციალისტი ნინო იაშვილმა აღნიშნა: „ვისურვებდი, ჩვენ კი არა, მთელი გურჯაანი ყოფილიყო აქ! ვისაც არ წაუკითხავს, აქ მაინც მოესმინა ბატონი ოთარის შემოქმედების შესახებ. ჩვენ ბედნიერები უნდა ვიყოთ, რომ ვართ ამ დიდი კაცის თანამედროვენი, რომელიც „ყოველდღე ტკი-



ვილით ახელს თვალებს, ვინც იცის! რომ ფუ-ფუნება სამშობლოს სამსახურში უნდა მიიღო, ვინც ბედნიერი ტანჯულია“.

დარბაზში მყოფთ მიესალმა საკრებულოს დეპუტატი გია ენუქიძე, რომელმაც აღნიშნა: „ბევრი ლამაზი ღონისძიების თანამონაწილე ვყოფილვარ ამ დარბაზში და დღევანდელმა დღემაც დიდი სულიერი სიამოვნება მომანიჭა. კიდევ ერთხელ გავისხენეთ ბატონი ოთარის შემოქმედება. ვიმედოვნებ, რომ ვისაც არ ნა-უკითხავს, ალბათ შეექმნება სურვილი ეზი-აროს მის შემოქმედებას. დარწმუნებული ვარ,

ასეთი ლიტერატურულ-შემოქმედებითი სალა-მო არაერთხელ ჩატარდება ამ შესანიშნავი კო-ლექტივის ძალებით.

დასასრულს, დამსწრეთ მიმართა საბიბლი-ოთეკო გაერთიანების დირექტორმა ქალბატონ-მა მზია გლურჯიძემ. მან მაღლობა გადაუხადა მკითხველებს, სტუმრებს, ყველა მონაწილეს: „ვფიქრობ დღევანდელმა ღონისძიებამ თავის მიზანს მიაღწია. ვიმედოვნებ, რომ ჩვენ კიდევ მრავალი საინტერესო ღონისძიების მხილველ-ნი გავხდებით სულიერების ამ მშვენიერ სამფ-ლობელოში.“ – აღნიშნა მან.

მზია ტომონიძე

მორიბ დღესასწაულზე მთავარ ბიბლიოთეკაში



ბიბლიოთეკა კულტურულ-საგანმანათლებ-ლო და სამეცნიერო-ინფორმაციული დაწე-სებულებაა, რომლის მთავარ ამოცანას არა მარტო მკითხველთა მომსახურება, არამედ მათთვის კულტურული და საგანმანათლებლო ღონისძიებებით წიგნიერებისა და სულიერების ამაღლება წარმოადგენს.

ამ სულისკვეთებით მუშაობს თბილისის მთა-ვარი ბიბლიოთეკა და მისი ფილიალები. ქ. თბი-ლისის მთავარი ბიბლიოთეკას მიმდინარე წელს

104 წელი შეუსრულდა. ღონისძიებების სიმ-რავლე, მათი შემეცნებითი ხასიათი, / წიგნი-ერების გავრცელებისათვის განეული მუშა-ობის მაღალი დონე და მრავალფეროვნება სტიმულს აძლევს მის დაქვემდებარებაში შემავალ ფილიალებს, რაც შეიძლება ხში-რად ატარონ ღონისძიებები და წარმოაჩინონ კონკრეტული ბიბლიოთეკის მკითხველთა უნარი და ნიჭიერება მუსიკაში, პოეზიაში, პროზაში, მხატვრულ კითხვაში, მხატვრობა-სა და ხელგარჯილობაში.

ერთ-ერთი ასეთი დღესასწაული მთავარ ბიბლიოთეკაში მოენყო აღდგომის დღეებ-თან დაკავშირებით, რომლის ინიაციატორი და სულისჩამდგმელი იყო თბილისის მთავარ ბიბლიოთეკასთან არსებული ლიტერატურუ-ლი სალონის „საგულისონის“ ხელმძღვანელი ქალბატონი ცისანა ქორჩიაშვილი. მისი ინი-ციატივითა და გენერალური დირექტორის ქალბატონ ციალა კალმახელიძის მხარდაჭე-რით ჩატარებული ღონისძიებები ყოველთ-ვის გამოირჩევა მაღალი მხატვრულ-შემეც-ნებითი დონით, მრავალფეროვნებითა და სულიერებით. ასეთი საღამოები დიდი დღე-სასწაულია ყველა ჩვენგანისათვის.

აღდგომის დღესასწაულისადმი მიძღე-ნილ ღონისძიებაზე მისმა უცვლელმა წამე-ვანმა ქალბატონმა ცისანა ქორჩიაშვილმა ჩვე-ული თავმდაბლობითა და პროფესიონალიზმით წარმოგვიდგინა ამ ღონისძიების სტუმრები, ბიბლიოთეკის მეგობრები და მკითხველები: ქალბატონი თამარ ხუციშვილი, ესმა ონიანი, ლიანა ლუდუშაური, ქეთევან გოზიტაშვილი, ქეთევან მხეიძე, მარიამ ქამუშაძე და ბატონი რევაზ ადამია. თვითეული მათგანის ნახატები თუ ნაქარგები გამოირჩევა მაღალი მხატვრუ-

ლი დონით, პროფესიონალიზმით, მართლმადიდებლური სულისკვეთებით და შემოქმედებითი მრავალფეროვნებით.

ერთ წერილში შეუძლებელია თითოეული მათგანის შემოქმედების განხილვა, მაგრამ აღნიშნულ პუბლიკაციაში განსაკუთრებული ყურადღება გვინდა მივაქციოთ 101 წლის ქალბატონის თამარ ხუციშვილის შემოქმედებას, რომლის ნაქარგები პროფესიონალების დიდ ყურადღებას იმსახურებს. აღტაცებაში მოგვიყვანა ამ ქალბატონის მიერ მოქარგულმა ნიკო ფიროსმანაშვილის პორტრეტმა, რომელიც მეტყველებს ქალბატონ თამარის სიცოცხლისუნარიანობასა და ახალგაზრდულ შემართებაზე. ქალბატონმა თამარმა მისთვის ჩვეული გულთბილობით დაგვლოცა, დიდხანს სიცოცხლე გვისურვა და მოკრძალებით გაგვიმხილა, რომ კიდევ დიდხანს უნდა სიცოცხლე, რათა მოესწროს საქართველოს აღორძინებას. ის ამ ბიბლიოთეკის უძველესი მკითხველთაგანია, რომელიც დღემდე არ წყვეტს მასთან ურთიერთობას.

ძნელია, მაგრამ სასიამოვნო, ისაუბრო ისეთ ადამიანებზე რომლებიც განსაკუთრებული ნიჭით არიან დაჯილდოვებულები. თითოეული აქ ნახსენები ადამიანი ასეთია, მაგრამ ამ წერილში განსაკუთრებით უნდა გამოვყო წმ. პანტელეიმონ მკურნალის სახ. ტაძრის მრევლი ქეთევან გოზიტაშვილი, რომლის შემოქმედება ორიგინალურია, იგი თექაზე მუშაობს და შექმნილი აქვს ხატების მთელი სერია, რომელთა უმეტესი ნაწილი წმ. პანტელეიმონ მკურნალის სახელობის ტაძარშია (რესპუბლიკური საავადმყოფოს შენობაში) დაბრძანებული. ქალბატონი ქეთევანი მუდამ იყო ღვთისმოსავი ადამიანი, მაგრამ მას შემდეგ, როცა ათი წლის წინ მამა გარდაეცვალა, სისტემატურად დაიწყო ეკლესიაში სიარული და მას მჭიდროდ დაუკავ-

შირა თავისი ცხოვრება. მისი შემოქმედებითი ნიჭის გაღრმავებაში დიდი როლი ითამაშა ამ ტაძრის წინამძღვარმა დეკანოზმა მამა დავით შენგელიამ, რომლის სიყვარულმა და სიტბომ თავისი მრავალრიცხოვანი მრევლის მიმართ ქალბატონ ქეთევანს გაუღვიძა ხატწერისადმი მიდრეკილება. მამა დავითის ლოცვა-კურთხევით და სურვილით შეიქმნა პირველი ხატი, რომელიც დღემდე ტაძარშია დაბრძანებული; შეიცვალა საეკლესიო ბაირალები. ქალბატონ ქეთევან გოზიტაშვილის მიერ თექაზე შესრულებული ხატები ამშვენებს ზუგდიდის, დუშეთის და თბილისის სხვადასხვა ტაძრებს. მისი შემოქმედების მწვერვალს წარმოადგენს „დიდების ხატი“, რომლის შექმნას სამი თვე მოანდომა.

„სამების ტაძარში“ პარაკლისის გადახდის შემდეგ გაჩნდა იდეა „იმედის ხატზე“ მუშაობისა და ეს ხატიც მამა დავითის ლოცვა-კურთხევით წმინდა პანტელეიმონის ტაძარს ამშვენებს. ხატი შემკობილია ძვირფასეულობით, რომლის შეგროვებაში მონაწილეობდა მთელი მრევლი. მათი სიტბო და სიყვარული ეხმარებოდა ქალბატონ ქეთევანს ამ ხატის შექმნაში. „იმედის ხატზე“ მუშაობას ქალბატონმა ქეთევანმა ექვსი თვე მოანდომა და თავის დაბადების დღეს – ხუთ დეკემბერს დაასრულა, ხოლო 24 დეკემბერს „ყველა ქართველთა წმინდანთა“ ხსენების დღეს მიბრძანდა ტაძარში. იქ დღესაც ამშვენებს იქაურობას ეს ხატი.

აღნიშნულ წერილში ყურადღება გავამახვილეთ ღონისძიებაში მონაწილე ორ ქალბატონზე, ხოლო მომავალში ვეცდებით დანარჩენ მონაწილეებზე დაწვრილებით მოგიტხროთ ქალბატონ ცისანა ქოჩიჩაშვილის მონდომებითა და დახმარებით.



ქეთევან გოზიტაშვილის გამოფენა

მანანა საბანელიძე

№42 საჯარო ბიბლიოთეკის გამგე

„იპოვე უნი თავი ბიბლიოთეკაში“

ამ დევიზით ქალაქ თბილისის მთავარი ბიბლიოთეკა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მოსწავლეებისათვის ატარებს ღონისძიებებს ქალაქის სხვადასხვა ბიბლიოთეკაში. პროექტს ხელმძღვანელობს მთავარი ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორის მოადგილე ქალბატონი ლელა ასკურავა. ერთ-ერთი ასეთი ღონისძიება, რომლის მიზანია მოზარდებში წიგნის პოპულარიზაცია, ბიბლიოთეკებისადმი ინტერესის გაზრდა, კითხვის კულტურის დამკვიდრება და ბიბლიოთეკის სარგებლობის უნარ-ჩვევების გამომუშავება ჩატარდა №42 ბიბლიოთეკაში.

წიგნიერების საერთაშორისო კვლევის PIRLS-ის 2011 წლის მონაცემებით კვლევაში მონაწილე 58 ქვეყანას შორის საქართველო 34-ე ადგილზეა, რაც წიგნიერების დონის ქვედა ზღვარს წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ 2006 წლის მონაცემებთან შედარებით ეს მაჩვენებელი საგრძნობლად გაზრდილია, რაც ერთგვარ პროგრესზე მიუთითებს, 2011 წლის მაჩვენებელი მაინც დაბალია, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ბავშვები იშვიათად ან ცოტას კითხულობენ და მხოლოდ მათი მცირე ნაწილი სარგებლობს დღეს ბიბლიოთეკით. ამიტომ თბილისის საჯარო სკოლებისა და მუნიციპალური ბიბლიოთეკების თანამონაწილეობით შემუშავდა აღნიშნული პროექტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ნაძალადევის რაიონის 129-ე და 190-ე საჯარო სკოლების მე-6 და მე-7 კლასების მოსწავლეებმა. პროექტის ფარ-



გლებში მოზარდები ეცნობიან ბიბლიოთეკების მუშაობის სპეციფიკას, სწავლობენ საკატალოგო მეურნეობის გამოყენებით სასურველი წიგნების მოძიებას. ჟანრობრივად საინტერესო მრავალფეროვანი წიგნების შერჩევასა და ახლად გამოცემული ლიტერატურის მიმოხილვაში მათ აქტიურად ეხმარებიან ბიბლიოთეკარები. გარდა ამისა, პროექტი ითვალისწინებს მოსწავლეებისათვის ახალი წიგნების პრეზენტაციასა და დამწერლობის წარმოშობის შესახებ ისტორიის გაცნობას, რაც გულისხმობს წიგნის ისტორიის მიმოხილვას შუმერული თიხის ფირფიტებიდან XXI საუკუნის ელექტრონულ წიგნამდე. პროექტში მოსწავლეებისათვის საინტერესო და სავალდებულოდ ნასაკითხი წიგნების ჩამონათვალია მოცემული. პრეზენტაციის ბოლოს ხდება შემეცნებითი ფილმების ჩვენება და მოსწავლეებს ურიგდებათ ფლაერები.



აღნიშნული ღონისძიება, ჩვენი აზრით, კიდევ უფრო მეტად აახლოვებს სკოლის მოსწავლეებს ბიბლიოთეკასთან, რომლის დადებით შედეგებს ჩვენ მომავალი თაობა უახლოეს დროში შეიგრძნობს.

ნანა ხომერიკი

მთავარი ბიბლიოთეკის ბიბლიოგრაფიის განყოფილების გამგე

ჩვენი ქალაქის მთავარი ბიბლიოთეკის საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიული განყოფილება



ნათლებლო და საინფორმაციო სახეს.

საბიბლიოთეკო საქმის იურიდიული საფუძვლების შემუშავებამ დიდწილად განსაზღვრა საინფორმაციო სამსახურის როლი და მნიშვნელობა, რომლის სრულყოფილად, მოქნილად და ოპერატიულად წარმართვისათვის აუცილებელია სწორად ორგანიზებული და გამართული საინფორმაციო — ბიბლიოგრაფიული აპარატი. მთავარი ბიბლიოთეკის საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიული განყოფილება სრულად აკმაყოფილებს ყველა იმ სტანდარტს, რომელიც მკითხველთა

დედაქალაქის მთავარმა ბიბლიოთეკამ დაარსებიდან 104 წლისთავი 18 მაისს, საბიბლიოთეკო კვირეულის გახსნის დღეს, გენერალური დირექტორის ქალბატონ ციალა კალმახელიძის თაოსნობით, მოწვეულ სტუმრებთან, კოლეგებთან და ერთგულ მკითხველებთან ერთად მოკრძალებულად აღნიშნა. ბევრი გულშიჩამწვდომი, თბილი და ამაღლებელი სიტყვა ითქვა ამ უძველესი კულტურული კერისა და მის მესვეურთა მისამართით. თავისი არსებობის მანძილზე ბიბლიოთეკამ მრავალ ქარტეხილს გაუძლო. პროფესიონალი, ენთუზიასტი და წიგნზე შეყვარებული ადამიანების წყალობით მოვიდა დღემდე, რომელთა შრომის, თავდადების დაფასება და გახსენება ძალზე მნიშვნელოვანია.

ამჯერად მკითხველს თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიული განყოფილების შესახებ მოვუთხრობთ. საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიული განყოფილება ერთ-ერთი უმთავრესი განყოფილებაა ბიბლიოთეკაში, რომელიც განსაზღვრავს ბიბლიოთეკის ეროვნულ, კულტურულ-საგანმა-

ინტერესებისა და მოთხოვნების დაკმაყოფილებისთვისაა საჭირო, სადაც ხორციელდება სამეცნიერო ხასიათის ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლების შედგენა, ბიბლიოგრაფიული ინფორმირება, სამეცნიერო კვლევითი მუშაობა, მეთოდური მითითებებისა და ბიბლიოგრაფიული სიების შედგენა, ხდება მომხმარებელთა მომსახურება თანამედროვე ტექნოლოგიებით, სადაც შესრულებული ცნობების ფონდი შეცვლილია ცნობათა ბანკით. ბიბლიოგრაფიულ განყოფილებაში წლების მანძილზე ნაყოფიერად მუშაობდნენ: ელენე ერისთავი, ნინო მესხი, რუსუდან პაპინაშვილი, მერი პაპიძე, მანანა ლეჟავა, მზია მალულარია, მარინა ჯაფარიძე, ლია ფიფია, ციცო ბარაბაძე, ნუნუ დოიჯაშვილი, ნინო ჭაჭუა და სხვ.

ამ მეტად რთულ და საჭირო საქმეს წლების მანძილზე ღირსეულად უძღვებოდა ღრმად ერუდირებული და თავის საქმეზე უზომოდ შეყვარებული, პრინციპული ხელმძღვანელი და დიდი პროფესიონალი — ქალბატონი მანონი ხორავა, რომლის თავდადებული და ნაყოფიერი მოღვაწეობა სათანადოდ იქნა დაფასებუ-

ლი. მიღებული აქვს: წლის საუკეთესო ბიბლიოთეკარის (1979), საქართველოს საპატიო ბიბლიოთეკარის (1985), ვეტერანი ბიბლიოთეკარის წოდებები. ბიბლიოთეკის საიუბილეო თარიღებთან დაკავშირებით მრავალი სიგელისა და ჯილდოს მფლობელია 2012 წელს — „ქართული კულტურის ამაგდარის“ – მედლით დაჯილდოვდა.

2013 წლიდან მთავარი ბიბლიოთეკის მკითხველთა მომსახურების სამსახურის უფროსად დაინიშნა. პერიოდულად კითხულობდა ლექციებს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტში სკოლის ბიბლიოთეკარებისათვის შემდეგ ს. ზაქარიაძის სახელობის კოლეჯში. გამოსაცემად გამზადებული აქვს შრომები: „საქართველოს ბიბლიოთეკის ანალიტიკური ბიბლიოგრაფია“, „შემოქმედი ბიბლიოგრაფები“, „ეს საინტერესოა“, „ყველაფერი პირველი“, „ქართული პოეზია მუსიკაში“ და სხვ.

ქალბატონი მანონი ხორავა თავისი ხანგრძლივი, ნაყოფიერი მოღვაწეობის პერიოდში განყოფილების პროფესიონალ ბიბლიოგრაფებთან ერთად ხვენდა და სრულყოფდა საცნობო-ბიბლიოგრაფიულ აპარატს: საცნობო-ბიბლიოგრაფიულ ფონდს, მხარეთმცოდნეობით, თემატურ და სისტემატურ კარტოთეკას ავსებდა უახლესი საცნობო, საინფორმაციო მასალებით.

დღეს განყოფილებაში მუშაობენ პროფესიონალი, კვალიფიციური ბიბლიოგრაფები, რომელთაც მუშაობის 20-25 – წლიანი გამოცდილება აქვთ. განყოფილების გამგეა ნანა ხომერიკი, მთავარი ბიბლიოგრაფები: გულო მარიამიძე, ლელა ბაბუციძე და ნანი არეშიძე.

მომხმარებლებისათვის ბიბლიოგრაფიული ცნობების ოპერატიულად მიწოდებას ახორციელებენ ტრადიციული და ელექტრონული საინფორმაციო წყაროებიდან; პოლიტიკის, სამართლის, განათლების, რელიგიის, სპორტის, ეკონომიკის, მეცნიერების სხვადასხვა საკითხებზე.

მომხმარებელი ხაზგასმით აღნიშნავს კარტოთეკის მრავალფეროვნებას. გამოყოფილია: ციტატების, კონკურსების, ნეკროლოგების, ფესტივალების, საპატიო თბილისელების, უცნაურობათა სამყაროს, გამორჩენილ ადამიანთა შესახებ პერსონალური კარტოთეკები. ბიბლიოგრაფიული განყოფილება ეწევა საკოორდინაციო და მეთოდურ მუშაობას ბიბლიოთეკებისათვის — ბიბლიოგრაფიის დარგში.

გამოსცემს ბიბლიოგრაფიულ სიებს, მეთო-



დურ მითითებებს, ატარებს სემინარებს, მასობრივ ღონისძიებებს.

განყოფილებას გამოსაცემად გამზადებული აქვს ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლები: „მუხრან მაჭავარიანი“, „ქველმოქმედი ზუბალაშვილები“, „დავით სარაჯიშვილი“, „კოტე მარჯანიშვილი“, „1918 წლის 26 მაისი საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის დღე.“ „1918 წლის 26 მაისის და 1991 წლის 9 აპრილის საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტები“, „შოი არაგვისპირელი“, „ასპინძის ომი“, „სახალხო გმირი ქალები“, „ქართველი კათოლიკენი“, „სერგო ზაქარიაძე – თეატრსა და კინოში“, „გრიგოლ რობაქიძე“, „ექვთიმე თაყაიშვილი- 150“.

განყოფილების ინიციატივით, მეოთხე წელია, ყოველი წლის ბოლოს აღინიშნება წლის იუბილარი ბიბლიოთეკარების დაბადების მრავალი თარიღები, ეწყობა შეხვედრები შემოქმედ ბიბლიოთეკარებთან, ხდება დაჯილდოება მრავალშვილიანი დედეებისა და მკითხველების. მე-500, მე-1000, მე-2000 მკითხველი ჯილდოვდება საჩუქრებით.

ახალი ტექნოლოგიების დანერგვამ საბიბლიოთეკო სისტემაში უპირველესად საცნობო-საინფორმაციო სამსახურში ჰპოვა ადგილი, რაც გარკვეულწილად მის რეორგანიზაციას გულისხმობს.

მკითხველთა მომსახურების თანამედროვე ტენდენციებში, რომელიც ტექნოლოგიებისა და კომუნიკაციების სრულყოფილად ფლობას ითვალისწინებს, უმნიშვნელოვანესია სპეციალისტთა დონის ამაღლება, რაც სასურველია ხდებოდეს პერიოდულად.

ახალი ფორმების ძიებაში

(მიმოხილვა)

მიმდინარე წელს, ისევე, როგორც წინა წლებში, ბიბლიოთეკების კვირეული თავისი შინაარსითა და ფორმებით გამოირჩეოდა მკითხველთა, განსაკუთრებით მოსწავლე-ახალგაზრდობის მაღალი აქტიურობით, ბიბლიოთეკათა ორგანიზატორული თვისებებითა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა გარკვეული ინტერესით. ამის ნათელი დადასტურებაა აქ წარმოდგენილი მასალების მიმოხილვა. კვირეული გრძელდება, ღონისძიებები სულ უფრო ნათლად ასახავენ საზოგადოების გარკვეულ ინტერესს ბიბლიოთეკისა და წიგნისადმი.

თბილისის ლ. ასათიანის სახელობის საბავშვო ბიბლიოთეკა (გამგე - ი. არგუტინსკაია) ყოველთვის გამოირჩევა მკითხველ ბავშვებთან ურთიერთობის ორიგინალური ფორმებითა და მიდ-



გომებით. მასობრივი ღონისძიებების თემატიკაც მაქსიმალურად ითვალისწინებს მკითხველთა თანამედროვე საბიბლიოთეკო და საინფორმაციო მოთხოვნებს. თითოეული ღონისძიების ჩატარებაში აქტიურად მონაწილეობენ სკოლის პედაგოგები, მშობლები. ბიბლიოთეკა ადრეც და ახლაც შესაფერის პატივს მიაგებს მწერლისა და რეჟისორის გოდერძი ჩოხელის ხსოვნას. მისი შემოქმედების ამსახველი მასალების გამოფენა მოენყო სათაურით „შემინახე, დედაო მინაე“. კვირის განმავლობაში მიმდინარეობდა მისი ნაწარმოებების ხმამაღალი კითხვა. ჩატარდა საუბრები: „შემოქმედი ბინდისფერი ხეობიდან“, „გოდერძი ჩოხელი და მისი ფილმები“ და სხვ. კვირეულის ბოლოს ბიბლიოთეკამ მოაწყო გასვლითი ღონისძიება მცხეთაში, მწერლის საფლავზე.

11 მარტს ამავე ბიბლიოთეკაში ჩატარდა ლიტე-

რატურულ-მუსიკალური კომპოზიცია სახელწოდებით: „გაზაფხული და ქალი, ორივე სიცოცხლის სანყისი“. ქალებს დედის დღე მიულოცეს 169-ე საჯარო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლეებმა.

ღონისძიება სახელწოდებით „ბიბლიოთეკის ერთი დღე“ საინტერესო იყო მრავალფეროვანი თემატიკითა და ცნობილი პიროვნებების სტუმრობით. ამ დღეს ბიბლიოთეკის სტუმრები იყვნენ პოეტი ოთარ ურუშაძე, ოფთალმოლოგი ვახტანგ გაჩეჩილაძე და მხატვარ-არქიტექტორი თენგიზ მახარაშვილი. ოფთალმოლოგმა თვალის გამოკვლევა ჩაუტარა ბიბლიოთეკის თანამშრომლებს. თენგიზ მახარაშვილმა ბიბლიოთეკას უსახსოვრა საკუთარი შემოქმედების ამსახველი ალბომი.

საკუთარი ლექსები წაიკითხა ოთარ ურუშაძემ. შეხვედრის ორგანიზატორი იყო ბიბლიოთეკის თანამშრომელი სოფიკო ხოსიტაშვილი. მუსიკალურ სალონში ჩატარდა ღონისძიება „ვიმოგზაუროთ საქართველოში ხალხური სიმღერების კვალდაკვალ“. ბავშვ მკითხველებმა მიმოიხილეს ქართული ხალხური მუსიკის ძირითადი მიმართულებები, ისაუბრეს ხალხური სიმღერის მრავალფეროვნებაზე, შეასრულეს ხალხური სიმღერები, ბავშვ მკითხველთა წერისა და წარმოსახვის უნარის განვითარებას დიდად შეუწყობდა ღონისძიებამ „ზღაპრეთში“, ანუ სამფლობელოში, სადაც ზღაპრების კითხვისას ხდება ლექსიკის გამდიდრება. პატარებმა შეთხზეს ზღაპრები, წარმოადგინეს ზღაპრების გმირების ამსახველი ჩანახატები. არანაკლებ საინტერესო იყო უმცროსი სასკოლო ასაკისათვის განკუთვნილი სპეციალური ღონისძიება სათაურით „აურზაური ანბანეთში“. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ თბილისის 149-ე საჯარო სკოლის I კლასის მოსწავლეები. ღონისძიება მოამზადა მთავარმა





ბიბლიოთეკარმა ინგა კაშიამ. 15 მაისს საბავშვო ბიბლიოთეკაში მთავარი ბიბლიოთეკის ინიციატივით მოეწყო საგანმანათლებლო კითხვასთან დაკავშირებული ღონისძიება სათაურით „იპოვე შენი თავი ბიბლიოთეკაში“ (პროექტის ხელმძღვანელი ლელა ასკურავა) მკითხველები გაეცნენ წიგნის ისტორიას პირველი ბეჭდური წიგნიდან ელექტრონულ წიგნებამდე. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ მე-6–7 კლასის მოსწავლეები.

საინტერესოდ ჩატარდა ღონისძიება სახელწოდებით „ათასი კოშკის საუფლოში“. ღონისძიება მიეძღვნა სვანეთის მხარის გაცნობას. მოწვეულნი იყვნენ პოეტი ერეკლე საღლიანი და საზოგადოება „შუნტრის“ ხელმძღვანელი ჯოყოლა ჩეგიანი. ღონისძიებას ესწრებოდნენ თბილისის 130-ე საჯარო სკოლის მე-9–11 კლასის მოსწავლეები, პედაგოგები. მოსწავლეებმა წაიკითხეს ერეკლე საღლიანის ლექსები. გარდა აქ მიმოხილული ღონისძიებისა, საბავშვო ბიბლიოთეკაში კვირეულის დღეებში ჩატარდა მრავალი საინტერესო ღონისძიება; ლიტერატურული კომპოზიცია „ლექსო, არ დაიკარგები“, „ხელოვანთა კურიოზები“ და სხვა. მოეწყო გამოფენა „ავტოგრაფით წიგნი“ და სხვ. ღონისძიებებმა ერთხელ კიდევ ცხადყვეს, თუ რაოდენ საყვარელი ადგილია ბიბლიოთეკა ბავშვებისათვის, მათ ყოველთვის მიუხარიათ ბიბლიოთეკაში.

ქალაქის მთავარი ბიბლიოთეკა (გენერალური დირექტორი ციალა კალმახელიძე) ყოველწლიურად 18 მაისს აღნიშნავს ბიბლიოთეკის დაბადების დღეს. ასე იყო წელსაც. ბიბლიოთეკის 104 წლისთავის აღსანიშნავად შეიკრიბნენ მკითხველები, მწერლები, წიგნისა და ბიბლიოთეკის ერთგული პიროვნებები. მათ გულწრფელად მიულოცეს ბიბლიოთეკის დირექციას დღესასწაული. ამავე საზეიმო შეკრებაზე ქალბატონი ციალა კალმახელიძე დააჯილდოვეს სიყვარულის ორდენით. ეს ჯილდო მან დაიმსახურა 25 წლიანი ხელმძღვანელობით, მაღალი პროფესიონალიზმითა და უანგარო, ადამიანური თვისებებით.

ამავე ბიბლიოთეკაში ჩატარდა ბავშვთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება. მონაწილეობდნენ: კერძო სკოლა „ივერია“, ხელ-

მძღვანელი ჟურნალ „გინესის თვალის“ რედაქტორი თამარ კაპანაძე თავისი მოსწავლეებით. ღონისძიებებში ასევე აქტიური მონაწილეობა მიიღეს ლ. ასათიანის სახ. საბავშვო ბიბლიოთეკის, გ. გელოვანის სახ. ახალგაზრდობის ბიბლიოთეკის, მე-4, 28-ე, 33-ე, -4ე, 49-ე, 33-ე, 61-ე საქალაქო ბიბლიოთეკების აქტიურმა მკითხველებმა. ღონისძიებას ესწრებოდნენ პოეტები: მზია ხეთაგური, ეკა ბაქრაძე, ნანა დარჩიშვილი, ჟურნალ „ციცინათელას“ რედაქტორი აკაკი ბრეგაძე, საბავშვო მწერალი თინა ჭედია, ნეროვანის საშუალო სკოლის დირექტორი ე. სიმონიშვილი. ღონისძიების ორგანიზატორი იყო მკითხველთა მომსახურების სამსახურის უფროსი მანონი ხორავა.

თბილისის მ. გელოვანის სახ. ახალგაზრდობის ბიბლიოთეკა (გამგე ქ. ნიკურაძე) კვირეულის ღონისძიებებში მოგვიანებით ჩაერთო, ვინაიდან წინა ორი თვის მანძილზე მიმდინარეობდა ინტელექტუალური ვიქტორინა – თამაში სახელწოდებით „ყველაზე სხარტი, ინტელექტუალური და მოაზროვნე“.

კვირეულის პროგრამით ჩატარდა პოეზიის საღამო „მირზა გელოვანის 97-ე გაზაფხული“. ღონისძიების ორგანიზატორები იყვნენ თიანე-



თის მუნიციპალიტეტი და მ. გელოვანის სახ. სახლ-მუზეუმის დირექტორი ც. გაბიდაური. ღონისძიება ჩატარდა სამებაში, საპატრიარქოს ახალგაზრდულ ცენტრში. მ. გელოვანის ლექსები წაიკითხეს თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ახალსოფლის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა. სიტყვებით გამოვიდნენ პოეტები: ე. საღლიანი, გ. არჩემაშვილი, მ. თექეთმანიძე და სხვები. მ. გელოვანის ლექსებზე სიმღერები შეასრულეს დებმა ზვიადაურებმა, ანსამბლმა „დეკამ“, თ. აბრამიშვილმა და გ. ჯოღობორდმა. ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში მოეწყო გვანცა ნიკურაძის თოჯინების გამოფენა. მოწვეულ სტუმრებს შორის იყვნენ კულტურისა და ძეგლთა დაცვის



სამინისტროს, აშშ-ს საელჩოსა და რესურს-ცენტრის წარმომადგენლები. ექვთიმე თაყაიშვილის 150-ე წლისთავთან დაკავშირებით ბიბლიოთეკაში ჩატარდა ვიქტორინა, რომელშიაც მონაწილეობდნენ ვაკე-საბურთალოს საჯარო სკოლების მოსწავლეები. ამავე დღეებში ბიბლიოთეკას ესტუმრა ჟურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკის“ სარედაქციო კოლეგია. შეხვედრაზე საკუთარი ლექსები წაიკითხეს გ. ფრანგიშვილმა, 113-ე საჯარო სკოლის მოსწავლეებმა ი. ჩიქვანაიამ, მ. ანთაძემ, 126-ე საჯარო სკოლის მოსწავლემ ე. სულიაშვილმა, 59-ე საჯარო სკოლის მოსწავლემ გ. მანძულაშვილმა და სხვებმა.

მუსიკალური ნომრები შეასრულეს 97-ე და 154-ე საჯარო სკოლის მოსწავლეებმა. ჟურნალის რედაქციამ საკუთარი მოსაზრებები გაუზიარა დამწყებ პოეტებს, ისაუბრეს ბიბლიოთეკის დანიშნულებისა და წიგნიერების შესახებ თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების პირობებში. ახალგაზრდობის ბიბლიოთეკას ხშირად სტუმრობს საჯარო სკოლების უმცროსი ასაკის მოსწავლეები. ამჯერად ბიბლიოთეკის სტუმრებენ იყვნენ 36-ე საჯარო სკოლის მე-3 კლასის მოსწავლეები. მათ დიდი ინტერესით დაათვალიერეს ბიბლიოთეკის დარბაზები, წიგნსაცავი, გაეცნენ კატალოგების სტრუქტურას. ბიბლიოთეკამ სპეციალური ღონისძიება ჩაატარა ბავშვთა დაცვის დღესთან დაკავშირებით. აქტიური მკითხველები ე. სულიაშვილი, გ. კედია და გ. იაშალაშვილი დაჯილდოვდნენ საპატიო სიგელებით.

ქუთაისის ი. ჭავჭავაძის სახ. სამეცნიერო ბიბლიოთეკაში (დირექტორი ნ. ჩიგოვადე) და მის ფილიალებში კვირეულის დღეებში ჩატარდა მრავალი საინტერესო ღონისძიება, რომელთა რეპერტუარი ძირითადად დაკვეთილი იყო მკითხველთა მიერ. 22-ე საქალაქო ბიბლიოთეკაში ღონისძიება მიეძღვნა ტიცინ ტაბიძის დაბადებიდან 120-ე წლისთავს. მონაწილეობდნენ 28-ე საჯარო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლეები: ა. მაჭავარიანი, მ. ლომთაძე, ს. ჯიშკარიანი, ლ. ყი-

ფიანი, ბ. სანატაშვილი და სხვები. ღონისძიების მომზადებაში დიდი წვლილი მიუძღვის ქართული ენის პედაგოგს ნ. გელენავას. მე-8 საბავშვო ბიბლიოთეკაში ჩატარდა ღონისძიება თემაზე „ქრისტიანობა და თანამედროვეობა“. ღონისძიებებში მონაწილეობდნენ უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის სტუდენტები: ნ. ფონია, ს. გურული, ქ. ბასარია. მე-12 კლასის მოსწავლეები ს. ქოჩხაძე, ნ. მახარობლიძე, ნ. შუბლაძე, საკუთარი ლექსი წაიკითხა მე-4 კლასის მოსწავლემ ა. ტაბიძემ. ღონისძიებაზე მონაწილე იყო მოძღვარი დეკანოზი სკიმეონი (სვანიძე), რომელმაც ისაუბრა ქრისტიანული რელიგიის არსსა და მნიშვნელობაზე. ღონისძიება მიმდინარეობდა დიალოგის რეჟიმში და ბევრ საინტერესო შეკითხვას გასცა პასუხი. ღონისძიებებში მონაწილეობდნენ ბიბლიოთეკარი, მოსწავლეები: ა. დვალისვილი, უნივერსიტეტის ლექტორი ი. ახოზაძე და სხვები.

ქუთაისის მე-20 საქალაქო ბიბლიოთეკაში ღონისძიება მიეძღვნა ექვთიმე თაყაიშვილის დაბადებიდან 150-ე წლისთავს. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ 24-ე საჯარო სკოლის მოსწავლეები, პედაგოგები. მოსწავლეებმა ნ. შალიკიანმა, ა. ჭყონიამ, ნ. ნაქაძემ, კ. ხეცურიანმა, გ. ჯოჯუამ და სხვებმა საინტერესოდ ისაუბრეს ე. თაყაიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ, წარმოდგენილ იქნა ფოტოკოლაჟი.

მე-4 საქალაქო ბიბლიოთეკაში (გამგე გ. ქარსელაძე) მოეწყო მხატვარ ო. ქანდარიას ნამუშევრების გამოფენა. წარმოდგენილი ნამუშევრების შესახებ ისაუბრა თვითონ მხატვარმა ო. ქანდარიამ. სტუმრად იყვნენ ქალაქის ინტელიგენციის წარმომადგენლები, სტუდენტები და მოსწავლე ახალგაზრდობა; საბავშვო ლიტერატურის განყოფილებამ ჩაატარა ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია „უნდა გათენდეს“, მკითხველებმა წარმოადგინეს ქართული კლასიკოსების ლექსები, პატარა მკითხველებმა შეასრულეს საბალეტო და სამეჯლისო ნომრები, ქართული ხალხური სიმღერები. ღონისძიებაში მონაწილე-



ობას ლეზულობდა სატელევიზიო კონკურსის „ახალი ხმის“ გამარჯვებული ანა ლვინიანიძე. ღონისძიებას ესწრებოდნენ სკოლის ბიბლიოთეკარები, მე-2 საჯარო სკოლის დამსახურებული პედაგოგი პოეტი მზია ჩიტაიშვილი, სამეცნიერო ბიბლიოთეკის თანამშრომლები, მე-8 საქალაქო ბიბლიოთეკაში (გამგე ლალი ხაჭაპურიძე) წარმოადგინეს ერთმოქმედენი თეატრალური წარმოდგენა ლიტერატურული მუსიკალური სპექტაკლი „ქვითინი მთისა“, მონაწილეობდნენ ქართულ-ამერიკული სკოლის „პროგრესის“ მე-6 კლასის მოსწავლეები, კლასის დამრიგებელი ზეინაბ შვანგირაძე, რეჟისორი აბელ სოსელია და სხვები. 25-ე და მე-13 საქალაქო ბიბლიოთეკებმა გამართეს მწერალ ფერიდე სიმსივეს შემოქმედებითი საღამო: ესწრებოდნენ ქალაქის შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლები, ჟურნალ „განთიადის“ რედაქტორი ავთანდილ ყურაშვილი, მწერლები: ი. ქურასბედიანი, გ. თავაძე, ც. ყურაშვილი, ლ. გვენეტაძე, ტ. დათიაშვილი და სხვები. ფ. სიმსივეს ლექსები წაიკითხეს მკითხველებმა: ი. შალამბერიძემ, ლ. ჩაკვეტაძემ, მ. შალამბერიძემ და სხვებმა. მე-18 საქალაქო ბიბლიოთეკაში ჩატარდა ღონისძიება სახელწოდებით: „გაზაფხული ცის ლალი სული“. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ: №1 საჯარო სკოლის მოსწავლეები გერმანული ენის მასწავლებლის ნელი კუტივაძის ხელმძღვანელობით. ბავშვებმა შეასრულეს გერმანული სიმღერები ვიოლინოს თანხლებით. ღონისძიების ორგანიზატორი იყო ამავე ბიბლიოთეკის გამგე გ. ზურბიანი.



კვირეულის პროგრამით საინტერესო ღონისძიება ჩატარა ა. სინაურის სახელობის ლიტერატურულმა სახლმა (გამგე ც. მხეიძე). მოენყო შეხვედრა იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის მოძღვართან მამა თომასთან, რომელმაც ისაუბ-

რა ქრისტიანული დღესასწაულების შესახებ. ღონისძიებას ესწრებოდნენ ბიბლიოთეკის თანამშრომლები, პოეტები: საკუთარი ლექსები წაიკითხეს მკითხველებმა: გ. ზაქრაძემ, შ. და თ. მაჩალაძეებმა, ა. და თ. გოლეტიანიებმა, გ. ხინგავამ, მ. სინაურიძემ და სხვებმა. მე-14 საქალაქო ბიბლიოთეკაში (გამგე დ. ბობოხიძე) ჩატარდა კონფერენცია თემაზე „ანთიმოზ ივერიელის ღვანლი“. მოხსენებები წარმოადგინეს მე-40 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა: თ. გოგბერაშვილმა, ა. კუპრაძემ, მ. მამასახლისმა, ა. სოფრომაძემ, ქ. თოლორდავამ, წმინდა გიორგის ეკლესიის მოძღვარმა მამა გიორგიმ და სხვებმა. ნაჩვენები იყო დოკუმენტური ფილმი „ანთიმოზ ივერიელის ღვანლი“; მე-17 საქალაქო ბიბლიოთეკაში (გამგე ა. ფრანგიშვილი) ჩატარდა ლიტერატურული საღამო თემაზე: „პოეზიის ფესტივალი“. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ სკოლა „იმედის“ მოსწავლეები: ნ. ხაინდრავა, ქ. ხაინდრავა, ე. გიორგაძე, თ. ჯიქია, ა. ბაბაღიშვილი, ქ. შალამბერიძე და სხვები. ა. წერეთლის სახ. უნივერსიტეტის სტუდენტებმა ნ. კვიციანიამ, თ. ქუთათელაძემ და ზ. თოდრიამ წაიკითხეს საკუთარი ლექსები. ღონისძიებებს განიხილავდნენ და საკუთარი ლექსები წაიკითხეს ლ. მესხიშვილის სახელობის დრამატული თეატრის მსახიობებმა: გ. აბულაძემ, ნ. მელაძემ, ა. ზვიადაძემ და სხვებმა. ქ. რუსთავის საბიბლიოთეკო გაერთიანებაში (დირექტორი დ. თაბაგარი) კვირეული გაიხსნა ლიტერატურული კონკურსით „ილია“. კონკურსი ჩატარდა ორ ტურად.

გამარჯვებული მოსწავლეებისთვის გამოიცემა სპეციალური აღმანახი. კონკურსში მონაწილეთათვის მოენყო ექსკურსია თბილისში ი. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში. მთავარ ბიბლიოთეკაში მოენყო შეხვედრა მწერალთან და ჟურნალისტთან თინათინ სიყმაშვილთან, რომელმაც წარ-



მოადგინა წიგნი „რაც გულში მჭირდა“; უფრო მასშტაბური გამოდგა შეხვედრა იუმორისტ მწერალთან ვანო ცინცაძესთან. №1 საქალაქო საბავშვო ბიბლიოთეკაში (გამგე ქ. მამულაშვილი) მოენყო პოეტისა და ბიბლიოთეკარის ც. ბიცაშვილის წიგნის „სადიდებელი ენისა ქართულისა“ წარდგენა. წიგნში შესული ლექსები შთამბეჭდავად წარმოადგინეს კერძო სკოლა „რუსთაველის“ მოსწავლეებმა. №2 საბავშვო ბიბლიოთეკაში (გამგე ნ. შერმადინი) ჩატარდა ჟიულ-ვერნის დაბადების 185-ე წლისთავისადმი მიძღვნილი ვიქტორინა – კონკურსი. აქვე ჩატარდა ხევისურეთის ადათ-წესებისადმი მიძღვნილი ლიტერატურული საღამო. ნოდარ დუმბაძის დაბადებიდან 85-ე წლისთავს მიეძღვნა ვიქტორინა – კონკურსი მე-3 საქალაქო საბავშვო ბიბლიოთეკაში (გამგე ნ. ტატიშვილი). ღონისძიებაში მონაწილეობდნენ რუსთავის მე-4 და მე-20 საჯარო სკოლის მოსწავლეები. საბიბლიოთეკო გაერთიანებამ აქტიურ მკითხველთან ერთად მოაწყო ექსკურსია ი. გრიშაშვილის სახლ-მუზეუმში. მხატვრული კომპოზიცია წარმოადგინეს მე-11 საჯარო სკოლის მე-9–10 კლასების მოსწავლეებმა. (დირექტორი გ. შეყილაძე), ღონისძიებაში მონაწილეობდა მუსიკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი „ალილო“.

ღონისძიების მუნიციპალიტეტის მთავარ ბიბლიოთეკაში (დირექტორი ნ. ენუქიძე) სისტემატურად ეწყობა მეტად საინტერესო და ღრმად შინაარსიანი ღონისძიებები. კვირეულის პროგრამით საინტერესო ღონისძიებები დაიწყო მაისის თვიდან. 15 მაისს ბიბლიოთეკაში გაიმართა ლიტერატურული საღამო „ენა, მამული, სარწმუნოება“. მონაწილეობდნენ შუხუთის და ხაჯალიას საჯარო სკოლების მოსწავლეები. ღონისძიებას ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი პირები, აგარაკის წმინდა ივერიის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის მოძღვარი მამა იოანე, რომელმაც აღნიშნა ღონისძიების დიდი მნიშვნელობა ქართული სულისკვეთების, პატ-

რიოტიზმისა და ტოლერანტობის მიმართულებით. ღონისძიების მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილემ ვახტანგ ზენაიშვილმა დადებითად შეაფასა ღონისძიება და ხაზი გაუსვა წიგნისა და ბიბლიოთეკის მნიშვნელობას ქართული ენის სინამდის დაცვის საქმეში. ამ პრობლემების შესახებ ისაუბრეს მკითხველებმა ა. ხუხუამ, ლ. ქურიძემ, ჟურნალისტმა ან. მშვიდობაძემ და სხვებმა. ამავე დღეებში მოენყო დოკუმენტური ფილმის „მინის რჯულის“ ჩვენება. მომდევნო კვირას ჩატარდა თემატური კონფერენცია სოფლის ბიბლიოთეკის მონაწილეობით. მსჯელობა შეეხო ბიბლიოთეკისა და ადგილობრივი ხელისუფლების ურთიერთდამოკიდებულების პრობლემებს. ერთ-ერთი თემა, რომელიც მსჯელობის საგნად იქცა, იყო ბიბლიოთეკის ადგილი ეკოლოგიური განათლების საქმეში. აქ ჩამოთვლილი აქტიურობის საკითხები ნათლად მეტყველებს ბიბლიოთეკის აქტიურ მოქალაქეობრივ პოზიციაზე, მის საქმიანობაზე მუნიციპალიტეტის მოსახლეობის საბიბლიოთეკო და საინფორმაციო მომსახურების თვალსაზრისით.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკებში (დირექტორი ლ. დუნდუა) კვირეულის პროგრამით გაიმართა მკითხველთა კონფერენცია „ზნეობრივი გმირის უკვდავება“. კონფერენცია მიეძღვნა ექვთიმე თაყაიშვილის დაბადებიდან 150-ე წლისთავს.

ღონისძიებაში მონაწილეობდა გაზეთ „სამტრედიის მაცნეს“ პასუხისმგებელი მდივანი ლ. გაბეჩავა. ღონისძიების სცენარი შეადგინა პედაგოგებმა ნ. ტონიამ. მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ფოლკლორულმა ანსამბლმა „ალილომ“ შეასრულა ხალხური სიმღერები. უჩვენეს ე. თაყაიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ფოტო და ვიდეო მასალები. ღონისძიებას ესწრებოდა მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი ა. თადუმაძე.



გურამ თაყნიაშვილი

მებრძოლი ქალის მოქალაქეობრივი მრწამსი

მებრძოლი სულისკვეთების ადამიანი, პიროვნება მარად შემართული, განონასწორებული და ზნეობრივად ამაღლებულია. ასეთი პიროვნების ხასიათი ყალიბდება ყოფიერებასთან მძაფრ ჭიდილში; მისი შინაგანი სამყარო გაცისკროვნებულია პატრიოტიზმითა და მაღალი მოქალაქეობრივი მრწამსით. სწორედ ასეთი თვისებებით ხასიათდება ქართველი საბიბლიოთეკო საზოგადოებრიობისათვის კარგად ცნობილი სახე ქალბატონ ქეთევან ბერიშვილისა; მან საკუთარ თავზე გამოსცადა გასული საუკუნის კაცობრიობის ყველაზე საშინელი ომის სიმძიმე, გამოსცადა, განიცადა, იბრძოლა და გამარჯვებული დაბრუნდა საკუთარი ქვეყნის აღდგენა-განახლებისათვის ხელის შესაწყობად; მისი ბიოგრაფია აღსავსეა ტრაგიკული ეპიზოდებით, სიღრმისეულ განცდებითა და მომავლის რწმენის ნათელი სურათებით. ქ. ბერიშვილმა ცხოვრების დაძაბული რიტმის პირობებში შეინარჩუნა ქალური ღირსება; მებრძოლი სულისკვეთებით აღზრდილი და ბრძოლაში ნაცადი ქალბატონი ყოველთვის გაურბოდა პასიურ არსებობას. იცხოვრა გასული საუკუნის ბოლოქარი ცხოვრებით და 21-ე საუკუნეში შემოაბიჯა ამაყად, ვალმოხდილმა და ცხოვრებისეული სიბრძნით აღვსილმა; დღეს, ცხრა ათეულ წელს გადაბიჯებული ქალბატონი შემართული ბუნებითა და მოქალაქეობრივი მრწამსით უმზერს ქვეყნის მომავალს.

ქეთევან ბერიშვილი დაიბადა 1920 წელს; ამბროლაურის რაიონის სოფელ კვარცხეთაში. 1926 წელს მისი მშობლები საცხოვრებლად გადავიდნენ ლაგოდეხის რაიონის სოფელ გელათში. აქ მან დაამთავრა არასრული საშუალო სკოლა; 1937 წელს სწავლა გააგრძელა თბილისის პედაგოგიურ სასწავლებელში, რომელიც დაასრულა 1940 წელს. ამის შემდეგ იგი ერთხანს მუშაობდა საგარეჯოს კულტურის სახლში მეთოდისტად; მომდევნო წელს პედაგოგიურ მუშაობას ეწეოდა დმანისის რაიონის სოფელ მამავერაში; 1942 წელს იგი გაიწვიეს საბჭოთა არმიის რიგებში; 1945 წლამდე ქალბატონი



ქეთევანი იბრძოდა სხვადასხვა ფრონტზე; დემობილიზაციის შემდეგ იგი მუშაობდა ქ. თბილისის სხვადასხვა საქალაქო ბიბლიოთეკაში; 1949 წლიდან მუშაობას აგრძელებს თბილისის ალ. ჯაფარიძის სახელობის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში ბიბლიოგრაფის თანამდებობაზე. 1952 წელს დაამთავრა თბილისის ა. ს. პუშკინის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტი; 1955 წელს ქ. ბეროშვილი დაინიშნა ქ. თბილისის კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებლის სასწავლო ნაწილის გამგედ. 1959–1975 წ. წ. იყო ამავე სასწავლებლის დირექტორი, 1975 წლიდან ერთხანს იმუშავა საქართველოს კულტურის სამინისტროს მეთოდკაბინეტში. 1975 წელს მას მიენიჭა დამსახურებული პედაგოგის წოდება. განსაკუთრებით დაფასებულ იქნა როგორც მებრძოლი. დიდ სამამულო ომში მონაწილეობისათვის მას სხვადასხვა დროს მიღებული აქვს 7 მედალი და ორდენი. მას დღესაც მიაჩნია, რომ სწორედ ომის პირობებში მოიხადა ღირსეულად მოქალაქეობრივი ვალი ქვეყნისა და საზოგადოების წინაშე.

ქ. ბერიშვილის პედაგოგიური მოღვაწეობა ორგანულად იყო შეხამებული სასწავლებლის ადმინისტრაციულ საქმიანობასთან. როგორც აღმზრდელი, იგი ყოველთვის გამოირჩეოდა მაღალი მომთხოვნელობით, პედაგოგიური ტაქტიკითა და ადამიანური თვისებებით. მას არ ახასიათებდა გადაჭარბებული სიმკაცრე; მოსწავლეებთან დამოკიდებულებაში იყო ზომიერი, ყოველთვის ფლობდა საკუთარ თავს და სასწავლო პროცესს წარმართავდა აღზრდისა და ინტელექტუალური ზრდის ორგანული ერთიანობის ნიშნით.

ქ. ბერიშვილმა ჯერ კიდევ ადრეულ ასაკში მიაღწია ინტელექტის გარკვეულ სიმწიფეს. საკუთარი ინტელექტის გაძლიერების წყაროდ მას ყოველთვის მიაჩნდა ადამიანებთან ცოცხალი ურთიერთობა; მისი ინდივიდუალური მეობა ნიადაგ იყო დაკავშირებული მოქალაქეობრივ ვალდებულებებთან. წიგნის სამყაროში მოღვაწეობა, იმთავითვე ნათლად შეიგრძნო ქართუ-

ლი წიგნის როლი და ადგილი ახალგაზრდობის პატრიოტული აღზრდისა და პროფესიული დაოსტატების საქმეში. ქ. ბერიშვილი კარგად იცნობდა გასული საუკუნის 50-იანი წლების მოწინავე საბიბლიოთეკო პრაქტიკას; სისტემატურად ადევნებდა თვალყურს საქართველოში საბიბლიოთეკო აზრის განვითარებას და პრაქტიკულ საქმიანობაში ამაღლებდა წიგნისა და ბიბლიოთეკის როლს ბიბლიოთეკართა მომზადების პროცესში. მისი ხელმძღვანელობით მომზადებული საშუალო სპეციალური განათლების მქონე ბიბლიოთეკარების ერთი ნაწილი დღესაც იღვწის საბიბლიოთეკო დარგში.



ქ. ბერიშვილი ამბროლაურის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში, 1971 წელი

თვითონ ქალბატონი ქეთევანი ყოველთვის გაურბოდა ბანალურ პოპულარობას, გამოირჩეოდა ნატიფი გემოვნებითა და საკუთარი თავის ფლობით; მას არასოდეს არ დაუკარგავს სულიერი სიფხიზლე და, მიუხედავად წელთა

სიმრავლისა, დღესაც უპირატესობას სულიერ წვრთნას ანიჭებს. მისი ნამონათფარი ბიბლიოთეკარები დღესაც გულთბილად ახასიათებენ მას, როგორც სამართლიანს, თავაზიანს, თავმდაბალს, ფრიად განათლებულსა და სუფთა სინდისის პატრონს.

ქ. ბერიშვილი არასოდეს მისცემია სოფლის სიამეს. იგი ყოველთვის უკმაყოფილი იყო ახალგაზრდა თაობის სულიერი მდგომარეობით. მისი მებრძოლი სული დღენიადაგ ვლინდება მაღალ მორალურ ზნეობაში. ასეთი თვისებებით ხასიათდება იგი დღესაც, მიუხედავად წელთა სიმრავლისა. ყოველ ალიონზე, აღცისკვრების ჟამს იგი იმედიტა და სასოებით უმზერს სამების ეკლესიას და ხმადაბლა ლოცულობს ქვეყნის წინსვლისა და აღმავლობისათვის, ქართული სულის გაძლიერებისა და რწმენის სიმტკიცისათვის.

ინფორმაცია

ახალი პოეტური კრებული

ამ პატარა წიგნში ავტორს თავისი უზარმაზარი სულიერი სამყარო ჩაუტევია – შარლოტა კვანტალიანი – „სიზმრების პრემიერა“ (2012 წ.) – ესაა ამ გამოცემის მოკლე ბიბლიოგრაფიული დასახელება. აღსანიშნავია ისიც, რომ რედაქტორი ცნობილი ქართველი მწერალი რეზო ჭეიშვილია, რომლის წინათქმაც უძღვის კრებულს. აქ თავმოყრილი ლექსები ერთი სულისმოთქმით იკითხება – გხიბლავს, განუხებს, გახარებს, გაფიქრებს, გასევდიანებს, იმედით გავსებს, გათბობს, გახალისებს... მრავალგვარი გრძნობის აღმძვრელი ეს პატარა პოეტური კრებული დიდი განცდებითაა დატვირთული.

შარლოტა კვანტალიანის ადრინდელი კრებულებისათვის ყოველთვის იყო დამახასიათებელი ეს, თუმცა, როგორც წესი, სიყვარულის მოტივი ჭარბობდა. ამაზე მისი გამოცემების სახელწოდებები მეტყველებენ: „სიყვარულს არა აქვს საზღვარი“, „სიყვარულის გაკვეთილები“, „სიყვარულიდან სიყვარულამდე“, მაგრამ

ეს არ არის ეროტიკული გრძნობების დაუოკებელი ჟრჟოლა, არც ტრივიალური განცდების გამომჟღავნება, არც ჩვეულებრივი ტრადიციული ხობტა... შარლოტა კვანტალიანი ამ განცდას საოცრად უშუალოდ, კდემამოსილად, მოკრძალებულად, პოეტურად ამაღლებული სტრიქონებით გადმოსცემს. ამგვარი გრძნობების მაღალპოეტურად გამოხატვა არც ამ კრებულს აკლია, მაგრამ აქ სიყვარული ჩვენს მიერ ფართო გაგებითაა ნაგულისხმები – სიყვარული გულისწორის, სიყვარული მიწა-მამულის, მშობლიური მხარის, ბუნების, შვილების, მეგობრების, გახსენება წარსულის, მაგრამ განსაკუთრებული თრთოლვითაა მოცული სიყვარული დედისა, რომელიც პოეტს ნამდვილ ხატად ჰყავს ქცეული.

ბევრ სხვა რამესაც ეხება პოეტის ლექსები – სამშენებლოს ბედ-იღბალი, მისი მდგომარეობა, პრობლემები, ეროვნული სიამაყე, ჩვენი წარსული, კულტურა, ადამიანის ხასი-

ათი და ვნებათაღელვა, სევდა, ოჯახური ურთიერთობა, წარსულის გახსენება, დაკარგული მეგობრების მოგონება, თანამედროვე მეკალმეთა მიმართ გულახდილი გამოძახილი... შეუძლებელია ყველაფერს შეეხო, რაც აღელვებს და პოეტურ მუზას აღუძრავს, ეს მკითხველმა გაარჩიოს თვითონ. ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, პოეზიის მოყვარულნი სიამოვნებით გაეცნობიან შ. კვანტალიანის ამ კრებულს. გვინდა მხოლოდ ინფორმაცია მივანოდოთ მათ იმ იმედით, რომ ისინი მოიკითხავენ ამ წიგნს და დიდი ინტერესით წაიკითხავენ.



ფორმაციას ისინი ამავე წიგნიდან მიიღებენ. ჩვენ ერთი რამ გვინდა აღვნიშნოთ: შ. კვანტალიანს მუდამ მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა მაშინდელ სულხან-საბა ორბელიანის, აგრეთვე კულტურის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკებთან, ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის კათედრასთან, როცა ის ამ უმაღლეს სასწავლებლებში მუშაობდა. მათთან ახლო კონტაქტებმა ის ჩვენი დარგის გულმხურვალე მხარდამჭერ მეგობრად აქცია. იმედს გამოვთქვამთ, ჩვენს ჟურნალთანაც ენერგიულად ითანამშრომლებს.

თვითონ ქალბატონ შარლოტას შესახებ ინ-

ა. ლ.


ქველი მსოფლიოდან მოტანილი აგზაუბი

ქართველი მკითხველისათვის ამგვარი წიგნის გამოჩენა დიდი სიხარულია. ეს გახლავთ: ქალთა სიქველეები: ძველი მსოფლიოს მამაცი და გონიერი ქალბატონები. – თბ.: „რაეო“, 2012. – 70 გვ. როგორც თავფურცლიდან გვამცნობს გამომცემელი, წიგნში თავმოყრილია „ჩვენს წელთაღრიცხვამდე მცხოვრები ჭკვიან და ბრძენ ქალთა ისტორიები გადმოცემული პლუტარქოსის მიერ“.

პლუტარქოსი მსოფლიო მნიშვნელობის შემოქმედი, რომლის „პარალელურ ბიოგრაფიებსა“ და „მორალიებს“ კარგად იცნობს მკითხველი საზოგადოება და მათ შორის ქართველებიც, მაგარმ მისი თხზულებები იმდენად ძუნწადაა წარმოდგენილი ქართულ ლიტერატურაში, ამ ავტორის ყოველი ნაწარმოების გამოჩენა დიდ ინტერესს იწვევს. დასახელებული წიგნი არის ბერძნული ორიგინალის ადაპტირებული ვერსია, რომელიც თარგმნა და შეადგინა ცნობილმა ქართველმა მოღვაწემ, დამსახურებულმა პედაგოგმა, განთქმულმა ჟურნალისტმა და უბადლო მთარგმ-

ნელმა – ქალბატონმა ჟუჟუნა ნიჟარაძე – მაჭავარიანმა.

პლუტარქოსის თარგმნა ძველბერძნულის კარგ ცოდნას მოითხოვს და საამაყოა, რომ ჩვენ



გვყავს უმაღლესი პროფესიონალი მთარგმნელი, როგორც არის ქალბატონ ჟუჟუნა.

პლუტარქოსი ახალი წელთაღრიცხვის I-II საუკუნეების მიჯნაზე მოღვაწეობდა, როცა ბერძნულ ლიტერატურაში გავრცელებული იყო მშვენიერების განცდის სულისკვეთება. ეს მიმართულება ყველაზე ძლიერი სწორედ პლუტარქოსის შემოქმედებაში აისახა. ის ყოველთვის იზიდავდა და ახლაც იზიდავს მკითხველს. მორალურ-ესთეტიკური ძარღვი, რომელიც სისხლხორცეულად ამოძრავებს მას, იყო ის ძალა, რომელმაც გამოიარა რა შუა საუკუნეები, თითქმის ხელუხლებლად მოგვიტანა XXI საუკუნეში ის სულისკვეთება, რაც დამახასიათებელია საკაც-

ობრიო მორალისა და ესთეტიკისათვის. ვფიქრობთ, ეს წიგნი უაღრესად დაინტერესებს მკითხველთა ფართო საზოგადოებას.

დიდი თაყვანისცემის გამოხატულება

შესანიშნავი მაგალითია – თბილისის მთავარი ბიბლიოთეკისა და მასთან არსებული ლიტერატურული სალონის მიერ 2013 წელს გამოიცა კრებული „ჩემი ვაჟა“. ეძღვნება ის ვაჟა ფშაველას დაბადებიდან 150-ე წლისთავს, შემდგენელი – ცისანა ქოჩჩიაშვილი, რედაქტორი – მზია ხეთაგური, შედგება 115 გვერდისაგან. წიგნს უძღვის რეზო ადამიას ნარკვევი „ვაჟა ფშაველა და დრო“.

ჩვენმა მკითხველმა რომ დაწვრილებით წარმოადგინოს ამ წიგნის არსი, ვთავაზობთ მისი ავტორ–შემდგენლის ცისანა ქოჩჩიაშვილის წინასიტყვაობა „დასაბამის“ ამონარიდებს:

„ეს პატარა კრებული თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის მკითხველთა, ლიტერატურული სალონის „საგულისონის“ წევრებისა და მისი მეგობრების შემოქმედებითი ნაღვანია და დიდი მგოსნის საიუბილეო თარიღს ეძღვნება.“

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ 2011 წელი „იუნესკოს“ მიერ ვაჟას წლად გამოცხადდა... დაიწყო ამ თარიღისათვის თბილისის ბიბლიოთეკების ინტენსიური მზადება...

ლიტერატურული სალონის აქცია–ლონისძიებათა შორის საინტერესოდ მივიჩნიეთ ლიტერატურული მინი–ფესტივალის ჩატარება, დევიზით „ჩემი ვაჟა“... ფესტივალში 60 ავტორი და 10 მხატვარი მონაწილეობდა. ამ ფაქტმა განაპირობა ავტორთა შემოქმედების წიგნად გამოცემის ერთსულოვანი გადამწყვეტილება... და აი, ისიც – ჩვენი მოკრძალებული საჩუქარი იუბილეს, დიდ ვაჟას, ჩარგლის მუზეუმს, ქართულ საზოგადოებას...

კრებულში წარმოდგენილი ავტორები, ცნობილ შემოქმედთა გვერდით, დედაქალაქის ბიბლიოთეკების მკითხველები, სხვადასხვა პროფესიის ადამიანები, სტუდენტები, მოსწავლეები, უბრალოდ, მგოსნის შემოქმედების თაყვანისმცემლები არიან; ისინი, ვისთვისაც ძვირფასია ვაჟას სამყარო – სამშობლოს უკიდვგანო სიყვარული, მოქალაქეობრიობა, სულიერება, უბრალოება. ავტორები სიყვარულით, კრძალებით ამბობენ თავის სათქმელს, წერენ ისე, როგორც შეუძლიათ, როგორც ენერებათ, ელექსებათ, ემღერებათ...“



რევიზი

დავით გიბინიშვილი

ჰენდელის „რადამისტოს“ საკონცერტო შესრულება „English Concert“-ის მიერ

რამდენიმე წელია, რაც პარიზის პატარა საოპერო თეატრის „ელისეის მინდვრებზე“ (Theatre des Champs Elysees) რეპერტუარს ვადევნებ თვალს, რადგან იგი შეიცავდა ბაროკო მუსიკის ფართო არჩევანს. ამიტომაც, როგორც კი მომეცა ამის საშუალება, არ დავიშურე ენერგია და მონდომება, რომ დავსწრებოდი ამ თეატრში დადგმებს. ხანგრძლივი მიმონერის შედეგად მივიღე აკრედიტაცია სამ სპექტაკლზე – ორი მათგანი თავად თეატრის პრეს-ოფისის მიერ და უკანასკნელი – ჯოის დონატოს

კონცერტზე უკვე სხვა ორგანიზაციის – „ლე

გრან ვუა“ (საუკეთესო ხმები), რომელიც ქირაობს განსხვავებულ აუდიტორიას და იქ წარმოადგენს ცნობილ საოპერო ვარსკვლავების კონცერტებს საფრანგეთის მსმენელისათვის.

აღსანიშნავია, რომ „ელისეის მინდვრების“ თეატრის, რომელსაც წელს ასი წელი შეუსრულდა, რეპერტუარში შედის როგორც სრულფასოვანი საოპერო დადგმები, ასევე ბაროკო-ოპერები საკონცერტო შესრულებით. წელს ჰენდელის ოპერების გარდა, საკონცერტო შესრულებით დადგმული იქნება როსინის, ვერდის, ბერლიოზისა და ფორეს ოპერები. გარდა ოპერებისა, თეატრი

მუდმივად უთმობს სცენას ბალეტს, სიმფონიური და კამერული მუსიკის კონცერტებს – როგორც წესი, აღიარებული საერთაშორისო მუსიკოსების შესრულებით.

1913 წელს გაბრიელ ასტრუკის მიერ დაარსებული თეატრის ამოცანა იყო დაებალანსებინა პომპეზური და საკმაოდ კონსერვატიული პარიზის „დიდი ოპერის“ სცენა. ახალმა თეატრმა უმასპინძლა ბევრ იმ ეპოქის კომპოზიტორს, კერძოდ სერგეი რანმანინოვს, იგორ სტრავინსკის და გაბრიელ ფორეს, იდგმებოდა საბალეტო წარმოდგენები, რომელსაც ხშირად რუსული დასები ასრულებდნენ. თეატრის ფოიეში დღემდე გამოკრულია აფიშები, რომლებიც ასახავს კლასიკური მუსიკის ცოცხალი ლეგენდების გამოსვლებს თეატრის სცენაზე. თეატრი იმყოფება ქალაქის ცენტრის დასავლეთ ნაწილში, უფრო ახლოს სენის სანაპიროსთან, ვიდრე ელისეის მინდვრებთან. თეატრის გვერდზე, ჩრდილოეთისაკენ, განთავსებულია

მონოდებაც. პირველ საღამოს (6 თებერვალს) ჰენდელის „რადამისტო/Radamisto“ უნდა მომემინა საკონცერტო ვარიანტში – ინგლისური დასისა და ორკესტრის შესრულებით, რომელიც ერთი დღით იყო ჩამოსული პარიზში. ოპერა „რადამისტო“, რომელიც 1720 წლის აპრილში დაიდგა, ჰენდელის შემოქმედების პირველ ნახევარში არის შექმნილი, მაგრამ ისეთი აღიარებული შედეგების შემდეგ, როგორცაა „აგრიპინა“ და „რინალდო“. ამიტომაც ჰენდელის გენიალობის ხელი ამ ნაწარმოებსაც ეტყობა. იმავე წლის მინურულს იმ დროისათვის საუკეთესო ვოკალისტებზე (კასტორატი სენესინო, სოპრანო მარგერიტა დურასტანტი და ბანი ჯუზეპე მარია ბოსკი) მორგების მიზნით ჰენდელმა ოპერა რადიკალურად შეცვალა. რადამისტოს პარტიის რეგისტრი დაბალ კონტრალტოზე და ზენობიას – სოპრანოზე გადაიყვანა და ერთ-ერთი პერსონაჟის ფრარტის სამივე არია ამოიღო. ეს უკანასკნელი ვერსია ამჟამად უნდა



ფეშენებელური დიზაინერების სალონები და სასტუმროები. სამხრეთ-დასავლეთით კი პირდაპირ ჩანს სანაპირო და მეორე ნაპირზე ამაყად აღმართული ეიფელის კოშკი.

თეატრის დარბაზი პატარა და სამიარუსიანია, მაგრამ იარუსები ფართოა და ნაწილობრივ გადატისრულია ლოჟებად. ყოველ ლოჟაში 5-6 პიროვნება ეტევა.

პარიზში ცივი და წვიმიანი ამინდი დამხვდა. იმავე დღეს დილით ჩასულს, უძინარს სათანადოდ დასვენების საშუალება არ მომეცა, რადგან ჩასვლისთანავე გავეშურე ქალაქში. ჩემთვის მოულოდნელი სიურპრიზი იყო, რომ პრეს-ოფისმა შესაშური მასპინძლობით საუკეთესო ადგილი დამიჯავშნა პარტერში და არ დაივიწყა ბუკლეტის

შესრულებულიყო ინგლისური დასის მიერ, თუმცა გრამჩანანერში მე მხოლოდ პირვანდელი ვარიანტი მქონდა მოსმენილი.

ინგლისური ძველებური ინსტრუმენტების ორკესტრს „The English Concert“ რომელსაც ჰარი ბიკეტი ხელმძღვანელობდა, შემდეგი სოლისტები ახლდნენ: ცენტრალურ პარტიაში ისეთი ვარსკვლავები, როგორცაა კონტრატენორი დევიდ დენიელსი (რადამისტო) და მეცო-სოპრანო პატრისია ბარდონი (ზენობია). ასევე სპექტაკლში შემდეგი მომღერლები იყვნენ დაკავებულნი: ბანი ლუკა პიზარონი (ტირიდატი), სოპრანოები ელიზაბეთ უოტსი (ტიგრანი) და ბრენდა რეი (პოლისენა).

ოპერის სიუჟეტი ჩახლართულია: ტირიდატი თა-

ვისი მრავალრიცხოვანი ჯარით ალყაში მოაქცევს ქალაქს, საიდანაც მას ზენობიასი, რადამისტოს ცოლის გატაცება სურს. ამით სარგებლობს ტიგრანი, ტირიდატის მოკავშირე და ცდილობს თავი აუხილოს ტირიდატის მეუღლეს, პოლისენას მეფის ლალატზე. ტიგრანს ამით პოლისენასადმი თავისი სიყვარულის გამოხატვაც სურს. რადამისტო და ზენობია ახერხებენ გაიპარონ ტირიდატის ჯარის მიერ დაპყრობილ ქალაქიდან.

მაგრამ გზით დაქანცული და შიშით შეპყრობილი ზენობია თვითმკვლელობის მიზნით გადახტება მდინარეში, რადამისტოს კი ატყვევებენ ტიგრანის მეომრები.

შემთხვევით, ტირიდატის ერთგული მხედართმთავარი ზენობიას გადაარჩენს.

ტიგრანი დაეხმარება რადამისტოს და წარუდგენს მას ტირიდატს, როგორც რადამისტოს მოახლეს, რომელიც დაადასტურებს თავისი პატრონის სიკვდილს. ამ ნაბიჯით ზენობია და გადაცემული რადამისტო ისევ შეხვდებიან ერთმანეთს. მაგრამ მოგვიანებით რადამისტოს პიროვნება მაინც გამოაშკარავდება. პოლისენა ემუდარება ტირიდატს, არ დასაჯოს სიკვდილით მისი ძმა, რადამისტო. მეფე არ იღებს ამ თხოვნას და გაბრაზებული პოლისენა ტოვებს სამეფო კარს. ტირიდატი მზად არის სიცოცხლე შეუნარჩუნოს რადამისტოს, თუკი ზენობია გახდება მისი მეუღლე.

ქორწინების დაწყებამდე ხალხი, რომელსაც პოლისენა ხელმძღვანელობს, აჯანყდება და რადამისტო და ზენობია სთხოვენ მეფეს შეწყალებას, მაგრამ იგი უდრეკია, სანამ ტიგრანი ჯართან ერთად არ მიემხრობა აჯანყებულებს. ფინალში ტირიდატი აღიარებს თავის შეცდომებს და ყველაფერი სიხარულითა და ზეიმიით მთავრდება.

აქამდე ჰენდელის ოპერები არასოდეს მომისმენია არასცენიურ ვერსიაში, ამიტომაც ოდნავ ნაკლები ენთუზიაზმით ველოდი ამ დადგმას და ნარჩენი საღამოებისგან განსხვავებით. მაგრამ ამან არ შეცვალა ზოგადი, ძალზე დადებითი შთაბეჭდილება სადებიუტო სიმფონია არაფრით არ გამოიჩინოდა, მაგრამ პოლისენასა და ტიგრანის სცენა და არიები როგორც ჰენდელის გენიალურ ნიჭზე, ასევე შემსრულებლების მაღალ დონეზე მეტყველებდნენ. ჩემთვის ნამდვილი აღმოჩენა იყო ორკესტრი – დაარსებული 1972 წელს ცნობილი დირიჟორის ტრევიორ პინოკის მიერ, ის მალევე გახდა ერთ-ერთი წამყვანი ანსამბლი ბაროკო მუსიკის რეპერტუარში, თუმცა იშვიათად მონაწილეობდა ოპერის შესრულებაში. ამჟამად მისი ხელმძღვანელი არის ჰარი ბიკეტი, რომელიც ამ წელს ჰენდელის „რადამისტოთი“ (როგორც ეს ამ ორკესტრის ოფიციალური საიტი იტყობინება) აპირებს როგორც ევროპული, ასევე ამერიკის სცენის დალაშქრას. ბიკეტის ინტერპრეტაცია იყო სოლიდური, აუღელვებელი, ყველაზე ახლოს

ჰენდელის სტილთან იმათგან, რაც ცოცხალი შესრულებით მომისმენია და თან იგი სიმებიანი საკრავების საშუალებით აქცენტებს არ ერიდებოდა. პირველი ვიოლინო, ახალგაზრდა ქალი დაულავად ასრულებდა დირიჟორის მითითებებს. საბოლოოდ ორკესტრმა ძალზე მომხიბლა, რითიც გაამყარა ჩემში ის დიდი შთაბეჭდილება, რომელიც მრავალი ჩანანერის მოსმენით მქონდა შექმნილი. ჩემთვის ნაკლებად ცნობილი მომღერლების ფონზე, რომლებიც მაღალ ოსტატურ დონეზე ასრულებდნენ, მე უფრო მეტს მოველოდი ვარსკვლავებისაგან, მაგრამ დევიდ დენიელსი ოდნავ გადაღლილი და ფიორიტურებში მოუქნელი გამომჩნდა (მისი პიანო იოლად იხშობოდა ორკესტრით).

მისი ხმის სიძლიერე არ აღემატებოდა აქამდე მოსმენილ მრავალ კონტრატენორის ხმას. პატრონის ბარდონის ტემბრი კი მეტად კონტრალტოს რეგისტრში იყო. მისი არცთუ პატარა ხმა სწრაფ და ტექნიკურად რთულ არიაში მძიმე აღმოჩნდა. მეორე აქტის ცნობილ – ცენტრალურ და სევიდიან არიებს (*Ombra cara di mia sposa; Gia che morir non posso*) ვარსკვლავები უფრო პასუხისმგებლობით მიუდგნენ და გამოკვეთილმა არტისტულობამ მათი ვოკალური „ხარვეზები“ გადაფარა. ამით დაბალანსდა მთავარი და მეორეხარისხოვანი პერსონაჟების შესრულების დონე და სპექტაკლი მეტად შეკრული გამოჩნდა. ლუკა პიზარონიმ უნაკლოდ შეასრულა თავისი პარტია – ჟღერადი ბანი აქცენტებითა და უბადლო ფრაზირებით გამოიჩინოდა. იგი ორგანულად შეეწყო მისი პერსონაჟის ხასიათს, თუ ამას დავუმატებთ მის მოქნილ ტექნიკას და კარგ ვოკალურ ფორმაში ყოფნას, თქვენ იოლად წარმოიდგენთ, რა ეფექტურად წარმოადგენდა იგი ბრავურულ არიებს, კერძოდ „*Alzo al volo di mia fama*“-ს ჩემთვის აღმოჩენა იყო ელიზაბეთ უოტსი — ნითელ კამზოლში გამოწყობილი (კონტრასტულად სხვა პერსონაჟებისაგან) იგი იოლად და მსუბუქად უმკლავდებოდა ფიორიტურებს და ზედა რეგისტრის ნოტებს (არია „*La sorte, il cie1, amor*“), ამას თან აყოლებდა ალერსიან და ოპტიმისტურ გამოხედვას და მაყურებელს უყალიბდებოდა ერთგული, გახსნილი იმავდროულად, შეყვარებული რაინდის პორტრეტი. ოდნავ კომიკური იყო სცენა ტანდაბალი ტიგრანისა და მისი სიყვარულის ობიექტის, მაღალი დედოფლის პოლისენასი (დეკოლტეთი), რომელიც ტაქტიანად იცილებდა მასზე შეყვარებული მხედართმთავრის იერიშებს.

საბოლოოდ, იმის თქმა მსურს, რომ საკონცერტო შესრულებამ ჩემთვის მოულოდნელად დიდი არტისტიზმისა და თამაშის საშუალება დაუტოვა მომღერლებს, რომლებმაც კარგად გამოიყენეს ეს შესაძლებლობა სპექტაკლის წარმატებისათვის.

ქრონიკა

საქართველოს საბიბლიოთეკო ცხოვრების ქრონიკა, მოვლენები, ფაქტები



- 2 აპრილს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა საქართველოს ანტისაოკუპაციო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა – დეოკუპაციისა და განთავისუფლების ერთიანი ფრონტის კონფერენცია საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული იმპერიული აგრესიისა და საქართველოს ატლანტიკურ სივრცეში დამკვიდრების პრობლემატიკაზე.
- 4 აპრილს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში ი. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახ. უნივერსიტეტის პროფესორმა ელგუჯა ხინთიბიძემ გაიმართა საუბარი თემაზე „ვეფხისტყაოსანი და ქართული საზოგადოება“.
- 4 აპრილს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში ისტორიკოსმა, ეთნოგრაფმა და კავკასიოლოგმა ლეონიდ ლანდამ წაიკითხა საჯარო ლექცია „ებრაელის სახე პოსტსაბჭოთა საქართველოში“.
- 18 აპრილს წარმოდგენილი იყო გაზეთ „კვირის პალიტრისა“ და ეროვნული ბიბლიოთეკის ერთობლივი პროექტი „გადავარჩინოთ წიგნი“. „კვირის პალიტრის“ არქივის ელექტრონული ვერსია შეიცავს გაზეთის ყოველ ნომერს.
- 19 აპრილს ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა ნ. ცარციძის წიგნის „მსოფლიო სარდალი სააკაძე“ წარდგენა.
- 23 აპრილს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში წიგნის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით გაიმართა გ.

ზედანიას საჯარო ლექცია თემაზე „წიგნის მნიშვნელობა თანამედროვე მსოფლიოში“.

- 28 აპრილს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის მიერ გაიმართა გურამ ფანჯიკიძის 80 წლის იუბილისადმი მიძღვნილი ღონისძიება.
- 13 მაისს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა პროფესორ სტივენ ჯონსის წიგნის „საქართველოს პოლიტიკური ისტორია დამოუკიდებლობის აღდგენიდან დღემდე“ – წარდგენა. წიგნის შესახებ ისაუბრეს გიორგი ხელაშვილმა, თვითონ ავტორმა, ვლადიმერ პაპავამ, რევაზ გაჩეჩილაძემ, ალექსანდრე რონდელმა. სიტყვებით გამოვიდნენ საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი გიორგი მარგველაშვილი, დავით ზურაბიშვილი, საელჩოს წარმომადგენლები და სხვები. წიგნი წარმოდგენილი იყო ინგლისურ ენაზე, მიმდინარეობს მისი თარგმნა ქართულ ენაზე.
- 18 მაისს თბილისის მთავარ ბიბლიოთეკაში მოეწყო მკითხველთა, მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა შეხვედრა ბიბლიოთეკის დირექციასთან. აღინიშნა ბიბლიოთეკის დაარსების 104 წელი. საზეიმო შეხვედრაზე ბიბლიოთეკისა და წიგნის შესახებ ისაუბრეს მწერლებმა, აქტიურმა მკითხველებმა, ინტელიგენციის წარმომადგენლებმა. შეხვედრაზე სიყვარულის ორდენით დააჯილდოვეს ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორი ციალა კალმახელიძე, რომელიც 25 წელია ხელმძღვანელობს ქალაქის მთავარ ბიბლიოთეკას.





- 24 მაისს საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში გაიხსნა რარიტეტულ გამოცემათა სამკითხველო დარბაზი. ამ დღეს ბიბლიოთეკაში სტუმრად იმყოფებოდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი გიორგი მარგველაშვილი.
- 28 მაისს საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში გამართული სპეციალური ღონისძიებით დაიხურა საქართველოს ბიბლიოთეკების კვირეული – 2013. კვირეულის დახურვაზე ჩატარებული ღონისძიებების შესახებ ისაუბრეს და თვალსაჩინო მასალები წარმოადგინეს მუნიციპალიტეტების მთავარი (ცენტრალური) ბიბლიოთეკების დირექტორებმა: ზუგდიდის, ბათუმის, ქუთაისის, ლანჩხუთის, გორის, მცხეთის, ბოლნისის, თბილისის საბავშვო, თბილისის ახალგაზრდობის, რუსთავის, კასპის, ქარელის და სხვა მუნიციპალიტეტების ბიბლიოთეკების ხელმძღვანელები. კვირეული ოფიციალურად დაიხურა, მაგრამ ღონისძიებები კვლავ ტარდება სხვადასხვა ტიპისა და უწყების ბიბლიოთეკებში.
- 31 მაისს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში ჩატარდა მუზეუმის საერთაშორისო საბჭოს ეროვნული კომიტეტის პრეზიდენტის ინგა ქარაიას საჯარო ლექცია თემაზე: „სამუზეუმო საქმის მდგომარეობა და პრობლემები საქართველოში“.
- 3 ივნისს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში საქართველოს საპატრიარქოს თამარ მეფის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტმა ჩაატარა კონფერენცია თემაზე: „თურქეთელი ქართველები – ერთიანი ქართული კოლხეთის მემკვიდრენი“.
- საქართველოს პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით ყოველი შაბათი გამოცხადდა წიგნის კითხვის დღედ. ამის შესახებ მან განაცხადა 1 ივნისს სამების საკათედრო ტაძარში საკვირაო ქადაგების დროს. 8 ივნისს საპატრიარქოს

ბიბლიოთეკაში გაიმართა პროექტის „წიგნის მეგობრების“ წარდგენა. პატრიარქმა ღონისძიებაზე საზი გაუსვა წიგნის მნიშვნელობას და განაცხადა: „წიგნი ეს არის ჩვენი სიცოცხლე და ჩვენი მომავალი, წიგნის გარეშე ჩვენ არ ვიქნებით, გადავგვარდებით, ყველას მოვუწოდებთ, რომ წიგნი იყოს ჩვენი თანამგზავრი“. ილია II-ის მოსაზრებით „ადამიანმა წიგნი მხოლოდ შაბათს კი არა, ყოველთვის უნდა იკითხოს. წიგნის დღედ რომ შაბათი დანესდა, არ ნიშნავს, რომ მხოლოდ შაბათს უნდა წავიკითხოთ. მსურს ოჯახებში ლიტერატურული საღამოები მოეწყოს, რომლის დროსაც რამოდენიმე ოჯახი ერთად შეიკრიბება“ – განაცხადა პატრიარქმა.

- 15 ივნისს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში ახალგაზრდულმა მოძრაობამ „დავითიანი“ და ინტელექტუალურმა კლუბმა „წიგნის მეგობრები“ გამართეს წიგნის კითხვისადმი მიძღვნილი ღონისძიება. ღონისძიებას დაესწრო სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II და პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი.
- როგორც ცნობილია, უწმინდესისა და უნეტარესის ლოცვა-კურთხევით შაბათი დღე წიგნის კითხვის დღედ გამოცხადდა. ეს არის პირველი ღონისძიება, რომელიც უწმინდესისა და უნეტარესის ახალ ინიციატივას უკავშირდება და ვაჟა-ფშაველას მიეძღვნა.
- ღონისძიებაზე მოწვეულმა ახალგაზრდებმა ეროვნული ბიბლიოთეკის ქართველოლოგიის სამკითხველო დარბაზში მის უწმინდესობასთან და პოეტ დავით მაღრაძესთან ერთად ვაჟა-ფშაველას შემოქმედება განიხილეს. მომავალი ღონისძიებები შაბათობით საქართველოს სხვადასხვა ბიბლიოთეკებში გაიმართება და ცნობილი ქართველი და უცხოელი მწერლების შემოქმედების განხილვას მიეძღვნება.





ბიბლიოთეკების მუშაკთა მეორე
სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, 1967 წელი



მეთოდური და საბიბლიოთეკო საქმის ღვაწლმოსილი სპეციალისტები:
ო. ოსაძე, ლ. კვირიკაშვილი, გ. კიპაროიძე

